რჩეულთა ბიბლიოთეკა 29

მიშელ დე მონტენი

მშვენიერი ბრძნული მსჯელობები

ფრანგულიდან თარგმნა
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ

„ლომისი“
თბილისი 1999

აღორძინების ეპოქის ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ დე მონტენის (1533 1592) „ესეები“ (1570) ნათლად ასახავს XVI საუკუნის ფრანგულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას. ამ შრომამ, რომელზეც მონტენი ოც წელს მუშაობდა, დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე.

„ესეები“ ფილოსოფიური ენციკლოპედიაა, რომლის დედააზრი გონების უზენაესობაა. მონტენის სკეპტიციზმი საზოგადოებრივი პროტესტის ერთგვარი ფორმაა და, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკისა და კათოლიკური რელიგიის დოგმების წინააღმდეგ. მონტენის მორალის მთავარი პრინციპია: ადამიანი პასიურად არ უნდა ელოდოს თავის ბედნიერებას, რასაც მას რელიგია იმ ქვეყნად ჰპირდება, იგი მიწიერ ცხოვრებაშიც უნდა იღტვოდეს ბედნიერებისაკენ.

განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს „ესეებს“ ადამიანის ბუნების მონტენისეული ანალიზი. ავტორი იძლევა ზოგადი ხასიათის მთელ რიგ დასკვნებს საერთოდ ადამიანზე.

გივი ალხაზიშვილისა და
როსტომ ჩხეიძის რედაქციით

© „ლიმბისი“, 1999

მატყუარები

არ არსებობს ადამიანი, ვისაც ჩემზე ნაკლებად აღელვებდეს მეხსიერების საკითხი. მე მის ნასახსაც ვერ ვპოულობ საკუთარი თავში; ალბათ ამ ქვეყნად არც არსებობს ადამიანი, რომელსაც ასეთი ნაკლოვანი მეხსიერება ჰქონდეს. ჩემი ყველა სხვა უნარი კი ჩვეულებრივია და ლაპარაკადაც არ ღირს. ასეთი ნაკლოვანი მეხსიერების წყალობით განსაკუთრებული და იშვიათი პატივისა და დიდების ღირსი მგონია თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ყველასათვის გასაგებ უხერხულობას, რომელსაც ამის გამო განვიცდი. თუ მეხსიერების შესაძლებლობების მიხედვით ვიმსჯელებთ, პლატონმა[1] მას, მართლაც; სამართლიანად უწოდა დიდი და ძალმოსილი ქალღმერთი. ჩვენთან მეხსიერებასა და გონიერებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ; როდესაც ვინმეზე უნდათ თქვან, რომ იგი აბსოლუტურად უგუნურია, ამბობენ — მას მეხსიერება ღალატობსო; თუ ჩემი მეხსიერების ნაკლზე დავიწყებ ჩივილს, მსაყვედურობენ, და უნდათ აზრი შემაცვლევინონ, თითქოს უგუნურებას ვუჩიოდე. რაკი ვერ ხედავენ სხვაობას მეხსიერებასა და აზროვნების უნარს შორის, უმართებულოდ უგუნურს მეძახიან, რითაც კიდევ უფრო ამძიმებენ ჩემს მდგომარეობას. ცდით დადგენილია, რომ ბრწყინვალე მეხსიერება ყოველგვარი სირთულის გარეშე თანაარსებობს ნაკლულ აზროვნებასთან. არც იმაში არიან მართალნი, რომ ჩემს ავადმყოფობას — მეხსიერების სიღარიბეს — უმადურობასთან აიგივებენ;

არა და ყველაზე მეტად ერთგული მეგობრობა შემიძლია. მიუხედავად ამისა, ჩემს ერთგულებასა და მადლიერებას ჩემივე მეხსიერებით განსჯიან, ბუნებრივ ზადს ზნეობრივ ნაკლად მითვლიან და ხშირად ამბობენ ჩემზე: „ხედავთ, როგორ დაავიწყდა ჩემი თხოვნის შესრულება; არ შეასრულა თავისი პირობა; სრულებითაც არ ახსოვს მეგობრები; ჩემი სიყვარულითაც კი არ გაახსენდა ამა და ამის თქმა, ან ართქმა, გაკეთება ან არგაკეთება და ა. შ.“ კი ბატონო, საოცრად გულმავიწყი ვარ, მაგრამ არასოდეს შეგნებულად არ უგულვებელვყოფ მეგობრის დავალებას, ასეთი რამ არც მახასიათებს. მინდა დარწმუნდნენ, რომ ეს ჩემი გულმავიწყობა ჩემივე ბერწი მეხსიერების ნაკლია და არ მიიჩნიონ იგი ბოროტებად, რის მიმართაც ჩემი სული მტრულადაა განწყობილი.

თქმულის მიუხედავად, შემიძლია თავი ვინუგეშო შემდეგით: ჯერ ერთი, არსებითად ამ ნაკლით შევძელი უარესი ნაკლის დაძლევა. თუ არა მეხსიერების უნიათობა, ეს უკანასკნელი უარსაყოფელი მანკიერება — სახელდობრ, პატივმოყვარეობა, — ადვილად დამრევდა ხელს. იგი ერთობ მძიმე ნაკლია მისთვის, ვინც ამქვეყნიურ ყოფითს საზრუნავს ჩამოშორებია. გარდა ამისა, რამდენადაც ბუნებამ მომმადლა სხვა უნარ-თვისებები, იმდენად შეასუსტა ჩემში თავდაჯერებისა და პატივმოყვარეობის ზემოხსენებული ნაკლი. მე შემეძლო ჩემი გონიერება და გამჭრიახობა მიმეძინებინა ან მომედუნებინა, სხვებივით სხვათაგან გაკვალული გზით მევლო, გონისმიერი ძალები არ გამეწვრთნა კარგი მეხსიერების უნარით, რომელიც

მხოლოდ სხვათა აზრებსა და გამოგონებებს მომართმევდა. სიტყვაძუნწი საუბარი ვიცი, ვინაიდან მეხსიერების ბელელი უფრო ტევადია, ვიდრე გამომგონებლისა. ჩემი ასეთი ბელელი კი ღარიბია, კარგი მეხსიერება რომ მქონდეს, მეგობრებს ყბედობით გავაყრუებდი; გავიხსენებდი რაღაცას და ჩემს მიერ გახსენებული საგნები აღმიძრავდნენ მათ ავკარგიანობაზე მსჯელობის წადილს, უფრო წავხალისდებოდი და მეტი გზნებით გადმოვაფრქვევდი სიტყვებს. ო, ეს დიდი საცოდაობაა, იგი საკუთარ თავზე გამოვცადე ზოგიერთ ჩემს მეგობართან ურთიერთობისას, როცა ჩემი მეხსიერება, თავისი შესაძლებლობისამებრ მათ თვალწინ სრულიად უბრალოდ და ნათლად აცოცხლებდა საგანს, ისინი ისეთნაირად აკეკლუცებდნენ თავიანთ თხრობას, ისე ტვირთავდნენ მას არაფრისმთქმელი წვრილმანებით, რომ თავისთავად კარგად მოსათხრობი მართლა ბუნებრივ მშვენიერებას კარგავდა, და შენც — მსმენელს ან მათი ბედისწყალობა უნდა გეწყევლა კარგი მეხსიერებისათვის ან პირიქით — მათი უბედურება ცუდი აზროვნებისათვის. ცხადია, აღტინებული მოსაუბრისათვის ძნელია ლაქლაქის შენელება ან შეწყვეტა. ცხენის ღირსების შესამოწმებლად უნდა ნახოთ, როგორ მოსხლეტით ან ნარნარად წყვეტს ჭენებას. საქმიან ადამიანთა შორისაც ვიცნობ ისეთებს, რომელთაც შორს შეტოპეს, სურთ შეჩერება, მაგრამ არ ძალუძთ თავს მოერიონ; დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილები მოლასლასებენ, და ველარ პოულობენ იმ წერტილს, სადაც ნაბიჯი უნდა შეაჩერონ; განსაკუთრებით ძნელია მოხუცებს უსმინო. მათ

ახსოვთ გარდასულ დღეთა ამბები, მაგრამ ავიწყდებათ რამდენჯერ გაიმეორეს თავიანთი მოგონებანი. ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე, თუ რა მოსაწყენი და ერთფეროვანი გამხდარა მათ მიერ მოთხრობილი რომელიმე ძალზე საინტერესო ამბავი, რაკი თითოეულ მსმენელს ეს უკანასკნელი ასჯერ მაინც მოუსმენია.

მეორე მხრივ, თავს იმითაც ვინუგეშებ, რომ ჩემ მჭლე მეხსიერებას, ერთი ძველი მწერლის[2] არ იყოს, ნაკლებად ახსოვს მისთვის მიყენებული შეურაცხყოფები; დარიოსი-სათვის[3] რომ მიმებაძა, კარგა გრძელი ნუსხა გამომივიდოდა; დარიოსმა, ათენელთაგან მიყენებული შეურაცხყოფა რომ არ დავიწყებოდა, ერთ-ერთ მსახურს უბრძანა — ყოველთვის, როცა მაგიდას მიუჯდებოდა ყურში სამჯერ ჩაჩურჩულებინა — „მეფეო, გახსოვთ ათენელები?“. გარდა ამისა, ჩემი მეხსიერების პატრონს, ნაცნობი ადგილებისა და წაკითხული წიგნებისადმი მიბრუნება ხშირად მიხდება, ეს კი მუდამ სიხარულს მგვრის ხოლმე სიახლის მოლოდინით.

ტყუილად როდი ამბობენ, რომ ვისაც მეხსიერების იმედი არა აქვს, მისთვის ძნელია ცრუობა. გრამატიკოსები ერთმანეთისგან მიჯნავენ „სიცრუის თქმასა“ და „ცრუობას“. მათი აზრით, სიცრუის თქმა ნიშნავს რაიმე სიყალბის გადმოცემას, რომელსაც მოსაუბრე აღიქვამს ჭეშმარიტებად. სიტყვა „ცრუობა“ კი საკუთარი სინდისის წინააღმდეგ სვლას ნიშნავს. ლათინური mentiri – დან (ცრუობა) მიიღო დასაბამი ფრანგულმა სიტყვამაც — mentir. მაშასადამე, იგი ეხება ერთის თქმას და მეორის ფიქრს, როცა ნათქვამი

ან თავიდან ბოლომდე გამონაგონია, ან ნაწილობრივ ნილბავს და ამახინჯებს სიმართლეს. ასეთი სიცრუის მოქმედთ თუ ხშირად ჩამოვუგდებთ სიტყვას ერთისა და იმავე თემაზე, ადრე თუ გვიან თავად გამოტყდებიან, რადგან შეუძლებელია — მიუხედავად ჭეშმარიტების მოხერხებულად შენილბვისა და დამახინჯებისა — მათს საუბარში არ ამოტივტივდეს ის რეალური წარმოდგენა საგანზე, რომელიც პირველად აისახა მათ მეხსიერებაში, ღრმად ჩაიბეჭდა და განმტკიცდა შემეცნებისა და ცოდნის გზით. ეს პირველსახე წარმოდგენისა თანდათან მეხსიერებიდან დევნის გამოგონილს, რომელიც არამყარია. ჩვენი გონების სილრმიდან ზედაპირზე ყოველთვის ჩნდება ხოლმე ვითარება და შთაბეჭდილება, როცა პირველად გავეცანით საგანს, იგი ჩრდილავს გარეგან თავსმოხვეულ ყალბ აზრს საგანზე და ადამიანის ნათქვამშიც ეს აბსოლუტური გამონაგონი თავისთავად გამოჟონავს ხოლმე. ასეთ დროს აშკარავდება სიცრუე, მაგრამ ამ უკანასკნელით გამოწვეულ შთაბეჭდილებას, დიდად არ დაგიდევენ, რა თქმა უნდა სიცრუის სარგებლიანობის კვალად და იმედოვნებენ, რომ რადგან მათი გამონაგონი ლანდია და უხილავი, იოლად დაუსხლტება მსმენელის გონებას, თუ ეს უკანასკნელი საკმაოდ მყარი არაა. ხშირად ვყოფილვარ მოსაუბრეთა ასეთი მარცხის მოწმე; უცნაურია, ასეთი რამ უფრო მათ ემართებათ, ვინც საქმეში გავლენიან პირებთან ურთიერთობაში წარმატების მიზნით, შეიძლება ითქვას პროფესიად გაიხადეს ასეთი გაბმული საუბრები. იმ

ვითარებათა ცვალებადობის გამო, რომელთაც ისინი თავიანთ სულსა და სინდისს უქვემდებარებენ, დაუსრულებლად უხდებათ თავიანთი სიტყვის ცვლაც. ამიტომაცაა რომ ერთი და იმავე საგანს ხან რუხს უწოდებენ, ხან ყვითელს; ერთ მოსაუბრესთან ერთს ამტკიცებენ, მეორესთან კი სრულიად სხვას; თუ შემთხვევით ასეთი ადამიანები ერთმანეთს შეეჯახებიან ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობებით, საკითხავია — რა დაემართება თვით ამ მიზანმიმართულ მატყუარათა მშვენიერ ხელოვნებას?! ხშირად ისინი ქვეშეცნეულად თავადვე ამხელენ ხოლმე საკუთარ სიცრუეს. ეს არც არის გასაკვირი — განა რომელ მეხსიერებას ძალუძს ერთსა და იმავე საგანზე ამდენი გამონაგონის დამახსოვრება?! ბევრ ჩემ თანამედროვეს აღძვრია შური იმ ადამიანთა წარმატებებისადმი, რომლებიც ახერხებენ ამ ჩინებული ხელოვნების თავისი მიზნების შესაბამისად გამოყენებას. სამწუხაროდ, ისინი ვერ ამჩნევენ ამ გზით მოპოვებული დიდების არამდგრადობას.

სიცრუე, მართლაც, სამარცხვინო ზადია; ჩვენ მხოლოდ სიტყვის წყალობით ვართ ადამიანები, მხოლოდ სიტყვა გვაძლევს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას. ამ მანკიერების მთელი სისაძაგლე და სიმძიმე შეგნებული რომ გვქონდეს, უფრო მეტი საფუძველი გვექნებოდა სიცრუისათვის დაგვესაჯა კოცონზე დაწვით, ვიდრე სხვა რომელიმე დანაშაულისათვის; საერთოდ, ხშირად ბავშვებს უბრალო შეცომისათვის ტუქსავენ, რაც მათ უმალ უცოდინარობით მოსდით. ასეთი დანაშაულის შედეგი მძიმე

არაა, იგი ბავშვის სულში კვალს არ ტოვებს, სიცრუისა და სიჯიუტისათვის კი ნაკლებად სჯიან. მე ვოვლი, რომ ბავშვის ამ ნაკლის ფესვსაც და ზრდასაც უმოწყალოდ უნდა ვებრძოლოთ, რადგან ეს თვისებები ადამიანის განვითარებას თანსდევენ, და რაკი ერთხელ მოუბრუნდება ენა ტყუილის სათქმელად, საოცრად ძნელად გადაეჩვევა. ამის გამოა, რომ ხშირად ვხვდებით ამ ზადით დალდასმულებსაც და მისდამი ტყვექმნილ საკმაოდ პატიოსან ადამიანებსაც. ერთი მკერავი მყავს, კარგი ბიჭია, მაგრამ სიმართლეს არასოდეს ამბობს. ისე მიეჩვია ტყუილს, რომ მაშინაც ცრუობს, როცა სიმართლეს მხოლოდ სარგებლის მოტანა შეუძლია მისთვის. ჭეშმარიტების მსგავსად, სიცრუეც ერთსახოვანი რომ იყოს, ჩვენი მდგომარეობა გაცილებით იოლი იქნებოდა — მატყუარას ნათქვამს საპირისპიროს დავახვედრებდით, როგორც სარწმუნოს. მაგრამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ ათასი სახე და მოქმედების განუსაზღვრელი არე ტრიალებს. პითაგორელები[4] თვლიან, რომ სიკეთე განსაზღვრული და ზღვარდებულია, ხოლო ბოროტება განუსაზღვრელი და ზღვარდაუდებელი. სიმართლის გზის გვერდიგვერდ ათასი ცთომილი გზა მიდის, მათგან მხოლოდ ერთს მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ. არა მგონია, თუნდაც გარდუვალი დიდი საფრთხის თავიდან ასაცილებლად თავი ვაიძულო რათა უტიფრად და აშკარად ვიცრუო. ერთ ჩვენს სასულიერო პირს უთქვამს: ჩვენ შინაური ძაღლის საზოგადოებაში უფრო კარგად ვგრძნობთ თავს, ვიდრე იმ ადამიანთან, რომლის ენაც ჩვენთვის უცნობია. „ერთი ტომისათვის

სხვა, უცხო ტომის კაცი, ადამიანი არაა".* ადამიანთა შორის საურთიერთოდ ყალბ მეტყველებას დუმილი სჯობია.

მეფე ფრანსუა პირველი[5] თავს იქებდა, რომ ამგვარი ხერხით — ყალბი მჭერმეტყველებით — მარჯვედ მოატყუა მილანელი ჰერცოგის ფრანჩესკო სფორცას ელჩი ფრანჩესკო ტავერნა, ცნობილი თავისი რიტორული ხელოვნებით. ეს უკანასკნელი ჩვენი მეფის კარზე ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმის გამო გამოგზავნეს. კერძოდ — თავისი ბატონის მაგივრად მისი უდიდებულესობის წინაშე ბოდიში უნდა მოეხადა. საქმე ის გახლდათ, რომ ცოტა ხნით ადრე მეფე არა მარტო იტალიიდან, არამედ მილანის საპერცოგოდანაც კი გააძევეს. ამ საჩოთირო გადაწყვეტილების მიზეზი ასეთი იყო: მეფეს მილანის ჰერცოგის კარზე ერთი აზნაური ჰყავდა შეგზავნილი, რომელიც სინამდვილეში მისი რწმუნებული იყო; ეს უკანასკნელი სასახლის კარზე ვითომ პირადი საქმის გამო, როგორც კერძო პირი ისე ცხოვრობდა, სინამდვილეში კი მეფეს სურდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა მილანის პოლიტიკურ წრეებში. იმ ხანად ჰერცოგი დამოკიდებული იყო უფრო იმპერატორზე[6], ვიდრე ჩვენზე, განსაკუთრებით იმ პერიოდში, ვინაიდან ცოლად ირთავდა მის ძმისწულს, დანიის მეფის ასულს, ამჟამად ლოტარინგიის ჰერცოგის ქვრივს. ჰერცოგი ფრთხილობდა, რომ ჩვენთან აშკარა ურთიერთობასა და მოლაპარაკებას დიდი ზიანი არ მიეყენებინა მისი მიზნებისათვის. ორ სახელმწიფოს შორის

*პლინიუსი, ისტორია, VII, 1.

შეფარული ურთიერთობის უზრუნველსაყოფად ძალზე შესაფერი აღმოჩნდა მეფის მეჯინიბე მილანელი აზნაური, სახელად მერვეი[7]. ეს უკანასკნელი აღჭურვილი იყო სახელმწიფო საიდუმლო რწმუნების სიგელებითა და ელჩის საძოქმედო ინსტრუქციებით, თუმცა სხვათა მოსაჩვენებლად და გაუმჟღავნებლობის უზრუნველსაყოფად ჰერცოგისადმი სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა, რომელიც ამ აზნაურის პირად საქმეებს ეხებოდა. მილანის კარზე ამ აზნაურის ასე ხანგრძლივმა დაყოვნებამ იმპერატორის უკმაყოფილება გამოიწვია. ჩემი აზრით, ეს იყო ნამდვილი მიზეზი იმისა, რაც შემდეგ მოხდა. ჰერცოგმა ბრძანა, ერთი მკვლელობის გამოძიება ორ დღეში დაემთავრებინათ. ერთ მშვენიერ ღამეს კი მისივე ბრძანებით მერვეის თავი მოჰკვეთეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მეფე ფრანსუამ უსატრით მიმართა ყველა ქრისტიან ხელისუფალს და თვით ჰერცოგსაც. ბატონმა ფრანჩესკომ, ჰერცოგის ელჩმა, შეთხზა ამ მკვლელობის შესახებ ვრცელი და ყალბი მოთხრობა და დილის მიღებაზე წარსდგა მეფის წინაშე. თავისი ბატონის გასამართლებლად იგი მოჰყვა მტკიცებას, რომ ჰერცოგი მერვეის ყოველთვის კერძო პირად, მილანელ აზნურად და თავის ქვეშევრდომად თვლიდა, რომელიც მხოლოდ თავისი პირადი საქმეების გამო იმყოფებოდა მილანში. ის, რომ მერვეი მეფე ფრანსუა პირველის კარის მსახური იყო, ჰერცოგს წარმოდგენაც არ ჰქონდა. თურმე ფრანჩესკო ტავერნაც პირადად იცნობდა მას და დარწმუნებული იყო, ჰერცოგს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მერვეი ფრანსუა პირველის რწმუნებლად მიეჩნია. მოისმინა რა

ეს გულმოდგინე მტკიცებანი, ახლა თავის მხრივ მეფემ შეუტია ელჩს, კითხვებითა და მოსაზრებებით ჩიხში მოამწყვდია; მოსთხოვა აეხსნა: მაშ რატომ დასაჯეს ეს კაცი ღამით და ფარულად. ამ ბოლო კითხვის პასუხად საქციელწამხდარმა ელჩმა ძლივს ამოღერღა — ჰერცოგი დიდ პატივს სცემდა მის უდიდებულესობას და დიდი მწუხარებით შეხვდებოდა მერვეის დღისით დასჯას. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაება მახეში ელჩი, რომელსაც ძალიან გაუჭირდა სიტყვის გაგრძელება ასეთი უხეში და უაზრო შეცდომის შემდეგ, თანაც ისეთი ალღოიანი კაცის წინაშე, როგორიც მეფე ფრანსუა პირველი იყო.

პაპმა იულიუს II[8]-მ ელჩი გაუგზავნა ინგლისის მეფეს[9], რათა იგი ფრანსუა პირველის წინააღმდეგ განეწყო. მეფემ მოუსმინა, შემდეგ კი ვრცლად ესაუბრა იმ სირთულეებზე, რომლებთანაც დაკავშირებული იყო, მისი აზრით, მზადება ომისათვის ძლიერ სახელმწიფოსთან — საფრანგეთთან. თავისი ფრთხილი დამოკიდებულების დასადასტურებლად რამდენიმე მოსაზრებაც გამოთქვა. დესპანმა სრულიად დაუკვირებლად შენიშნა, რომ თავადაც იმავეს ფიქრობდა ამ საკითხზე და რომ მან თავისი ეჭვები პაპსაც კი გაუმხილა. ასეთი შენიშვნა სრულიად არ ესადაგებოდა მისი ელჩობის მიზანს. იმის მაგიერ, რომ ყველა ღონე ეხმარა ინგლისის მეფის დასათანხმებლად — დაუყოვნებლივ დაეწყო ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, მან ამ უკანასკნელს ეჭვი აღუძრა და თავისი მისიაც დიდად დააზარალა. შემდეგში საქმითაც დადასტურდა, რომ ელჩი შინაგანად საფრანგეთის მხარეზე იყო. როდესაც პაპმა შეხვედრის

შედეგი შეიტყო, დესპანს ქონება ჩამოართვეს და კინაღამ სიცოცხლესაც გამოასალმეს.

სიმტკიცე

შეუპოვრობისა და მტკიცე მოთმინების დარღვევის უფლება ყოველთვის გვაქვს იმ უბედურებათა და უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად, რომლებიც გვემუქრება. თვინიერ მორჩილების სანაცვლოდ უნდა რაიმე ვილონოთ მათ წინააღმდეგ. ყველა პატიოსანი საშუალება, რომელსაც ძალუძს აგვარიდოს განსაცდელი, არა თუ ნებადართული, არამედ ქების ღირსიცაა. სიმტკიცის ძირითადი არსი მოთმინებაა — უნდა ავიტანოთ ის გასაჭირი, რომლის წამალიც ვერ გვიპოვია. ომის დროს ამიტომაც არ არსებობს სხეულის ისეთი მოძრაობა ან იარაღის ისეთი გამოყენება, რომელსაც მივიჩნევთ უგუნურად, ოღონდ კი გადავურჩეთ დაბიზნებულ ტყვიას.

წარსულში მრავალი მეომარი ხალხი მიმართავდა ბრძოლის ველიდან მოულოდნელად გაქცევას, როგორც ერთ-ერთ მთავარ ფანდს მოწინააღმდეგეზე გასამარჯვებლად; ხშირად თავიანთ მტერს ზურგშექცეულნი უფრო მეტ საფრთხეს უქმნიდნენ, ვიდრე პირისპირ შერკინებულნი. თურქები დღესაც წარმატებით იყენებენ ამ ხერხს.

სოკრატე[10] — პლატონის თხზულებაში — ხაზს უსვამს ლაქეტის[11] ნათქვამს — „სიმამაცე მტრის პირისპირ შენ ადგილზე მტკიცედ დგომაა“ და დასცინის მას: „ნუთუ ლაჩრობა იქნება, თუ უკან დავიხევთ და ისე შევებრძოლებით

მტერს?!“ თავისი სიტყვების დასადასტურებლად იგი ჰომეროსს[12] იშველიებს, რომელიც ხოტბას ასხამს ენეასის[13] საბრძოლო ხელოვნებას. ლაქეტს სკვითებისა და ცხენოსანი ჯარის საომარი ხერხი გაახსენდა; სოკრატე ახლა ლაკედემონელთა იმ ლაშქარს იხსენებს, რომელიც გაწვრთნილი იყო მედგარი ქვეითი ბრძოლის წარმართვაში. ერთხელ, პლატეასთან[14] ბრძოლის დროს, ლაკედემონელთა ცდა — გაერღვიათ სპარსელთა ფალანგა — უშედეგოდ დასრულდა. ამის შემდეგ სარდლობამ გადაწყვიტა, მტერთან შერკინებისთანავე სპა გაფანტულიყო, უკან დახევით გაქცევის შთაბეჭდილება შეექმნათ, ხოლო შემდეგ მოულოდნელად შემობრუნებულთ გაერღვიათ სპარსელთა მარბიელი ჯარის ძლიერი კედელი და მტრის ზურგში გაჭრილიყვნენ. ეს საომარი ხერხი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

რაც შეეხება სკვითებს — ამბობენ, რომ დარიოსმა სკვითებზე ლაშქრობის დროს სასტიკად უსაყვედურა მოწინააღმდეგეთა მეფეს იმის გამო, რომ იგი გამუდმებით უკან იხევდა და ღია ბრძოლას გაურბოდა. ამაზე მეფე ინდატირსმა[15] პასუხად შემოუთვალა — მას და მის ჯარისკაცებს არც მისი, და, საერთოდ, ამქვეყნად არავის და არაფრის ეშინოდათ, უბრალოდ ასეთი იყო მათი საბრძოლო ადათი. სკვითებს ტრამალებზე არც სახნავ-სათესი ჰქონდათ დასაცავი, არც ქალაქები და არც საცხოვრისი, რომ მათი დატოვების შემდეგ მტერს გაეძარცვა და ალაფი აეღო. თუ მას ასე ძალუმად ერჩოდა გული პირისპირ საომრად, დარიოსი უნდა მიახლოებოდა

იმ წმინდა ადგილს, სადაც მათ წინაპართა საფლავები იყო და იქ გაიგებდა, როგორია სკვითებთან პირისპირ შებმა.

როდესაც იცი, რომ ვერ გადაურჩები ქვემეხების რისხვას, რაც ხშირია ბრძოლის დროს, სამარცხვინოა გეშინოდეს ყუმბარის გასროლისა, რადგან მიჩნეულია, რომ მის ძალასა და სისწრაფეს ვერსად წაუხვალ. ხშირად, ის ვინც ამ დროს ხელს აწევდა ან თავს დახრიდა, ამხანაგთა ხარხარს იწვევდა. ერთხელ, პროვანსში[16], ჩვენ წინააღმდეგ იმპერატორ კარლოს V-ის ლაშქრობის დროს, მარკიზ დელ გუასტო ქალაქ არლის დასაზვერვად გაემართა. გზად ქარის წისქვილს შეაფარა თავი, საიდანაც ადვილად მიუახლოვდებოდა ქალაქს, მაგრამ იგი შეამჩნიეს არლის ცირკის ამფითეატრზე მოსიარულე ბატონებმა დე ბონევალემ და მეფის მსახურთუხუცემა აკენუამ. მათ ბ-ნი გუასტო არტილერიის უფროსს ბ-ნ დე ვიიეს დაანახეს. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაუმიზნა კულევრინი* მარკიზს, რომელმაც შეამჩნია დამიზნებული ქვემეხი და ყუმბარა რომ აეცდინა, მიწაზე გაწვა.

მსგავსი ამბავი შეემთხვა რამდენიმე წლის წინ ურბინიის ჰერცოგს, ჩვენი მეფის დედის[17] — დედოფლის მამას ლორენცო მედიჩს მონდოლფოს ალყის დროს. ეს ციხესიმაგრე იტალიაში, კერძოდ ვიკარტიაში[18] მდებარეობს. ჰერცოგმა დაინახა თუ არა, როგორ წაუკიდეს ცეცხლი მისკენ დამიზნებული ქვემეხის ფთილას, იგი მიწაზე დაემხო,

*კულევრინი — ძველებური ქვემეხი

ყუმბარამ კი თავზე გადაუარა; ასე რომ არა, უდავოდ მუცელში მოხვდებოდა. სიმართლე გითხრათ, არა მგონია, რომ გააზრებულად ვაკეთებდეთ ასეთ მოძრაობებს. ამ დროს შეუძლებელია ვიფიქროთ დამიზნების მდგომარეობაზე — როგორია ის, მაღალი თუ დაბალი, ყველაფერი ძალზე სწრაფად ხდება. ბევრად უფრო მართებული იქნება, თუ დავუშვებთ, რომ აღწერილ შემთხვევაში შიშით მიწაზე განრთხმულ ადამიანებს საკუთარი საზრიანობა კი არა, უმალ ბედი სწყალობდათ. ტყვია როგორი სიზუსტითაც შეიძლება მოგვხვდეს, ისეთივე სიზუსტით შეიძლება აგვცდეს კიდეც. ზოგჯერ სრულიად გაუთვალისწინებელ ადგილზე, არკებუზის* მოულოდნელ გამაყრუებელ გასროლას ისე დაუცია თავზარი ჩემი ყურთასმენისათვის, რომ დაზაფრულს კანკალი ვერ შემიკავებია; ეს ჩემზე მამაცებსაც დამართნიათ, ამის მოწმე ხშირად ვყოფილვარ.

სტოიკოსებიც აღიარებენ, რომ ბრძენსაც არ ძალუძს თავის შეკავება მოულოდნელი შთაბეჭდილებებითა და მოვლენებით გამოწვეული შიშისა თუ გაოცებისაგან. ბრძენიც ჯეროვან ხარკს უხდის ბუნებას, როცა, მაგალითად, ძლიერი ქუხილის ან ნგრევის დროს გაფითრდება ან მოიკუნტება. იგივე ითქმის სხვა ნებისმიერ მოქმედებებზეც; მთავარია, აზროვნებამ შეინარჩუნოს სიმტკიცე და ჩვეული მდინარება, გონება დარჩეს ურყევი და საკუთარი თავის მოიმედე, არ დანებდეს შიშის ან

*არკებუზი — ძველებური ფილთა თოფი

ტანჯვის გრძნობას. არაბრძენიც ზუსტად ისეთსავე მდგომარეობაში ვარდება, როგორც ეს ახლახანს აღვწერეთ, მაგრამ ვერ ინარჩუნებს გონების ისეთსავე შეუპოვრობას, როგორც ბრძენი კაცი. ჩვეულებრივ, ვნებისმიერი აღქმით მიღებული შთაბეჭდილება რიგითი ადამიანებისათვის ზედაპირული არაა, იგი აღწევს მისი ცნობიერების ღრმა დანაშევრებში, უწამლავს სულს და ასნეულებს, მისი მსჯელობაც ვნებათა ზეგავლენას ემორჩილება, ბრძენი სტოიკოსის სრული და ჭეშმარიტი სულიერი მდგომარეობა კი ასეთია:

*„ამაოდ აღვრება ცრემლი, სული არ ერყევა“**.

პერიპათეტიკოსთა[19] სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სულიერი ძვრები არც ბრძენისთვისაა უცხო, უბრალოდ მას ძალუძს ამ გრძნობების მოთოკვა და მათი სიმძაფრის განელება.

სასჯელი ლაჩრობისათვის

ერთი უფლისწულისგან, რომელიც საკმაოდ დიდი მხედართმთავარიც იყო, გამიგონია, რომ არ შეიძლება ჯარისკაცი სიკვდილით დასაჯო ლაჩრობისათვის. ეს აზრი მან სუფრასთან გამოთქვა, როდესაც მას ბ-ნ დე ვერვენეს სასამართლოს შესახებ უამბეს. ეს უკანასკნელი ბულონის[20] ჩაბარებისათვის დასაჯეს სიკვდილით. სრულიად

---

*ვერგილიუსი, ენეიდა. IV, 449

სამართლიანად მიჯნავენ ერთმანეთისაგან დანაშაულობებს, რომლებიც მომდინარეობენ, ერთი მხრივ, ადამიანის სისუსტიდან და, მეორე მხრივ, მისი ბოროტი ზრახვიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ შეგნებულად ვეწინააღმდეგებით ჩვენს არსებაში ბუნების მიერ ბოძებულ გონების ნებას; ჩვენივე არასრულყოფილებისა და სისუსტის გამო კი, მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ისევ ბუნებას უნდა მივმართოთ შემწეობისათვის. ამიტომ მიაჩნიათ, რომ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ჩვენივე სინდისის წინააღმდეგ ჩავიდინეთ. გარკვეულწილად ამას ეფუძნება იმათი აზრი, ვინც გმობს ერეტიკოსთა და ურწმუნოთა სიკვდილით დასჯას; აგრეთვე ის წესიც, რომლის თანახმადაც, ვექილსა და მოსამართლეს პასუხი არ უნდა ვაგებინოთ მათივე სამსახურეობრივი დაუდევრობისათვის.

რაც შეეხება სილაჩრეს, მისი ყველაზე მაღალი სასჯელია საყოველთაო შერცხვენა, ზოგჯერ კი ზიზღი და პიროვნების უგულებელყოფა. ფიქრობენ, რომ ეს წესი კანონმდებელმა ქარონდასმა[21] შემოიღო. მანამდე ბერძნული კანონები სიკვდილით სჯიდნენ ყველას, ვინც ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა. ქარონდასის ბრძანებით, ბრძოლის ველიდან გაქცეულები ქალის სამოსელში გამოწყობილები სამი დღის განმავლობაში სასეიროდ უნდა გამოეყვანათ ქალაქის მოედანზე. კანონმდებელი იმედოვნებდა, რომ ასეთი შერცხვენა სასარგებლოდ წაადგებოდა მათ და ვაჟკაცურ სულისკვეთებას გაუღვივებდა: „უსჯობესია სისხლი

ღაწვებზე აწვებოდეს ადამიანს, ვიდრე ღვრიდეს"*. რომის კანონებიც, ყოველ შემთხვევაში ძველი დროისა, ასევე სიცოცხლის ღირსად არ თვლიდნენ ომში თანამებრძოლთა მიმტოვებელს. ამიანე მარცელინუსის[22] თანახმად, იმპერატორმა იულიანემ[23] პართელთა ჯარებზე თავდასხმის დროს ათ მეომარს, რომელთაც ზურგი შეაქციეს მტერს, ჩამოართვა სამხედრო წოდება და, ძველი კანონების თანახმად, სიკვდილით დასაჯა, თუმცა სხვა შემთხვევაში იმავე დანაშაულისათვის იმპერატორმა ჯარისკაცები მხოლოდ ტყვეთა აღალაში გაუშვა და ამას დასჯერდა. რომაელმა ხალხმა არასასიკვდილო, მაგრამ მკაცრი სასჯელი დაადო კანეს[24] ბრძოლიდან გაქცეულ ჯარის-კაცებს; მათაც, ვინც იმავე ბრძოლის დროს დამარცხებული ფულვიუსის[25] გვერდით იყო. ლაჩრობისათვის დასჯის ნაცად გზად მაინც შერცხვენა რჩება, მაგრამ ასეთი დასჯისას სიფრთხილე გვმართებს, საქვეყნო თავისმოჭრა არა მხოლოდ სასოწარკვეთილებას ან გულგრილობას იწვევს, არამედ ზოგჯერ მათში მტრულ განწყობილებასაც აღვივებს ხოლმე.

მემატიანის თანახმად, მარშალმა დე შაბანმა ბ-ნი დე ფრანჟი, ერთ დროს მარშალ დე შატიონის ჯარების მხედართმთავრის თანაშემწე, ქ. ფუენტარაბიის გუბერნატორად დანიშნა, ბ-ნ დიუ ლიუდის ნაცვლად. დე ფრანჟმა ეს ქალაქი ესპანელებს დაანება, ამისთვის მას აზნაურის წოდება ჩამოერთვა, თვითონ და მისი

*ტერტულიანე, აპოლოგეტიკა, IV

შთამომავალნიც გამოცხადნენ იმ ფენის მდაბიოებად, რომელთაც უფლება არა ჰქონდათ, იარაღი ეტარებინათ. ეს მკაცრი განაჩენი აღსრულდა ლიონში. შემდეგში ასეთი სასჯელით განიკითხეს ყველა აზნაური, რომელიც ნანსაუს გრაფის შესვლისას ქალაქ გიზში იმყოფებოდა. მოგვიანებით ზოგი სხვაც ასევე დაისაჯა და მაინც, ყოველთვის, როდესაც მოწმე ვართ უხეში და აშკარა, ზღვარს გადაცილებული უვიცობის ან სილაჩრისა, მართებული იქნებოდა მათ შორის ბოროტის მზრახველნი გამოგვერჩია და მხოლოდ ისინი დაგვესაჯა.

ადამიანის ბედნიერებაზე მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ

> „ადამიანი უნდა ელოდეს თავის უკანასკნელ დღეს; შეუძლებელია ვისმეზე თქვათ, რომ იგი ბედნიერია, ვიდრე არ დადგება მისი აღსასრული და არ აღსრულდება მისი დაკრძალვის წესი“.*

ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა მეფე კრეზის[26] ამბავი შემოგთავაზოთ, რომელიც ბავშვებმაც კი იციან. კრეზი ტყვედ ჩაიგდო კიროსმა[27] და სიკვდილი მიუსაჯა; განაჩენის სისრულეში მოყვანამდე კრეზიმ წამოიძახა: „ო, სოლონ! სოლონ!“.[28] ეს ამბავი კიროსს მოახსენეს.

---

*ოვიდიუსი, მეტამორფოზები, III, 135.

ინტერესგალვიძებულმა მეფემ შეეკითხა ტყვეს — რას ნიშნავდა ეს სიტყვები. კრეზიმ უპასუხა: იგი საკუთარი მაგალითით დარწმუნდა იმ სიტყვების ჭეშმარიტებაში, რომელიც ოდესღაც მან სოლონისაგან მოისმინა; სახელდობრ: „როგორც არ უნდა ულიმოდეს ბედი ადამიანს, არ შეიძლება მას ბედნიერი ვუწოდოთ მანამ, სანამ მისი სიცოცხლის აღსასრულის დღე არ დადგება.“ ადამიანური ყოფა ცვალებადი და მრავალფეროვანია, ერთი უმნიშვნელო ბიძგი მაშინვე ცვლის ერთ მდგომარეობას სხვა, სრულიად საპირისპირო მდგომარეობით. ერთი კაცი აგესილაეს[29] უმტკიცებდა, რომ სპარსეთის მეფე ბედნიერი იყო, რადგან ასე ახალგაზრდა განაგებდა ძლიერ სახელმწიფოს. „მართალი ბრძანდებით, — უპასუხა აგესილაემ, — მაგრამ ამ ასაკში ხომ არც პრიამე[30] იყო უბედური.“ დიდი ალექსანდრეს[31] შთამომავალნი, მაკედონიის მეფეები, ხშირად რომში დურგლებად და სასამართლოს მდივნებად ამთავრებდნენ სიცოცხლეს, სიცილიის ტირანები კორინთოში სკოლის მასწავლებლები იყვნენ, ნახევარი მსოფლიოს დამპყრობი და ულევი ლაშქრის მხედართმთავარი პომპეუსი[32] ეგვიპტის ერთ-ერთი მეფის ყეყეჩი მოხელეების წინაშე საბრალო მთხოვნელად იქცა. აი, რად დაუჯდა დიდ პომპეუსს ხუთი-ექვსი თვით სიცოცხლის გახანგრძლივება! ჩვენ წინა თაობას ახსოვს მილანის მეათე ჰერცოგი, ლუდოვიკო სფორცა. მისი მრავალწლიანი განმგებლობის დროს მთელი იტალია შიშით ძრწოდა. ამ სხვათა თავზარდამცემმა კაცმა ათი წლის პატიმრობის შემდეგ ლოშის ციხეში დაასრულა სიცოცხლე.

განა ეს დიდი უბედურება არ იყო? განა ჯალათის ხელით არ მოკვდა უმშვენიერესი დედოფალი[33], ქრისტიანული სამყაროს უძლიერესი სახელმწიფოს მეფის ქვრივი?! რა საზიზღარი და ბარბაროსული გულქვაობაა! მსგავსი მაგალითები მრავლად იცის ისტორიამ და როგორც ცის ელვა-ქუხილი და ქარიშხალი განადგურებით ემუქრება კაცთა ნახელავის სიამაყესა და ქედმაღლობას, მიღმა სამყაროს სულებსაც თითქოს შურისძიება სწადიათო მიწიერი დიდებულებისა და ძალმოსილების წინააღმდეგ.

*„რალაც იდუმალი ძალა ხელს უშლის ადამიანის ქმედებას; ჩანს, საუცხოო ფასციების ფეხქვეშ გაქელვითა და მრისხანე ცულებით იგი თავს იქცევს“.**

ბედი თითქოს ჩასაფრებულივით უთვალთვალებს ზოგჯერ ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს, რათა მთელი თავისი ძალმოსილებით წარმოგვიდგეს თავს და თვალის დახამხამებაში დაამხოს ყველაფერი ის, რაც თავად აგვაგებინა წლების მანძილზე; ამის გამოა, ლაბერიუსის[34] მიბაძვით რომ წამოვიძახებთ ხოლმე: „მე ერთი დღით მეტი ვიცხოვრე, ვიდრე მეკუთვნოდა“.**

ამგვარად, ყველა საფუძველი გვაქვს, რათა ყურად ვიღოთ სოლონის ზემოთ მოყვანილი მშვენიერი აზრი, მით უფრო, რომ მისთვის როგორც ფილოსოფოსისათვის, ბედის წყალობა არაა ბედნიერება, ხოლო წყრომა —

---

*ლუკრეციუსი საგანთა ბუნებისათვის V, 1233

**მარკუსი, II,7, 14-15

უბედურება. საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა და გავლენა უმნიშვნელო შემთხვევითობებია. ვფიქრობ, სოლონი უფრო შორს იყურებოდა და იქნებ უნდოდა კიდეც ეთქვა: ადამიანი არ უნდა ჩავთვალოთ ბედნიერად, — თუ ბედნიერებაში კეთილშობილი სულისათვის სიმშვიდე და კმაყოფილება იგულისხმება, ძლიერი სულისათვის კი სიმტკიცე და საკუთარი თავის მართვა — ვიდრე არ ვნახავთ, როგორ გაითამაშებს იგი უკანასკნელს და უდაოდ ყველაზე რთულ აქტს იმ კომედიისა, რომელიც მას ბედისწერამ წილად არგუნა. ვიდრე სიკვდილის ჟამი დაჰკრავს, ადამიანი ყველა სიტუაციაში ახერხებს ნიღაბის მორგებას. აი, თუნდაც ეს მშვენერი ფილოსოფიური საუბრები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენივე გამომუშავებული ქცევაა; თუ რამ მეტისმეტად არ შეურაცხგვყოფს, ყოველთვის ვახერხებთ მშვიდი სახის გამომეტყველება შევინარჩუნოთ და შევნიღბოთ ჩვენი გულისწყრომა; მაგრამ დგება დრო ჩვენი უკანასკნელი როლის – სიკვდილის როლის შესრულებისა და აღმოჩნდება, რომ თვალთმაქცობის თავი აღარ გვაქვს. უნდა ვილაპარაკოთ გულწრფელად და გადმოვაპირქვავოთ ის, რაც ქოთნის ფსკერზეა დალექილი.

„რადგან მხოლოდ მაშინ ბოლოს და ბოლოს გულის სიღრმიდან ამოიფრქვევა წრფელი სიტყვები, ჩამოიგლიჯება ნიღაბი და დარჩება ნამღვილი.“*

აი რატომაა ეს უკანასკნელი აქტი ჩვენი სიცოცხლის

---

*ლუკრეციუსი, „საგანთა ბუნებისათვის“, III.

ავკარგის სასინჯი ქვა და გამოცდა. ეს უზენაესი დღეა და ყველა ჩვენი სხვა დღის მსაჯული. „ეს ის დღეა, — ამბობს ერთი ძველი ავტორი,[35] — რომელმაც უნდა განსაჯოს ჩემს მიერ განვლილი ყველა წელი. სიკვდილისათვის მიმინდვია ჩემი ნამოღვაწარის შეფასება. მაშინ გახდება ნათელი, თუ საიდან მომდინარეობენ ჩემი სიტყვები — ენიდან თუ გულიდან. მე ვიცი მრავალი ადამიანი, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეს მხოლოდ სიკვდილით დაუმკვიდრეს კეთილი ან ბოროტი კაცის სახელი. სციპიონმა[36], პომპეუსის სიმამრმა, თავისი სიკვდილით გააქარწყლა ის აზრი, რომელიც სიცოცხლეში მასზე, როგორც ცუდ ადამიანზე ჰქონდათ. როდესაც ეპამინონდასს[37] ჰკითხეს, ვის უფრო მეტად აფასებდა ქაბრიას,[38] იფიკრატეს[39] თუ საკუთარ თავს, მან უპასუხა: „ეს რომ გადავწყვიტოთ, უნდა დაველოდოთ თითოეული ჩვენგანის სიკვდილს“. მართლაც, დიდად დავაკნინებდით ამის მთქმელის სახელს, თუ მხედველობაში არ მივიღებდით მისი აღსასრულის დიდებულებასა და კეთილშობილებას.

ღვთის ნება შეუცნობადია. ჩემი თანამედროვე სამი უსაზიზღრესი ადამიანი, როგორიც კი ოდესმე მინახავს, ძალზე სამარცხვინოდ ცხოვრობდა. სამივე არამზადა ისე გარდაიცვალა, როგორც ეს პატიოსან და უმწიკვლო ადამიანებს შეეფერით. სიკვდილი შეიძლება იყოს სახელოვანი და სასურველი. მე ვიცნობდი ერთ ადამიანს, რომლის წარმატებების ძაფიც სიკვდილმა იმ დროს გაწყვიტა, როდესაც მან თავისი მიზნების აღსრულების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ჩემი აზრით, მისი სიკვდილი

დიდებული იყო იმდენად, რამდენადაც მისი პატივმოყვარული და თამამი ზრახვების შეწყვეტაში უფრო რაღაც ამაღლებული იყო, ვიდრე თავად ამ ზრახვებში. მან მიაღწია მიზანს, რომლისკენაც ილტვოდა და სიკვდილმაც უწია. ეს აქტი მის სურვილსა და იმედზე უფრო დიდებული და მშვენიერი აღმოჩნდა — უფრო მეტად ძალმოსილი და სახელოვანი აღესრულა, ვიდრე ამაზე სიცოცხლეში ოცნებობდა. სხვათა სიცოცხლის შეფასებისას ყოველთვის მათი სიკვდილის წუთებს ვითვალისწინებ და ამ მხრივ ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ის გახლავთ, რომ ჩემი აღსასრული იყოს კარგი, ანუ მშვიდი და უჩინარი.

ჩვეულებისა და დამკვიდრებული კანონის არასაფუძვლიანად შეცვლის უმართებულობა

ჩემი აზრით, ჩვეულების ძალა საუცხოოდ ჰქონდა შეცნობილი მას,[40] ვინც პირველმა შეთხზა ზღაპარი სოფლელ ქალზე, რომელმაც ახალშობილი ხბო ფერებასა და ხელით ტარებას მიაჩვია და ჩვეულების ძალით ასე ხელით ატარებდა მაშინაც კი, როცა ის საკმაოდ მოზრდილ მოზვრად იქცა. ჩვეულება, მართლაც, ულმობელი და ცბიერია. თავიდან, მოკრძალებული და კეთილმოსურნე თანდათანობით და ფარულად გვეუფლება, მკვიდრდება ჩვენში, ხოლო როდესაც თავის მძვინვარე მტარვალის სახიდან ნიღაბს ჩამოიხსნის, ჩვენ მისთვის თვალის გასწორებაც აღარ ძალგვიძს, თუმცა, ვხედავთ, როგორ გამუდმებით არღვევს განგების მიერ დადგენილ წესებს.

„ჩვეულება ყველაფერში საუკეთესო მოძღვარია“.*

ამასთან დაკავშირებით მახსენდება პლატონის თხზულებიდან „სახელმწიფო“ — გამოქვაბული; ასევე ექიმები ჩვეულების საამებლად ხშირად თავიანთ მოვალეობას რომ უგულებელყოფენ; აგრეთვე, ის მეფე, საკუთარი კუჭი შხამის მიღებას რომ მიაჩვია და ის ქალიშვილიც, რომელიც ალბერტის[41] თანახმად, მხოლოდ ობობებით იკვებებოდა.

ახალ ინდოეთში[42], რომელიც მართლაც უზარმაზარი სამყაროა, სხვადასხვა მხარეებში მრავალრიცხოვანი ხალხები აღმოაჩინეს; განსხვავებული ჰავის მიუხედავად, ისინი ძირითადად ობობებით იკვებებიან; ასევე საჭმელად ასუქებენ და იმარაგებენ კალიებს, ჭიანჭველებს, ხვლიკებს, ღამურებს. ერთხელ, შიმშილობის დროს, იქ ექვს ეკიუდ გაყიდეს გომბეშო, რომელიც შემწვარი, სხვადასხვა სანელებლით შეკმაზული საკვებად გამოიყენება. ახალ ინდოეთში ისეთ ხალხს წააწყდნენ, რომელთა ორგანიზმისთვისაც ჩვენი ხორციანი კერძები შხამიანი და სასიკვდილო აღმოჩნდა.

„დიდია ჩვეულების ძალა; მონადირეები ღამეს თოვლზე ატარებენ, და ძთებში იყინებიან; ცესტით (რკინა ან ტყვია ჩატანებული ქამარი) ნაცემი მებრძოლები არ კვნესიან.“**

უცხო ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეს მაგალითები უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ მხედველობაში მივიღებთ

---

*პლინიუსი, ბუნებრივი ისტორია, XXVI,6.

**ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, II, 17.

საკუთარ გამოცდილება – ჩვეულებებს და გავიხსენებთ, რამდენად უწყობს ხელს ეს უკანასკნელი ჩვენი გრძნობების დაჩლუნგებას. თქმულის დასადასტურებლად სრულებითაც არაა საჭირო მივმართოთ ლეგენდებს ნილოსის სანაპიროების მცხოვრებლებზე ანდა იმას, რასაც ფილოსოფოსები ზეციურ მუსიკად თვლიან, კერძოდ — თითქოს ციური მკვრივი და გლუვი სფეროები ბრუნვისას ერთიმეორეს ეხახუნებიან და საუცხოო, ღვთიურ ჰარმონიულ ბგერებს გამოსცემენ. კოსმიური მნათობები, მათ რიტმს აყოლილნი, მოძრაობენ ცის კამარაზე; ძლიერი ჟღერადობის მიუხედავად ამ დაუსრულებელი კეთილი ხმოვანების მოსმენა ნილოსის სანაპიროებთან მცხოვრები მიწიერი არსებების, ეგვიპტელების ყურთასმენასაც არ ძალუძთ. მჭედლები, მეწისქვილეები და მესაჭურვლეები ვერ შეძლებდნენ მათი მუშაობის თანმხლები ხმაურის ატანას, ეს უკანასკნელი მათ სმენაზეც რომ ისევე ზემოქმედებდეს, როგორც ჩვენსაზე მოქმედებს.

ჩემი ყვავილების კოლეტი* თავდაპირველად სასიამოვნოდ უღიტინებს ჩემ ყნოსვას, მაგრამ თუ მას სამი დღის განმავლობაში არ მოვიხსნი, იგი მხოლოდ ჩემს მახლობლად მყოფთა ყნოსვის ორგანოებს დაატკბობს. ძალზე საოცარია, როგორ წარმოიშობა და მკვიდრდება ჩვევა ადამიანში და როგორ იმორჩილებს იგი ჩვენი გრძნობის ორგანოებს მაშინაც კი, როცა მისი წარმოშობი

*კოლეტი სურნელოვანი ყვავილების მტვერი, რომელსაც სიამოვნებით ყნოსავენ (ბურნუთი)

მიზეზი არა ბუდბივად, არამედ დროის რაღაც ინტერვალით მოქმედებს ჩვენზე. ეს კარგად იციან სამრეკლოს მახლობლად მცხოვრებლებმა. მე ვცხოვრობ ციხე-კოშკში, რომლის თავზეც დიდი ზარი ყოველდღე ალიონსა და მიმწუხრზე Ave Maria –ს რეკს. ამ ზარის ხმაზე თითქოს კოშკსაც კანკალი იპყრობსო. თავდაპირველად მეც ეს აუტანლად მეჩვენებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში იმდენად შევეჩვიე რეკვის ხმას, რომ ეს უკანასკნელი არათუ მაღიზიანებს, ხშირად აღარც მაღვიძებს.

ერთხელ პლატონმა კოჭის თამაშით გატაცებული ბიჭი გაკიცხა; „უსაქმურობის გამო მღანძღავ არა?“ — ჰკითხა ყმაწვილმა. „ჩვეულება სრულებითაც არაა უსაქმურობა“ — ასეთი იყო პლატონის პასუხი. ვფიქრობ, ყველაზე დიდ მანკიერებებს ჩვენში ძალზე ადრეული ასაკიდან ეყრება საძირკველი. ჩვენს აღზრდას ძირითადად ძიძები და გამდელები მეურვეობენ, დედები კი ხშირად გასართობი სანახაობასავით უყურებენ, როგორ უგრეხს მათი ბიჭუნა კისერს წიწილას, როგორ ერთობა იგი კატის ან ძაღლის წვალებით. ზოგი მამა იმდენად უგუნურია, რომ როდესაც მისი ვაჟიშვილი უმწეო გლეხს ან მსახურს უმიზეზოდ ცემს, ეს მას მისი მებრძოლი ხასიათის გამოვლინებად მიაჩნია, ხოლო როდესაც იგივე ახალგაზრდა სიცრუითა და ვერაგობით ახლობლებს აბრიყვებს, ის ამას მის გონებამახვილობად თვლის და ესახელება კიდეც. სინამდვილეში, ყოველივე ეს ბავშვის ბუნებაში უხეშობისა და მუხანათობის საწყისია. ადრეულ ასაკშივე ავლენენ ისინი თავიანთი მომავალი ხასიათის პირველ ნიშნებს,

რომლებიც შემდეგ მოლონიერდებიან და ჩვეულების ძალით განმტკიცდებიან. ამ საზარელი მიდრეკილებების ჰატიება და გამართლება ახალგაზრდული ქარაფშუტობით, საქციელის შედეგთა უმნიშვნელობით, ძალზე სახიფათოა; დიდი გულისყური უნდა ყოველივე ამის დანახვას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბავშვის ქცევაში ისმის თავად ბუნების ხმა, რომელიც ანკარა და წმინდაა, ვიდრე ასაკთან ერთად გაუხეშდებოდეს; მეორეც, განა ნაკლები საძაგლობაა რამდენიმე სუს გამო თაღლითობა, ვიდრე მრავალი ეკიუს ხელში ჩასაგდებად თვალთმაქცობა? თუმცა თავისთავად ორივე საძაგლობაა, მე ბევრად უფრო სამართლიანად მიმაჩნია ასეთი დასკვნა: „თუ მავანი და მავანი ერთი სუს გულისათვის გატყუებთ, რა გარანტია გაქვთ, რომ იგი ერთი ეკიუსთვისაც არ გაგაცურებთ?“ ვიდრე ამგვარ სიტუაციაში ჩვეულებრივ მიღებული განსჯა: „მან ხომ მხოლოდ ერთადერთი სუთი მოგატყუათ, ერთი ეკიუთი მოტყუება მას აზრადაც არ ჰქონია.“ ბავშვებს დაბეჯითებით უნდა ვასწავლიდეთ მანკიერებათა სიძულვილს; თვალითაც და სულითაც ისინი ნათლად უნდა ხედავდნენ მათ სიმახინჯეს; და არა მხოლოდ საქმით, გულითაც ცდილობდნენ მის დათრგუნვას; ნებისმიერი ნიღბის მიუხედავად, მანკიერებებზე ფიქრიც კი საძულველი უნდა იყოს მათთვის.

დღემდე ნებისმიერი თამაშის დროს მოხმობილი ყოველგვარი სიცრუე საოცრად მძულს. ეს ჩემი შინაგანი ზნეობის ხმაა, ჩემი ბუნებრივი მიდრეკილებების შედეგი და არა რაიმე ისეთი, რაც ჩემს მოწადინებასა და

ძალდატანებას ითხოვს. საიდან მოვიდა ეს ყოველივე ჩემ შეგნებაში — იქიდან, რომ ბავშვობიდანვე პირდაპირი და ღია გზით სიარულს მიმაჩვიეს. თანატოლებთან თამაშის დროს მუდამ მეთაკილებოდა (ამასთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ ბავშვების თამაშს უნდა შეეხედოთ, როგორც ამ ასაკისათვის ყველაზე მნიშვნელოვან და ღრმად გააზრებულ საქმიანობას) ყოველგვარი ხრიკი და ეშმაკობა. როდესაც კარტს წვრილ ფულზე — დუბლზე* ვთამაშობ, ისევე ზუსტად ვასწორებ ანგარიშს, როგორც ოქროს ორმაგი დუბლონის** ჩასვლისას; ასევე პუნქტუალური ვარ მაშინაც, როცა ცოლსა და ქალიშვილს ვეთამაშები, ე.ი. მაინც ვიცავ ზნეობრივ წესრიგს, როცა მოგებასაც და წაგებასაც არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის და მაშინაც, პატიოსნად ვიქცევი, როცა საქმე დიდ ფსონს ეხება. საკუთარი თვალებიც კმარა, რათა ყველგან და ყველაფერში წესისამებრ აღვასრულო ჩემი ვალი; ქვეყნად არ არსებობს სხვა მოდარაჯე ხედვა, რომელიც უფრო დაჟინებით მადევნებდეს თვალს და რომელსაც უფრო მეტ პატივს ვცემდე.

ამას წინათ ჩემ სახლში ერთი ჯუჯა გახლდათ. იგი წარმოშობით ნანტიდან იყო. დაბადებით უხელოს იმდენად კარგად უწევდა ხელების მაგივრობას ფეხები, რომ გეგონებოდათ ამ უკანასკნელთ სანახევროდ მაინც ჰქონდათ

---

*დუბლი — წვრილი ფულის ერთეული ძველ საფრანგეთში
**დუბლონი — ოქროს მონეტა

დავიწყებული ბუნებით ბოძებული მოვალეობები. ერთი სიტყვით, ხეიბარი ხელებს უწოდებდა თავის ფეხებს, რითაც ჭრიდა, ტენიდა პისტოლეტს და სხლეტდა ჩახმახს, აგებდა ძაფს ნემსში, კერავდა, წერდა, ქუდს იხდიდა, თმას ივარცხნიდა, თამაშობდა ბანქოს და სხვებზე არანაკლებ მარჯვედ ყრიდა კამათლებს. ფულიც ისე გამომართვა ფეხით, როგორც ხელით (ჯუჯა საკუთარი თავის დემონსტრირებით ირჩენდა თავს). ერთ უხელო ახალგაზრდა ხეიბარსაც ვიცნობდი, რომელიც მკერდზე ნიკაპის დაჭერით აჩერებდა ბრტყელპირა მახვილს — აფთს და დიდ ხანჯალს, შემდეგ მაღლა ისროდა და კვლავ იჭერდა, ტყორცნიდა ხანჯალს და საოცარი ხელოვნებით, ნამდვილი ფრანგი მეეტლესავით ხმარობდა მათრახს.

მაგრამ ჩვეულების ტირანია უფრო იოლი აღმოსაჩენია იმ უცნაურ შეხედულებებში, რომელთა წარმოშობას ჩვენ სულში თავად ჩვეულება ნაკლებად ეწინააღმდეგება. რას არ შთააგონებს იგი ჩვენს რწმენას და რანაირად არ წარმართავს ჩვენს მსჯელობებს?! რამდენი უცნაური აზრი (აღარაფერს ვამბობ იმ მტკნარ სიცრუეზე, მრავალ რელიგიას საფუძვლად რომ უდევს და ამდენ ხალხსა და ჭკვიან ადამიანს თავგზას უბნევს; ყოველივე ეს ადამიანური გაგების უნარს აღემატება, ამიტომ ღვთის წყალობას მოკლებულთ არა ჰმართებთ, შეჰბედონ მის ახსნაზე მიუღებელი შეხედულება და მოსაზრება). ჩვეულებას დაუდგენია თვითნებურად და გარდუვალ კანონად დაუწესებია მის მიერვე არჩეულ ქვეყნებში. მართლაც, საოცრად მართებულია ეს ძველი ნათქვამი: „ნუთუ არ

რცხვენია ფიზიკოსს ანუ ბუნების მკვლევარსა და გამომცდელს, ჩვეულებებით დათრგუნულ სულებში ჭეშმარიტების დამადასტურებელს რომ ეძიებენ?!.*

მე ვთვლი, რომ არ არსებობს ადამიანის მიერ წარმოსახული ისეთი ახირებული გამონაგონიც კი, რომელიც — მოწონებული და დასაბუთებული ჩვენი გონებით — სადმე მიღებული არ იყოს ჩვეულებად. არსებობენ ხალხები, რომლებიც თავიანთი ჩვეულების თანახმად, მისალმებისას ერთმანეთს ზურგს უქცევენ, ერიდებიან იმ ადამიანის შეხედვას, ვის მიმართაც პატივისცემის გამოხატვა ჰსურთ; ისეთი ხალხიც არსებობს, სადაც მეფეს, როდესაც იგი გადაფურთხებას მოისურვებს, ყველაზე გავლენიანი სეფექალი ხელის გულს ახვედრებს. მსგავს სიტუაციაში სხვა ქვეყნის მეფის კარისკაცთაგან ყველაზე გავლენიანი მიწამდე იხრება და მეფის ნერწყვს ცხვირსახოცით წმენდს. თქმულთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა.

ერთი ფრანგი აზნაური მუდამ ხელით იხოცავდა ცხვირს, ასეთი რამ ჩვენი ადათით ძალზე მიუღებელია. ერთხელ თავისი ჩვევის დასაცავად მან (იგი ცნობილი მოკამათე იყო) კითხვით მომმართა: „რა უპირატესობა აქვს ამ ბინძურ გამონადენს სხვა დანარჩენ გამონაყოფთა მიმართ, რომ მას საუცხოო თხელ ტილოში ვაგროვებთ, ვახვევთ და, რაც კიდევ უფრო უარესია, სათუოად ვატარებთ თან? ისიც ხომ ისეთივე საზიზღრობაა როგორც ადამიანის სხეულიდან გამოსული სხვა რამ?! ამიტომ განა უმჯობესი არაა, ისიც

*ციცერონი, ღმერთების ბუნება, 1, 30.

იქ მოვისროლოთ, სადაც მოგვხვდება, როგორც ამას სხვა გამონაყოფის მიმართ ჩავდივართ?!.“ მის სიტყვებში იყო სიმართლის ნაწილი. მე შევეჩვიე ცხვირის გაწმენდის მისეულ ჩვევას და ყურადღებას აღარც ვაქცევდი. მაგრამ როდესაც მსგავს ამბებს უცხოელებზე მოვისმენდი, ეს საზიზღრობად მეჩვენებოდა.

ბუნებაში სასწაულები არ ხდება. მათი არსებობის მიზეზი ჩვენივე ცოდნის არასაკმარისობაა. ჩვეულება აჩლუნგებს ჩვენი მსჯელობის უნარის ცხოველმყოფელობას. ველური ისეთივე საოცრებაა ჩვენთვის, როგორც ჩვენ ვართ მათთვის. ამას თითოეული ჩვენგანი აღიარებდა, თუ უცხო ადათ-ჩვევებს კარგად შეისწავლიდა და ამის შემდეგ კვლავ მისთვის ჩვეულ წესებს მიუბრუნდებოდა, რათა საღად შეედარებინა ისინი ერთმანეთისათვის. ჩვენი შეხედულებები და ზნე-ჩვეულებები, დროისა და ადგილის მიხედვით, გარეგ-ნულ გამოვლინებათა და ნაირსახეობათა მრავალფეროვნების მიუხედავად, თითქმის ერთნაირად საბუთდებიან ჩვენი გონების მიერ.

უმჯობესია კვლავ ჩემ მსჯელობებს მივუბრუნდე. არსე-ბობენ ხალხები, რომელთაც აქვთ ასეთი ადათი — ცოლისა და შვილების გარდა არავისა აქვს უფლება უშუალოდ, შუაკაცის გარეშე მიმართოს მეფეს; ერთი და იმავე ხალხში ქალწულები სხეულის ფარულ ორგანოებს იშიშვლებენ, გათხოვილი ქალები კი საგულდაგულოდ იფარავენ. ამ ადათთან ერთგვარად დაკავშირებულია ამავე ხალხის ერთი ასეთი ჩვეულებაც: უმწიკვლობა მხოლოდ გათხოვილ ქალებს მოეთხოვება, ქალიშვილებს კი არ ეკრძალებათ

დანებდნენ მათ, ვინც ჰსურთ. დაფეხმძიმების შემთხვევაში ყველასაგან დაუფარავად შეუძლიათ, სათანადო წამლებით მუცელი მოიშალონ; ასევე, როდესაც ვაჭარი ქორწინდება, ქორწილზე მიწვეული ყველა ვაჭარი სასიძომდე წვება პატარძალთან და რაც უფრო დიდია მათი რიცხვი, მით უფრო სასახელო და საპატიოა დედოფლისათვის — ეს მის ჯანმრთელობასა და ძალას მოწმობს. ჩვეულების ძალით იგივე უფლება ვრცელდება თანამდებობის პირებზე, სახელოვან ადამიანებზე და სხვებზეც, მიწათმოქმედთა და მდაბიოთა გარდა; ამ შემთხვევაში პირველობა ბატონს ეკუთვნის. მაგრამ იმავე ხალხში გათხოვილ ქალს მკაცრად მოეთხოვება თავისი პატიოსნების დაცვა. ზოგიერთ ქვეყანაში საროსკიპოებში ბიჭებიც ჰყავთ, ხოლო ქორწინება მამაკაცებს შორისაც ნებადართულია. ისეთი ტომებიც არიან, რომელთა ქალები ქმრებთან ერთად მიდიან საომრად და ხშირად ბრძოლასაც მეთაურობენ; ასევე, არიან ხალხები სადაც: ჩვეულების თანახმად, ბეჭედს არა მხოლოდ ცხვირზე, ტუჩზე, ლოყასა და ფეხის ცერა თითზე ატარებენ, არამედ ძუძუს თავებსა და დუნდულებშიც საკმაოდ მძიმე ოქროს წნულებს იყრიან; სადაც ჭამის შემდეგ ხელებს ბარძაყებზე, სათესლე პარკებზე და ფეხის გულებზე იწმენდენ; მშობელთა მემკვიდრეები ძმები და ძმისშვილები ან მხოლოდ ძმისშვილები არიან და არა საკუთარი შვილები (თუმცა ეს ადათი ტახტის მემკვიდრეობითობას არ ეხება); ყველაფერი საერთო საკუთრებაა, საქმეთა განმგებლებად უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილ თანამდებობის პირებს ნიშნავენ, რომელთაც ევალებათ ზრუნვა მიწის დაყოფაზე

და მიღებული ნაყოფის თითოეულის საჭიროების მიხედვით განაწილებაზე; სადაც ადათის თანახმად, ბავშვების გარდაცვალებისას ტირიან, მოხუცების სიკვდილის დროს კი ზეიმობენ; საერთო სარეცელზე ათი, თორმეტი ცოლ-ქმრული წყვილი თავსდება; მეორედ გათხოვების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ქალებს, რომელთა ქმრებიც ძალისმიერი სიკვდილით დაიღუპნენ, დანარჩენებს ეკრძალებათ; ქალები იმდენად იაფად ფასობენ, რომ ყველა ახალშობილ გოგონას უმოწყალოდ ხოცავენ და ქალებს მეზობელი ხალხებისაგან ყიდულობენ; ქმარს უფლება აქვს დატოვოს ცოლი, მიზეზი კი არ განაცხადოს, თუმცა ცოლს იგივე ეკრძალება; ქმარს უფლება აქვს უშვილო ცოლი გაყიდოს. წარმოიდგინეთ ისეთი ხალხებიც არიან, სადაც: მიცვალებულთა გვამებს ხარშავენ, ფაფისებურ მასას ღვინოში ურევენ და სვამენ; სადაც დაკრძალვის ყველაზე მიღებული ფორმაა მიცვალებულის გვამის გადაგდება ძაღლებისათვის ან ფრინველებისათვის, სადაც სწამთ, რომ ნეტარებას ნაზიარები სულები სრული თავისუფლებით ტკბებიან, აყვავებულ ველებზე ბინადრობენ და სიამოვნების ზღვაში ნებივრობენ, რომ სწორედ ისინი წარმოშობენ იმ ექოს, რომელიც ციდან ზოგჯერ გვემის კიდეც; სადაც მხოლოდ წყალში იბრძვიან და ცურვისას ზუსტად ისვრიან მშვილდს; მორჩილების ნიშნად მხრებს მაღლა წევენ და თავს ხრიან; მეფის სახლში შესვლისას ფეხზე იხდიან; ქალების მცველ რელიგიის მსახურ საჭურისებს ცხვირსა და ტუჩებს აჭრიან, რათა ისინი არავინ შეიყვაროს, ხოლო მღვდელმსახურები თვალებს ითხრიან, რათა ამით დემონებს მიუახლოვდნენ

და მათგან წინასწარმეტყველება მიიღონ; სადაც ყოველი ადამიანი სურვილისამებრ აღმერთებს ამა თუ იმ ცხოველს: მონადირე — ლომს ან მელას, მეთევზე — ამა თუ იმ თევზს და ა.შ. ნებისმიერი ადამიანური მოქმედებისა და ვნებისაგან კერპებს ქმნიან; მათი მთავარი ღმერთებია მზე, მთვარე და მიწა; ფიცის დადებისას მიწას ხელით ეხებიან, მზერას კი მზისაკენ აღაპყრობენ; ხორცს და თევზს უმად ჭამენ; სადაც ყველაზე ძლიერი ფიცი ამ მხარის რომელიმე სახელოვანი გარდაცვლილი ადამიანის სახელის დაფიცებაა და მის საფლავზე ხელით შეხებაა; სადაც მეფე საახალწლოდ დიდებულებსა და ქვეშევრდომებს თავისი კერიიდან საჩუქრად ცეცხლს უგზავნის. როდესაც მეფის მსახური ამ ნობათს თავადთან მიიტანს, სახლში ყველა სხვა ცეცხლს აქრობენ, ქვეშევრდომებს კი თავადის სახლიდან მიაქვთ ცეცხლი; სადაც თუ მეფე ღმერთის სამსახურს მოისურვებს (ეს მათთან საკმაოდ ხშირად ხდება), ტახტს ტოვებს; მისი უახლოესი მემკვიდრეც ვალდებულია, ასევე მოიქცეს და ხელისუფლება შემდეგ მემკვიდრეს გადააბაროს; სადაც სახელმწიფოს მმართველობის ფორმას ვითარების მიხედვით ცვლიან; თუ საჭიროდ ჩათვლიან, მეფის ხელისუფლებას უხუცესების განმგებლობით შეცვლიან ან მთელ საქმეებს საბჭოს მიანდობენ; სადაც ქალებიცა და კაცებიც ერთნაირად ექვემდებარებიან წინადაცვეთას და ნათლისღებას; თუ ჯარისკაცი ერთი ან რამდენიმე ბრძოლის შემდეგ ხელმწიფეს მტრის შვიდ ან უფრო მეტ თავს მიუტანს, დიდებულის საფეხურზე მაღლდება; სადაც ადამიანები

ბარბაროსული და ჩვენთვის ძალზე უჩვეულო — სულის მოკვდავობის — მრწამსით ცხოვრობენ; სადაც ქალები კვნესისა და შიშის გარეშე მშობიარობენ; სადაც ისინი ორივე მუხლზე სპილენძის სამუხლეებს ატარებენ; მკბენარით დაკბენილები სულგრძელობის ნიშნად თავადაც კბენენ ამ მწერს; ვერ ბედავენ გათხოვებას, ვიდრე თავიანთ უბიწოებას მეფეს არ შესთავაზებენ (რა თქმა უნდა თუ იგი ამას მოისურვებს); სადაც ერთმანეთთან მისალმებისას თითს ჯერ მიწას ადებენ, შემდეგ კი ცისკენ აიშვერენ; მამაკაცები ტვირთს თავით ატარებენ, ქალები კი მხრებით; ქალები ფეხზე მდგომნი შარდავენ, მამაკაცები კი ჩამუხლულნი; სადაც მეგობრობის ნიშნად ერთმანეთს ცოტაოდენ საკუთარ სისხლს უგზავნიან, ხოლო პატივისცემის ნიშნად სათაყვანებელი ადამიანის წინაშე, თითქოს ღმერთს მიაგებენ პატივს — სურნელოვან ნივთიერებებს წვავენ; სადაც ქორწინებაში დაუშვებელია შორეული ნათესაური კავშირიც კი; სადაც ბავშვებს ძუძუთი კვებავენ ოთხი, ხშირად, კი თორმეტი წლის ასაკამდე, მაგრამ იმავე ხალხში ძალზე სახიფათოდ ითვლება პირველსავე დღეს ძუძუს მიცემა ახალშობილისათვის; სადაც ბიჭების დაცვა მამების ვალია, გოგონების კი დედისა; სადაც დამნაშავეებს ფეხებით კიდებენ და ნელ ცეცხლზე ბოლავენ; სადაც ქალებს წინადაცვეთით სჯიან; სადაც იკვებებიან ბალახით, რომელსაც ყნოსვით ირჩევენ; სადაც ყველაფერი ღიაა, სკივრიც კი, ხოლო კარ-ფანჯარა ლამაზ და მდიდრულ სახლებსაც კი არა აქვთ; აქ სასჯელი ქურდობისათვის ორჯერ უფრო მკაცრია ვიდრე სადმე;

სადაც ტილებს მაიმუნებივით კბილებით კვნეტენ, ვისაიდან ფრჩხილებით გასრესა საზიზღრობად ითვლება; სადაც არასოდეს იჭრიან თმასა და ფრჩხილებს; ზოგან მხოლოდ მარჯვენა ხელზე იჭრიან, მარცხენაზე კი სილამაზის ნიშნად იზრდიან; ზოგან თმას თავის მარჯვენა მხარეზე იზრდიან, მარცხენა მხარეს იპარსავენ. მეზობელი ხალხები ან მხოლოდ თავის თხემზე იზრდიან თმას ან პირიქით — თხემზე იპარსავენ, კეფაზე კი იზრდიან; სადაც მამები თავიანთ ქალიშვილებს, ქმრები ცოლებს თავშესაქცევად სთავაზობენ სტუმრებს და გასამრჯელოსაც ილებენ; სადაც სამარცხვინოდ არ ითვლება შვილების ყოლა საკუთარ დედასთან, ასევე სქესობრივი ურთიერთობა მამასა და ქალიშვილს ან ვაჟიშვილს შორის; სადაც ზეიმის დროს ერთმანეთს შვილებს უცვლიან დროის გასატარებლად.

ზოგი ხალხი ადამიანის ხორცით იკვებება; ზოგ ხალხში პატივისცემის ნიშნად შვილი ვალდებულია მოკლას ასაკოვანი მამა; ზოგან მამები წყვეტენ შვილის ხვედრს — შეუნარჩუნოს სიცოცხლე და აღზარდოს, თუ პირიქით — დედის საშოშივე მოკლას; ზოგან ხანდაზმული ქმრები თავიანთ ცოლებს ახალგაზრდებს სთავაზობენ, საერთო ცოლები ჰყავთ და ეს ცოდვად არ ითვლება; არის ისეთი ქვეყანაც, სადაც ქალები კაბის კალთაზე საპატიო ნიშნად იმდენ ლამაზად მორთულ და ფოჩით გაწყობილ ფუნჯს ატარებენ, რამდენ მამაკაცთანაც ყოფილან.

განა ჩვეულებამ არ წარმოშვა ქალთა სახელმწიფო? განა მანვე არ ააღებინა ხელთ მახვილი, დაარაზმვინა თანამებრძოლნი და წინ გაუმძღვარა საომრად? განა

ჩვეულება არ უნერგავს უგუნური მდაბიოების ცნობიერებას იმას, რასაც ბრძენთა გონებას ფილოსოფიაც ვერ შთააგონებს? ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მთელი რიგი ხალხებისა, რომლებიც არა თუ არად აგდებენ სიკვდილს, არამედ სიხარულით ხვდებიან; ზოგ ხალხში შვიდი წლის ბავშვი წკეპლით ცემით სიკვდილის პირამდეც რომ მიიყვანოთ, წარბსაც არ შეიხრის; ზოგან სიმდიდრე იმდენად სათაკილოა, რომ ყველაზე ღარიბ მოქალაქესაც ულირს საქციელად მიაჩნია ოქროთი სავსე ქისის ასაღებად ხელის გაწოდება. ჩვენთვის ასევე ცნობილია საკვებით საოცრად უხვი მხარეები, სადაც ყველაზე ნუგბარ საკვებად მაინც პური, ველური სალათა და წყალი ითვლება. ქიოსის[43] კუნძულზე შვიდასი წლის მანძილზე ერთი შემთხვევაც არ გამჟღავნებულა, რომ რომელიმე ქალს ან ქალიშვილს თავისი პატიოსნება შეელახა. განა ამ სასწაულის მიზეზიც ჩვეულება არაა?!

ერთი სიტყვით რამდენადაც ჩემს წარმოდგენას ძალუძს წარმოვიდგინო, არაფერია ისეთი, რისი ქმნის უნარიც ჩვეულებას არ შესწევდეს. პინდარემ[44], მართლაც, სამართლიანად უწოდა მას მსოფლიოს ხელმწიფე და განმგებელი. ერთხელ ერთ კაცს მამის ცემის დროს შეუსწრეს. საყვედურზე მან უპასუხა, რომ ასეთი იყო მათი ადათი — თავის დროზე მამამისიც ასევე სცემდა პაპას, პაპა თავის მამას და ა.შ. შემდეგ მან თავის ვაჟზე მიუთითა: „როცა ჩემი ხნისა გახდება, ესეც იმ ადათისამებრ მომექცევა.“ შვილმა ქუჩაში გაათრია ნაცემი მამა, რომელიც ხმას არ იღებდა; ერთ-ერთი კარის წინ კი შვილს უბრძანა

შეჩერებულიყო, რადგან, მისივე სიტყვების თანახმად, ჩვეულებას დაარღვევდა, თუ იგი ამ კარის იქით განაგრძობდა მშობლის თრევას. არისტოტელე გადმოგვცემს, რომ არც თუ იშვიათად ქალები უმალ ჩვეულების და არა ავადმყოფობის ან მწუხარების გამო იგლეჯენ თმებს, იჭამენ ფრჩხილებს, ახრამუნებენ ნახშირსა და მიწას; მამაკაცებსაც ერთმანეთისადმი ლტოლვა არა მათი მამრული ბუნების ნაკლულების გამო უჩნდება, არამედ ჩვეულებას მისდევენ.

საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, ზნეობის კანონებს ბ-უნება წარმოშობს. სინამდვილეში მათაც ჩვეულება აძლევს დასაბამს. ადამიანს, რომელიც შინაგანად პატივს სცემს საყოველთაოდ აღიარებულ და მოწონებულ შეხედულებებსა თუ ზნე-ჩვეულებებს, არ ძალუძს სინდისის ქენჯნის გარეშე უარყოს ისინი ან ჩვეულებათა დაცვით ჯეროვანი დაფასება არ დაიმსახ-უროს. ძველად, როდესაც კრეტის მცხოვრებლებს ვინმეს შეჩვენება უნდოდათ, ისინი ღმერთებს ევედრებოდნენ, მისთვის რაიმე უგუნური ჩვეულება შთაეგონებინა. ჩვეულების ძალა განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ჩვენ — მისგან დათრგუნ-ულნი და ტყვექმნილნი, დიდი ძალისხმევის ფასად თავს ვაღწევთ მის ძალაუფლებას, რათა დავიბრუნოთ დამოუკიდებლობა მის მითითებათა ავკარგის განსასჯელად. ამ უკანასკნელთ ჩვენ, მართლაც, დედის რძესთან ერთად ვითვისებთ; პირველივე შეხებისთანავე სამყარო იმგვარად წარმოგვიდგება, როგორადაც მას ჩვეულების ნება წარმოგვიჩენს. ჩვენ ვთვლით, რომ დაბადებიდანვე იმავე გზით სიარულისათვის ვართ მოწოდებულნი, და რაკი ჩვენს ირგვლივ არსებული

ეს საყოველთაოდ მიღებული წარმოდგენები ჩვენი მამების თესლიდანვე გვაქვს შესისლხორცებული, ამდენად ისინი ჩვენც საყოველთაოდ და ბუნებრივად გვეჩვენება; ამიტომ ნებისმიერი გადახრა ჩვეულებისაგან გონებისაგან გადახრად ითვლება. მხოლოდ ღმერთმა უწყის, უგუნურებაა ეს თუ არა.

სხვებიც რომ ჩემსავით სწავლობდნენ საკუთარ თავს და ჩვენსავით იქცეოდნენ რაიმე გონივრულის მოსმენისას, ყოველი მათგანი მყისვე შეეცდებოდა გარკვეულიყო, თავად მასაც რამდენად ეხება და მიხვდებოდა, რომ ეს ფრაზა უმალ შოლტის მწარე გადაკვრაა მისთვის ჩვეულ მსჯელობათა უგუნურებაზე და არა მოსწრებული სიტყვა. მაგრამ ჭეშმარიტ რჩევებსა და მითითებებს ყოველი პიროვნება აღიქვამს, როგორც მიმართვას ზოგადად ადამიანისადმი და არა პირადად მისადმი. ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნულ მითითებებზე იფიქრონ და თავიანთ ჩვეულებებს მიუსადაგონ, მათ გონების ღრმა შრეებში ინახავენ, რაც ძალზე უგუნური და ფუჭი საქმიანობაა. უმჯობესია, კვლავ ჩვეულების ტირანიას დავუბრუნდეთ.

თავისუფლებაში აღზრდილი და საკუთარი თავის მართვას ჩვეული ხალხები არაბუნებრივად და შემზარავად თვლიან მმართველობის ყოველგვარ სხვა ფორმას. მონარქიულ ხელისუფლებას მიჩვეულნიც ასევე თვლიან. სახელმწიფოს მმართველობის შესაცვლელად, როგორი ხელსაყრელი შემთხვევაც არ უნდა უბოძოს მათ განგებამ — თუნდაც ისეთი, დიდი ძალისხმევით რომ ჩამოაგდეს რომელიმე აუტანელი ხელმწიფე — ისინი ჩქარობენ მის

ადგილზე სასწრაფოდ დასვან ეინმე, რაკი თავიანთი ბორკილდადებული მდგომარეობა არ ეთმობათ. ყოველ ადამიანს ჩვეულების წყალობით უყვარს ის ქვეყანა, რომელიც მას განგებამ არგუნა საცხოვრებლად. მაგალითად, შოტლანდიის მკვიდრნი — თავიანთი მიწაწყლის მოთაყვანენი — გულგრილნი არიან ტურინისადმი, სკვითები — თესალიისადმი და ა.შ. ერთხელ დარიოსმა რამდენიმე ბერძენს ჰკითხა: რა გასამრჯელოს ფასად დათანხმდებოდნენ ისინი ინდოელთა ჩვეულების მიხედვით მიცვალებული მამები რომ შეეჭამათ (ინდოელთა ადათით, მიცვალებულთა განსასვენებელ ყველაზე საუკეთესო ადგილად მათივე ახლობლების სხეული იყო მიჩნეული). ბერძნება უპასუხეს, რომ არანაირ გასამრჯელოს ფასად ისინი ამას არ იზამდნენ. როდესაც დარიოსი შეეცადა ინდოელები დაერწმუნებინა, უარი ეთქვათ დაკრძალვის თავიანთ წესზე და ბერძენთა ადათით საკუთარი მამები კოცონზე დაეწვათ, ამის გაგონებაზე ინდოელები უფრო აღშფოთდნენ, ვიდრე ბერძნები, მიცვალებულთა გვამების ჭამაზე. ყოველი ჩვენგანიც ასევე იქცევა იმიტომ, რომ ჩვეულება საგანთა ჭეშმარიტ სახეს ფარავს.

„არ არსებობს, ერთი შეხედვით, ისეთი დიდი საოცრება, რასაც შემდგომ თანდათანობით ნაკლები განცვიფრებით არ უყურებდნენ“ *

ერთხელ ერთი ჩვენში საკმაოდ გავრცელებული შეხედულების დასაბუთება ვცადე. ეს უკანასკნელი ბევრს

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 1028.

მიაჩნდა მართებულად, მაგრამ მე ეს არ მაკმაყოფილებდა და ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, შევეცადე მის არსს ჩავწვდომოდი. მისი საწყისი ფესვი იმდენად არამტკიცე აღმოჩნდა, რომ ლამის მეც, რომელსაც მსურდა მის ჭეშმარიტებაში სხვებიც დამერწმუნებინა, უარი ვთქვი მასზე. პლატონი თავის ეპოქაში გავრცელებული სიყვარულის არაბუნებრივი ფორმების აღმოუხვრას შეეცადა. ამ მიზნით მან, მართლაც, ყოვლისშემძლე მეთოდს მიმართა. კერძოდ, გადაწყვიტა ასეთი სიყვარული საზოგადოების გაკიცხვის საგნად ექცია — პოეტებს დაეგმოთ იგი, ხალხს კი სასაცილოდ აეგდო. სწორედ ამ მცდელობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ულამაზესი ქალიშვილები სასიყვარულო ვნებებს აღარ უღძრავენ თავიანთ მამებს, კეთილაღნაგი ძმები კი დებს. პლატონის თანახმად თქმულებები თიესტზე[45], ოიდიპოსსა[46] და მაკარევსზე[47] მშვენიერ ლექსთა გამოთქმით კითხვით გამოწვეულ სიამოვნებასთან ერთად ბავშვის ფაქიზ აზროვნებაში სათავეს უდებენ სასარგებლო გაფრთხილებასაც, რომელიც ბუნებრივ ჭეშმარიტ სასიყვარულო ურთიერთობას ეხება. უბიწოება, მართლაც, ჩინებული სათნოებაა, ყველამ ვიცით, თუ რაოდენ დიდია მისი დაცვის სარგებელი. მაგრამ უბიწოების შთაგონება ან მისი შენახვის იძულება ადამიანის ბუნებაზე დაყრდნობით, იმდენადვე რთულია, რამდენადაც იოლია ჩვეულებით, კანონებითა და მითითებებით. უპირველესი და საყოველთაო ჭეშმარიტებების შთაგონება არც ისე იოლია. ჩვენი მოძღვრები ჩქარობენ, ძალზე ზოგადად ეხებიან მათ, ანდა სულაც კერ ბედავენ მათ შეხებას, ამპარტავნულად

იბლინძებიან და თავშესაფარს მაშინვე ჩვეულების კალთის ქვეშ ეძებენ, ამით კი ისინი, ვისაც ცოდნის შეძენა მხოლოდ პირველწყაროდან ანუ ბუნებიდან ჰსურთ, კიდევ უფრო მეტ ცთომილებაში ვარდებიან და უხიაკ აზრებს გამოთქვამენ. მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი — ქრისიპე[48] თავის თხზულებებში ხშირად გვიჩვენებს, თუ როგორ შემწყნარებლურად ეკიდება იგი ნებისმიერ სისხლალრევითს კავშირებს. ვინც ჩვეულების ყოვლისშემძლე ცრურწმენისაგან განთავისუფლებას მოისურვებს, თავის ცნობიერებაში აღმოაჩენს ბევრ უეჭველ საგანს, რომელთა საფუძველიც მხოლოდ დიდი ხნის წინათ ძვალსა და რბილში გამჯდარი წარმოდგენების ხანდაზმულობის ნაოჭებია. როდესაც ამგვარ საგნებს ჩვეულებებით მორგებულ ნილაბს ჩამოვხსნით და მათ ჭეშმარიტებასა და გონიერებას შევუპირისპირებთ, მაშინ ნახეთ უწინდელი შეხედულებების მსხვრევა. მიუხედავად ამისა, ადამიანი ფეხქვეშ უფრო მყარ ნიადაგს იგრძნობს და მეც სწორედ მაშინ სიამოვნებით ვკითხავ მას: ნუთუ შესაძლებელია იმაზე მეტი საოცრება, რაც ჩვენ თვალწინ ხდება — ნუთუ ხალხი უნდა მორჩილებდეს ისეთ კანონებს, რომლებიც მას არ ესმის და მუდამ გამოცანაა მისი გონებისათვის. ნებისმიერ ყოფით საქმეში — ქორწინების, ნაჩუქრობის, ანდერძის, ყიდვის, გაყიდვის დროს — ხალხს ისეთ წესებთან აქვს საქმე, რომელთა ცოდნაც მას არ ძალუძს იმ უბრალო მოტივით, რომ ეს კანონები შედგენილი და გამოქვეყნებულია მისთვის უცხო ენაზე. ამის გამო იგი იძულებულია, მათი განმარტებისა და სათანადო გამოყენებისათვის ფული

გადაიხადოს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ძალზე შორსაა ისოკრატეს[49] გონებამახვილური წინადადებისაგან, რომელმაც თავის ხელმწიფეს ქვეშევრდომთათვის თავისუფალი, სარფიანი და შეუფერხებელი ვაჭრობის უზრუნველყოფა ურჩია, მაგრამ ეს ყველაფერი რომ მათთვის ზარალიანი ყოფილიყო, ყოველგვარი დავა და ანგარიშსწორება დიდი გადასახადით დაებეგრა; ეხელმძღვანელა იმ შემზარავი მოსაზრებით, რომლის თანახმადაც ადამიანის გონებაც ვაჭრობის საგანია, კანონები კი ბაზრის საქონელი. დიდად მადლობელი ვარ განგებისა, რომ პირველი, ვინც ჩვენი ისტორიკოსების თანახმად, წინ აღუდგა კარლოს დიდის ზრახვას — ჩვენს ქვეყანაში რომაული და იმპერიული სამართლის შემოღებას — ერთი ჩემი თანამემამულე, გასკონელი აზნაური იყო.

რა უნდა იყოს იმაზე უცნაური, რომ კანონით დადგენილი ადათის თანახმად იყიდებოდეს სასამართლო დაწესებულებათა თანამდებობები, ხოლო სასამართლოს განაჩენისათვის ლითონის ფულს იხდიდნენ; კანონის სრული დაცვით ეუბნებიან უარს მართლმსაჯულებით სარგებლობაზე მათ, ვისაც საშუალება არა აქვთ, ფული გადაიხადონ თუნდაც ძალიან უბრალო საქმის გარჩევისათვის; აქ ეს ვაჭრობა ისეთ დონეზეა, რომ სახელმწიფოში არსებული სამი ფენის — სამღვდელოების, აზნაურობის და მდაბიოთა — პარალელურად იქმნება მეოთხე ფენა — მართლმსაჯულების მწარმოებლებისა, რომელიც დაჰპატრონებია კანონებს და თვითნებურად განაგებს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ქონებას. ეს ფენა თავადაზნაურობისაგან

განცალკევებულად ქმნის კორპორაციას; სწორედ აქედან ილებს დასაბამს ურთიერთსაპირისპირო კანონთა ორი რიგი: ღირსების კანონები და ის კანონები, რომელთაც მართლმსაჯულება ეფუძნება. მაგალითად: პირველი რიგის კანონები მკაცრად სჯიან იმ ადამიანს, ვინც მოითმენს სიცრუეში — ცრუ მხილების ბრალდებას, ხოლო მეორე რიგის კანონები ასეთი ბრალდებისათვის შურისძიებას ითხოვენ. რაინდთა კანონის თანახმად, მას ვინც მიყენებულ შეურაცხყოფას აიტანს, ღირსება და აზნაურის წოდება ერთმევა; სამოქალაქო კანონთა თანახმად ის, ვინც მისთვის მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურს იძიებს, ისჯება სისხლის სამართლის კანონით. გამოდის, რომ ვინც კანონს შეურაცხყოფილი ღირსების დასაცავად მიმართავს, ის საკუთარ ღირსებას ლახავს, ვინც ამას არ იქმს, მას კანონი დევნის და სჯის. ერთობ უცნაურია, რომ ამ ორი სრულიად განსხვავებული ფენიდან, — თუმცა, ერთი და იმავე მბრძანებელს დაქვემდებარებულნი — ერთი ომზე ფიქრობს, მეორე მშვიდობისაკენ ილტვის; ერთის ხვედრი სარგებელია, მეორისა ღირსება; ერთის სწავლულობა, მეორისა ქველობა; ერთისა სიტყვა, მეორისა საქმე; ერთისა სამართლიანობა, მეორისა გამბედაობა; ერთისა გონიერება, მეორისა ძალა; ერთისა გრძელკალთებიანი მანტია, მეორისა მოკლე შემოსაცმელი.

ძალზე უმნიშვნელო რამედ მეჩვენება ჩვენი სამოსი, მაგრამ სხვა ვინმე თუ მოისურვებდა სამოსი განეხილა მისი ჭეშმარიტი დანიშნულებით, — კერძოდ დაეფარა და დაეცვა ჩვენი სხეული, ამასთან შეძლებისდაგვარად

მოხერხებულიც ყოფილიყო, მოხდენილიცა და მართებულიც — მე მას მივუთითებდი, ჩემი აზრით, ყველაზე საოცარზე, რისი წარმოდგენაც კი ადამიანს ძალუძს — კერძოდ, ჩვენებურ ოთხკუთხა თავსაბურავებზე, ქალის თავიდან ჩამოშვებულ ხავერდის გრძელ ნაკეცებიან, ნაქარგებითა და სამკაულებით აჭრელებულ კუდზე, მის უცნაურ მსგავსებაზე ერთი ორგანოსადმი, აქ ზრდილობის გამო რომ ვერ ვასახელებთ, მაგრამ მორთულობის მთელი ბრწყინვალებით რომ წარმოვუჩენთ პატიოსან საზოგადოებას. ამგვარი საჩოთირო მსგავსებანი გონიერ ადამიანს სრულებითაც არ უშლიან ხელს, საყოველთაო მოდას მიჰყვებოდეს. მეტსაც გეტყვით, ვთვლი, რომ ჩვენი ტანსაცმლის მოდის ყველა გამონაგონი და უცნაურობანი უმალ ახირებულობისა და კუდაბზიკობის შედეგია და არა გონიერებისა. ბრძენი თავის სულს უნდა იცავდეს ყოველგვარი გარეგნული დატვირთვისაგან, რათა მას თავისუფლება და ყველაფერზე შეუზღუდავი მსჯელობის უნარი შეუნარჩუნოს. თქმულის მიუხედავად, როცა საქმე გარეგნულ იერს ეხება, მაინც იძულებულია, მკაცრად დაიცვას დადგენილი წესები და ფორმები. საზოგადოებას არა ესაქმება რა ჩვენ შეხედულებებთან, მაგრამ სხვა დანარჩენი — ჩვენი საქმიანობა, შრომები, ქონება და თვით სიცოცხლე, უნდა მის სამსახურში ჩააყენოთ და მის სამსჯავროს გადასცეთ, დიდი სოკრატეს მსგავსად. უსამართლო და მიკერძოებული განაჩენის მიუხედავად, სოკრატემ მხოლოდ იმ მოტივით განაცხადა უარი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე, რომ ეს ხელისუფლებისადმი

დაუმორჩილებლობა იქნებოდა. ამრიგად, თითოეული იმ ქვეყნის კანონებს უნდა ჰმორჩილებდეს, რომელშიც ცხოვრობს. ეს წესთა წესი და კანონთა კანონია.

*„ჩინებულია საკუთარი ქვეყნის კანონების მორჩილება“.**

აქვე მინდა ერთი განსხვავებული მოსაზრებაც განვიხილო. ძალზე საეჭვოა, მოქმედი კანონის შეცვლამ, იმის მიუხედავად, თუ როგორია იგი რეალურად, შეძლოს იმდენი სარგებლის მოტანა, რომ გადაძლიოს ამავე კანონის ამოქმედებით გამოწვეული ბოროტება. სახელმწიფო შეიძლება შევადაროთ ნაგებობას, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ცალკეული ნაწილებისაგან. შეუძლებელია, თუნდაც ერთ-ერთი მათგანის უმნიშვნელო შერხევამ, გავლენა არ მოახდინოს მთელ ნაგებობაზე. თურინთა კანონმდებელმა[50] ბრძანა, რომ ის, ვინც რომელიმე ძველი კანონის გაუქმებას ან ახლის შემოღებას მოისურვებდა, ხალხის წინაშე კისერზე თოკით უნდა გამოსულიყო; თუ მის მიერ შეთავაზებული სიახლე ერთსულოვან მოწონებას არ დაიმსახურებდა, იგი იქვე უნდა დაეხრჩოთ. ლაკედემონის კანონმდებელმა[51] მთელი სიცოცხლე მოანდომა თანამოქალაქელთაგან მტკიცე პირობის მიღებას, რომ არც ერთ მის მითითებას არ შეცვლიდნენ. როდესაც ეფორემ უმოწყალოდ ვაწყვიტა ფრინსისის[52] მიერ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამატებული ორი ახალი სიმი, იგი არც

---

*ციტატი ანტიკური დროის უცნობი ავტორის თხზულებიდან.

კი დაფიქრებულა — იქნებ გაუმჯობესდა და გამდიდრდა აკორდებით მისი ინსტრუმენტი. ამ სიახლის დასაგმობად მისთვის ისიც კმაროდა, რომ ძველ ჩვეულ ნიმუშში რაღაც შეიცვალა. შეუცვლელობას მოწმობს მართლმსაჯულების ძველი, დაჟანგული მახვილიც, მარსელში სათუთად რომ ინახება.

ნებისმიერი სახით წარმოდგენილ ყოველგვარ სიახლეზე გული გამიტყდა, რადგან ხშირად ვყოფილვარ მოწმე მათი დამღუპველი შედეგებისა. თუმცა ისიც — წლების მანძილზე რომ გვთრგუნავს — არ ჩანდა უშუალო მიზეზად იმისა, რაც შემდეგ მოხდა, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ვითარებათა ავბედითი დამთხვევის წყალობით, სწორედ ის აღმოჩნდა ყველა იმ უბედურებათა და საშინელებათა საწყისი, რაც მისი უმოქმედობით ან მის წინააღმდეგ მოქმედებით ხდება.[53] დაე, ამის გამო აღნიშნული სიახლე საკუთარ თავს დაემდუროს.

„ვაი, რომ საკუთარი იარაღით მიყენებული
*ჭრილობებით ვიტანჯები“.**

სახელმწიფოს ნგრევისას ხშირად პირველნი სწორედ ისინი იღუპებიან, ვინც მის წყობას არყევენ. ამბოხების მოთავე ვერასოდეს ტკბება თავისი მონაპოვარის ნაყოფით — იგი მხოლოდ წყალს ამღვრევს, თევზს კი სხვები იჭერენ. ჩვენი მონარქიის ერთიანობა და სიმტკიცე ზემოხსენებულმა სიახლემ დაარღვია, რასაც მისმა ხანდაზმულობამ ველარ გაუძლო და დიდებული შენობა

* ოვიდიუსი, ჰეროიდები, II, 48.

შეირყა, დაიბზარა... ნგრევამ კი ერთგვარი ჭიშკარი შექმნა ხსენებულ უბედურებათა შესაშვებად. ერთი ძველი მწერლის თანახმად, ხელმწიფის დიდების ჩამოგდება მწვერვალიდან შუა წელამდე უფრო ძნელია, ვიდრე შუა წელიდან ძირამდე. თუმც ინიციატორებს უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე მათ მიმბაძველებს, მაინც ეს უკანასკნელნი უფრო მეტ დანაშაულს სჩადიან, რადგან წინამორბედთა მაგალითს მიჰყვებიან, თუმცა მათი მოქმედების ბოროტება და საშინელება თავის დროზე მთელი ძალით განიცადეს და დაგმეს კიდეც. თუ ბოროტმოქმედებას მაინც ახლავს დიდების რაღაც წილი, წამომწყებთა უპირატესობა მიმდევრებთან შედარებით ის არის, რომ წამოწყების იდეაცა და გამბედაობაც სწორედ მათ ეკუთვნით. ყველა ახალი ამბოხება სახელმწიფოს წყობის შესარყევად ნიმუშსა და საშუალებებს უხვად ნახულობს ამ მთავარსა და უშრეტ საწყისში. ქვეყნის ნგრევის ამ უპირველესი ბოროტების აღსაკვეთად შექმნილ ჩვენს კანონებშიც კი შეხვდებით მითითებებს სხვადასხვა სახის ბოროტებათა ჩასადენად და მოსაზრებებს ამ უკანასკნელთა გასამართლებლად. ამჟამად ჩვენც ისეთსავე მდგომარეობაში ვართ, როგორსაც თუკიდიდე[34] აღწერს თავისი დროის სამოქალაქო ომებზე თხრობისას. მაშინ საზოგადოების მანკიერთა საამებლად და გასამართლებლად მოვლენებს ჩამდვილ სახელებს კი არ არქმევდნენ, არამედ ამახინჯებდნენ, არბილებდნენ და ახალი და ნაკლებად მკვახე სახელებით ნათლავდნენ. დღესაც ასევე ჰსურთ ზემოქმედება ჩვენ სინდისზე და ჩვენი შეხედულებების ვითომ გამოსწორება.

„კეთილშობილური საბაბია!“* მაგრამ, რაც არ უნდა საპატიო იყოს მიზეზი, ყოველგვარ სიახლეს მაინც საფრთხე სდევს თან — „ძველ დროთაგან გადახრას გამართლება არ აქვს.“** გულახდილად მიკვირს ადამიანი რამდენად წრეგადასულად პატივმოყვარე უნდა იყოს, რა დიდი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავზე, რომ საკუთარი შეხედულებების გამარჯვებისათვის შშობელ ქვეყანაში არც საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევის წინაშე შეჩერდეს, არც დააფიქროს ამდენმა გარდუვალმა უბედურებამ და ზნეთა საზარელმა ხრწნამ, სამოქალაქო ომების აუცილებელი თანამდევი რომ არიან, არც იმ ცვლილებების წინაშე დაიხიოს, ძალზე მნიშვნელოვან შედეგებს რომ იწვევენ სახელმწიფოს წყობაში. ხომ არ ცდება ის, ვინც ამ საკმაოდ კარგად ცნობილი მანკიერების გაღვივებით სადავო და საეჭვო ნაკლოვანებების აღმოფხვრას ლამობს?! ნუთუ არსებობს უარესი მანკიერება, ვიდრე ის, რასაც საკუთარი სინდისი და საღი აზრი ვერ გაუძლებს?!

რომის სენატს სასულიერო თანამდებობათა განაწილების თაობაზე ხალხთან უთანხმოება ჰქონდა. სენატმა ასეთ ფანდს მიმართა: თითქოს ყველაფერი, რაც ხდებოდა — „უმალ ღმერთებს ეხება და არა მათ, ღმერთები თავად იზრუნებენ თავიანთ წმინდანთა დაცვაზე.“*** ამით მან მიბაძა წინასწარმეტყველის პასუხს დელფოს

*ტერენციუსი, ქალიშვილი ანდროსიდან, V, 141.

**ტიტუს-ლივიუსი, XXXIV, 54.

***ტიტუს ლივიუსი, X, 6.

მცხოვრებლებისადმი — სპარსელთა შემოჭრით შეშინებულმა ბერძნება კითხვით მიმართეს აპოლონს — როგორ გადაერჩინათ მისი ტაძრის სიწმინდენი — გადაემალათ ისინი, თუ ქალაქიდან გაეტანათ. ამაზე ღმერთმა უპასუხა: ხელი არ ახლოთ, ჩემ საკუთრებას თავად დავიცავ, თქვენ კი საკუთარ თავს უშველეთ.

ქრისტიანობა ყველაზე სამართლიანი და სასარგებლო სარწმუნოებაა; თქმულს ნათლად ადასტურებს არსებული ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობისადმი მორჩილების მისი მკაფიოდ გამოხატული მოთხოვნა. უფლის დიადმა სიბრძნემ, მართლაც, საოცარი ნიმუში გვიბოძა — ადამიანთა მოდგმის გადარჩენა, სიკვდილსა და ცოდვაზე გამარჯვება მან ჩვენ საზოგადოებრივ წყობაზე დაყრდნობით, ხოლო ამ დიდი და კეთილმყოფელი მიზნის მიღწევა ჩვენი ბეცი და არამართებული ადათებისა და შეხედულებების დაცვით ინება; თუმც ამ ფასდაუდებელი ნაყოფის მომწიფებამდე მრავალი მისი უდანაშაულო მიმდევრის სისხლი დაღვარა და მრავალ დაკარგულ წელთან შეგუებაც ინება. თავისი ქვეყნის კანონების და ადათების მორჩილთა და იმ ურჩთა შორის, ვინც ამბოხებასა და ახლებით მათ შეცვლას ლამობს, ღრმა უფსკრულია. პირველნი თავის გასამართლებლად გულწრფელობას, მორჩილებას და სხვათა მაგალითს მიმართავენ; მათი ყოველი მოქმედება არ დაეფუძნება ბოროტ ზრახვებს, ეს უმალ მათი უბედურება იქნება. „ნუთუ ვინმე უპატივცემულობას გამოიჩენს იმ სიძველისადმი, რომელსაც ჩვენამდე მოღწეული მრავალი

დიდებული ძეგლი მოწმობს?"*

ისოკრატეს თანახმად, სიმცირე მეტობაზე უფრო ახლოსაა ზომიერებასთან. ამიტომ სახელმწიფოს წყობის ურჩთა გამართლება გაცილებით რთულია. ის, ვინც არჩევანის უფლებას ელტვის და ცვლილებების შეტანა განუზრახავს, განსჯის უპირატესობას ისაკუთრებს. ამიტომ მტკიცედ უნდა იყოს დარწმუნებული შესაცვლელის მცდარობასა და დასამკვიდრებლის ჭეშმარიტებაში.

სწორედ ამ ნათელი მოსაზრების გამო ჩავჯექი შინ; ჯერ კიდევ ახალგაზრდამ და ბევრად უფრო გაბედულმა წესად გავიხადე, ხელი არ მეხლო ისეთი ტვირთისათვის, რომლის ზიდვაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა; არ ამელო პასუხისმგებლობა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეების გადასაწყვეტად, არ გამებედა ისეთი რამ, რის შესრულებაც არ შემეძლო; უმარტივეს საგანზეც, რომელსაც მასწავლიდნენ, მემსჯელა საღად და თამამად, რაც მსჯელობას არავითარ ზიანს არ მოუტანდა. ლტოლვა დამკვიდრებული საზოგადოებრივი წესებისა და დაწესებულებების დასამორჩილებლად კერძო, თვითნებური ცვალებადობისადმი უდიდეს უსამართლობად მიმაჩნია (კერძო აზროვნება მხოლოდ კერძო იურისდიქციას ეფუძნება); მით უფრო უარსაყოფია რაიმე ისეთის წამოწყება ღვთიური კანონების საწინააღმდეგოდ, რასაც ქვეყნის არცერთი ხელისუფლება ადამიანის გონებისათვის უფრო მისაწვდომი სამოქალაქო კანონების მიმართაც არ

*ციცერონი, წინასწარმეტყველება, I, 40.

მოითმენდა, მეტადრე თუ ასეთი მკრეხელობის მოთავენი მოსამართლეთა მსაჯულებადაც გვევლინებიან. ყველაზე უდიდესი უნარი, რაც ჩვენ შეგვწევს, ესაა უკვე დადგენილის ახსნა და განვითარება და არა მათი გაუქმება და ახლით შეცვლა. თუ ღვთიური განგების ნებით ზოგჯერ მაინც დარღვეულა ის წესები, რომლებითაც უზენაესმა მოქმედების ზღვარი დაგვიდო, იგი კანონთა დაქვემდებარებისაგან ჩვენ გასათავისუფლებლად არ მომზდარა. ეს ღვთიური განჩინება იყო, რომლის მიბაძვაც ჩვენ არ გვმართებს და ვერც შეგვლებთ. ასეთი აქტებისადმი ჩვენ მხოლოდ განცვიფრება უნდა გამოვხატოთ როგორც უჩვეულო, განსაკუთრებული ნებით ხელდებული და კაცთა მოდგმისთვის ისეთი შემთხვევების ჩვენებისადმი სასწაულთა რიგიდან, ადამიანის ძალებსა და შესაძლებლობებს რომ აღემატება და ღვთის ყოვლისშემძლეობას რომ მოწმობენ. რაიმე მსგავსის მიბაძვის სურვილიც კი უგუნურება და მკრეხელობაა. ჩვენი ვალი მათი თრთოლვით ჭვრეტაა და არა მიბაძვა, როგორც ღვთისმიერი და არა ადამიანური ქმედებისა. კოტა[55] ჯიუტად აცხადებს პროტესტს: „თუ საქმე რელიგიას ეხება, მე უმაღლეს ქურუმებს — კორუნკანიუსს[56], სციპიონსა და სცევოლას[57] მივმართავ, და არა ზენონს[58], კლეანთესა[59] და ქრისიპეს.“*

ამჟამად ყველანი შუღლს შევუპყრივართ; ასეულობით ძალზე მნიშვნელოვანი დოგმა უარყოფასა და ახლით

---

*ციცერონი, ღმერთების ბუნება, III, 2.

შეცვლას საჭიროებს, მაგრამ როგორც ერთი ისე მეორე პროცესის საწყისებისა და მოსაზრებების ზედმიწევნით ცოდნას ბევრი ვერ დაიკვეხნის; პირიქით, ასეთი მცოდნენი იმდენად მცირედნი იქნებიან, რომ მათ რაოდენობას რიცხვს ვერც ვუწოდებდით და ამდენად ეს არცაა საგანგაშო. მაგრამ საით მიექანება დანარჩენი ბრბო? რა ამოძრავებთ მათ წინაძძღოლებს? ასეთი სიტუაცია სუსტი და უხეიროდ გამოყენებული წამლის მოქმედებასა ჰგავს, რომელიც მავნე სენის ორგანიზმიდან განდევნის ნაცვლად, ათბობს, აძლიერებს, აღაგზნებს მას და სხეულშივე ტოვებს. ასეთი წამალი ვერ გვკურნავს და იმდენად გვაცლის ძალას, რომ დაავადებასაც ველარ ვებრძვით; წამლით გამოწვეული შიგნეულის ტკივილი კი საკმაოდ დიდხანს გვტანჯავს.

ზოგჯერ ბედისწერა, რომლის ძალაც ჩვენი განსჯის შესაძლებლობებს მიღმაა, იმდენად მძიმე მდგომარეობაში გვაგდებს, რომ კანონები გარკვეულ დათმობაზე მიდიან, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელნი ეწინააღმდეგებიან ახლის დამკვიდრებას, რომელიც ძალის მეოხებით ცდილობს თვითდადგინებას, რაკი ყოველთვის და ყველაფერში შეზღუდული სიახლე მკაცრად უნდა იცავდეს დადგენილ წესებს. ასეთი შეზღუდვა მათ წინააღმდეგ ბრძოლისას, ვინც თავისუფლად მოქმედებს და ვისთვისაც დასაშვებია აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ხელს უწყობს მათი ზრახვების განხორციელებას, ვინც მხოლოდ თავისთვის სასარგებლო კანონებითა და ზრახვებით მოქმედებს, არასწორია და ძალზე სახიფათო. „ნდობით ვერაგს

საშუალებას აძლევთ, რომ რაღაც დაგიშავოთ.“* მაგრამ ასეთ გამონაკლისებს ჯანსაღი სახელმწიფოს მართლწესრიგი არ ითვალისწინებს; იგი გულისხმობს მმართველობის ისეთ კორპუსს, რომელიც ეფუძნება თავის ძირითად წევრებს და ინსტიტუტებს, ასევე ყველას თანხმობას, დაიცვან და დაექვემდებარონ ამ კორპუსს. კანონის თანახმად მოქმედება მშვიდი, ზომიერი, თავდაჭერილი უნდა იყოს და წინააღმდეგობას უწევდეს უწესობასა და თავშეუკავებლობას.

დღემდე ადანაშაულებენ ორ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს — ოქტავიუსს[60] და კატონს[61] იმის გამო, რომ პირველი სამოქალაქო, ხოლო მეორე ცეზართან[62] ომის დროს მზად იყვნენ, უმალ უკიდურეს საფრთხეში ჩაეგდოთ სამშობლო, ვიდრე მისთვის გადასარჩენად კანონი დაერღვიათ. ისინი არ არღვევდნენ კანონს ისეთი უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, როცა მთავარია როგორმე გაძლო; ზოგჯერ, მართლაც, უფრო გონივრულია თავი დახარო და დარტყმა მოითმინო, ვიდრე ძალის აღმატებით იბრძოლო, არაფერი დათმო და ამით ძალადობას საშუალება მისცე ყველაფერი ფეხქვეშ მოიგდოს და გათელოს. როდესაც კანონებს იმის ქმნა არ ძალუძთ, რაც ევალებათ, ჯობს ის გააკეთონ, რისი ძალაც შესწევთ. ასე მოიქცა ის[63], ვინც ბრძანა ოცდაოთხი საათით კანონთა დადუმება, რათა კალენდარი ერთი დღით შეემცირებინა; ისიც[64], ვინც ივნისი მაისად აქცია. ლაკედემონელები ძალზე გულმოდგინედ

*სენეკა, ოიდიპოსი, 686.

იცავდნენ თავიანთ კანონებს. ერთხელ, თუმცა კანონი კრძალავდა წინა მეთაურის ფლოტის ადმირალად კვლავ არჩევას, როდესაც გარემოებამ დაბეჯითებით მოითხოვა ეს თანამდებობა კვლავ ლისანდრეს დაეკავებინა, მათ არ დაარღვიეს კანონი და ფლოტის სარდლად არაკე დანიშნეს, ლისანდრეს[65] თანამდებობის სახელი შეუცვალეს მხოლოდ და საზღვაო ძალების მთავარი განმკარგულებლის ადგილი უბოძეს. ასეთსავე ფანდს ბიძართა ათენელებთან წარგზავნილმა ლაკედემონელთა ერთ-ერთმა ელჩაც. მას რომელიღაც განკარგულების შესაცვლელად როგორმე უნდა დაეთანხმებინა ათენელები. პერიკლემ[66] ელჩს განუცხადა, რომ მათი კანონი კატეგორიულად კრძალავდა იმ დაფის აღებას, რომელზეც კანონი ეწერა. მაშინ ელჩმა დაფის შებრუნება შესთავაზა; ამას კანონი არ კრძალავდა. სწორედ ამის გამო ასხამს ხოტბას პლუტარქე[67] ფილოპემენეს[68]; მბრძანებლობისათვის დაბადებულს მბრძანებლობა მას არა მხოლოდ კანონთა თანახმად, არამედ თვით კანონებზეც კი შეეძლო, როცა ამას საზოგადოებრივი საჭიროება ითხოვდა.

პედანტიზმი

ბავშვობაში ხშირად მწყენია, რომ იტალიურ კომედიებში პედანტი ყოველთვის გამასხარავებული იყო. სიტყვა „მაგისტრი“ არც ჩვენში სარგებლობს დიდი პატივისცემით. ნუთუ მე, პედანტისა და მაგისტრის განმგებლობაში მყოფს, შემეძლო გულგრილი დავრჩენილიყავი მათი რეპუტა-

ციისადმი? სწორედ ამიტომ შევეცადე, ეს ფაქტი უვიცებსა და გონიერება – განსწავლულობით გამორჩეულ ადამიანთა შორის არსებული ბუნებრივი შუღლით ამეხსნა; მით უფრო, რომ ეს უკანასკნელნი სხვებისაგან განსხვავებული ყოფით ცხოვრობენ. საგონებელში მაგდებდა ის გარემოება, რომ პედანტებს ყველაზე მეტად ვერ იტანდნენ გამჭრიახი და გონიერი ადამიანები. მაგალითად, ჩვენი სათაყვანებელი დიუბელე[69] წერდა:

„მინც ყველაზე მეტად სწავლული პედანტი მძულს.“

ეს ძველადაც ასე იყო. ჯერ კიდევ პლუტარქე ამბობდა, რომ რომაელებში „ბერძენი“ და „რიტორი“ საუგო სიტყვებად ითვლებოდა. ასაკთან ერთად მეც დავრწმუნდი მათი სიტყვების ჭეშმარიტებაში: „დიდად განსწავლული სრულებითაც არ ნიშნავს ბრძენს, ანუ დიდი სასკოლო განათლების მიღება ადამიანს ბრძენად როდი ხდის.“ საოცარია, რომ ასეთი დიდი განათლება ამ ადამიანებს გულისხმიერებასა და საზრიანობას არ ჰმატებს; ძალზე მაოცებს ისიც, თუ როგორ უთავსებს ტლანქი და უხამსი გონება საკუთარ არასრულყოფილებას მსოფლიოს უდიდეს ბრძენთა მსჯელობებსა და აზრებს; ამდენი უცხო, დიდ და ძლიერ გონთა მისაღებად აუცილებელია (როგორც ერთ პიროვნებაზე საუბრისას მითხრა ჩვენი ხელმწიფის ერთ-ერთმა ასულმა), ადამიანმა საკუთარი გონება შეამ-ჭიდროვოს და შეზღუდოს, რათა ადგილი დაუთმოს სხვისას. მეც ვთვლი, რომ როგორც ტენის სიჭარბე შრეტს მცენარის ცხოველმყოფელობას, ზეთის სიჭარბე კი ლამპრისას, სწავლისა და ცოდნის სიჭარბეც ტვირთავს ადამიანის

გონებას და ეს უკანასკნელი, დამძიმებული საგანთა ჭარბი მრავალფეროვნებით კარგავს თავის ძალმოსილებას, ამ დახვავებულ ცოდნაში გარკვევის უნარს და, მის შესაძლებლობებს აღმატებული ტვირთის სიმძიმით დაჯაბნული, კარგავს სიცხოველეს. სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა; რაც უფრო მეტად ივსება ჩვენი გონება, მით უფრო ტევადი ხდება. ძველი დროის მაგალითები ნათლად მოწმობენ, რომ საზოგადოებრივი საქმიანობით სახელგანთქმული დიდი მხედართმთავრები ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები და დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ.

რაც შეეხება ძველი დროის ფილოსოფოსებს, ყოველ-გვარი საზოგადოებრივი საქმიანობისაგან განზე მდგომთ, ხშირად მათი დროის კომედიები, მართლაც, სამართლიანად იგდებდნენ სასაცილოდ მათივე აზრებისა და მანერების გამო. ისინი სიამოვნებით დაგთანხმდებოდნენ რომელიმე სადავო საქმის განსჯაზე ან ადამიანის ამა თუ იმ ქმედების მსაჯულობაზე, მაგრამ ჯერ სიცოცხლისა და მოძრაობის არსებობის გარკვევას შეუდგებოდნენ, შემდეგ ადამიანსა და ხარს შორის სხვაობის დაზუსტებას, ამის შემდეგ მოქმედებისა და განცდის, კანონისა და სამართლის არსის დადგენას და ა.შ. მათი მეტყველება სახელმწიფოს განმგებელზე საუბრისას ისევე უპატივცემულო და უცერემონიო იყო, როგორც პირადად განმგებელთან საუბრისას. ისინი არად აგდებდნენ ედიდებინათ თავიანთი დიდებული ან მეფე. ეს უკანასკნელი მათთვის იყო მწყემსი, რომელიც თავის ფარას მწყემსზე ბევრად უხეშად კრეჭდა

და წველიდა და ამით ხარობდა. ისინი დასცინოდნენ ორი არპანი[70] მიწის მფლობელს, ვინაიდან მთელ მსოფლიოს თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ, არაფრად მიაჩნდათ თავის მოწონება ჩამომავლობით, თუნდაც შვიდი მდიდარი წინაპარი დაგესახელებინათ. ისინი თვლიდნენ, რომ თქვენ არ გესმოდათ ბუნების კანონზომიერება, რომ თითოეულ ჩვენგანს მრავალი მდიდარი, ღარიბი, მეფე, მსახური, ბრძენი და ბარბაროსი წინაპარი ჰყოლია. ჰერკულესის[71] ორმოცდამეათე ჩამომავალიც რომ ყოფილიყავით, ამაოებად ჩაგთვლიდნენ, თუ მხოლოდ განგების ამ ძღვენით მოიწონებდით თავს. სწორედ ესაა ბრბოს სიძულვილის მიზეზი ამ ქედმაღალი და გულზვიადი, უმარტივესი ყოფითი საგნების არმცოდნე ადამიანებისადმი.

პლატონის მიერ აღწერილი პედანტი საკმაოდ განსხვავდება ჩვენი პედანტისაგან. ძველი დროის ფილოსოფოსები საკუთარი თავისადმი შულლს თავიანთივე გონებით, — ეს უკანასკნელი ბევრად აღმატებოდა ადამიანთა გონების ზოგად დონეს — საზოგადოებრივი საქმიანობის უგულებელყოფით, განმარტოებული, სხვებისაგან განსხვავებული ყოფით იწვევდნენ; რამდენიმე ამაღლებული, სხვათათვის მიუღებელი, მაქსიმით ხელმძღვანელობდნენ. ჩვენი პედანტები კი, პირიქით, იმის გამო სძულთ, რომ თავიანთი გონებით ადამიანთა საერთო დონეზე დაბლა დგანან, საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულების უნარი არა აქვთ, ხოლო ყოფაში ბრბოს ცხოვრების წესსა და ადათებზე უფრო მდაბიური ადათებით ხელმძღვანელობენ.

„ვერ ვიტან ადამიანებს: რომელთაც მხოლოდ განსჯა

*ძალუძთ, მოქმედებისათვის კი ძალა არა აქვთ.“**

მე ვთვლი, რომ ძველი დროის ბრძენი ფილოსოფოსები უფრო მეტ სიდიადეს ყოფაში იჩენდნენ. გადმოცემის თანახმად, ასეთი იყო სირაკუსელი მათემატიკოსი[72], რომელმაც სამშობლოს დასაცავად თავისი მეცნიერული ძიებები პრაქტიკულ საქმიანობას ანაცვალა და ყველასათვის მოულოლნელად აამოქმედა ისეთი საოცარი მანქანები, რომლებიც იმდროინდელი ადამიანური წარმოსახვის უნარს აღემატებოდნენ; თუმცა შემდგომ პირადად მას საკუთარი გამოგონებისადმი საოცარი სიძულვილის გრძნობა დაეუფლა, რადგან მიაჩნდა, რომ მოსწავლის გონების შესაფერისი სავარჯიშოებითა და სათამაშოებით თავისი მეცნიერება დააკნინა. ეს ბრძენი ადამიანები, ყოველთვის, როდესაც სურდათ თავი საქმით გამოეცადათ, იმდენად მაღლდებოდნენ ყველაფერზე, რომ ყველასათვის ნათელი იყო: მათი გულისა და სულის ესოდენი სიდიადის მიზეზი ნივთთა არსის შემეცნება გახლდათ.

როდესაც სახელმწიფოს მნიშვნელოვან თანამდებობაზე უუნარო ადამიანებს ნიშნავდნენ, ზოგი ფილოსოფოსი პროტესტის ნიშნად საზოგადოების სამსახურზე უარს აცხადებდა. ერთხელ კრატეტს[73] ჰკითხეს — როდემდე აპირებდა ფილოსოფოსობას. მან უპასუხა: „მანამდე, ვიდრე ჩვენი ჯარების სათავეში სახედრის მარეკნი იდგებიანო“. ჰერაკლიტემ[74] უარი განაცხადა განმგებლობაზე და ტახტი ძმას დაუთმო; როდესაც ეფესოს[75] მცხოვრებლებმა

---

*ჰაკუვიუსი, XIII, 8.

უსაყვედურეს — რატომ კარგავდა დროს ტაძრის წინ ბავშვებთან თამაშით, მან უპასუხა: „განა ეს არა სჯობს თქვენთან ერთად სახელმწიფოს განმგებლობას?!“. ზოგი თავისი გონებით იმდენად ამაღლდა მიწიერ საქმეებსა და საკუთარ ხვედრზე, რომ არა თუ მსაჯულთა სავარძელი, მეფის ტახტიც კი სიმდაბლედ და დამცირებად მიაჩნდა. როდესაც აგრიგენტუმის[76] მცხოვრებლებმა ემპედოკლეს[77] ტახტი შესთავაზეს, მან უარი განაცხადა. თალესს[78], რომელიც არაერთგზის ამხილეს ხელმოჭერილობასა და სიმდიდრის მოხვეჭისაკენ ლტოლვაში, ისიც უსაყვედურეს, რომ როგორც მელა იგავში, ისიც ყველაფერს ჩირქს ცხებდა, რისი მიღწევაც არ შეეძლო. ერთხელ, თავის შესაქცევად მან გადაწყვიტა თავისი გონიერება სარფიან საქმეში ეცადა და ხელი მიჰყო ვაჭრობას. ერთ წელიწადში იმდენი სიმდიდრე დააგროვა, რასაც ამ საქმეში დაოსტატებული ბევრი ადამიანი დიდი მცდელობით მთელი სიცოცხლის მანძილზე თუ შეაგროვებდა. არისტოტელეს[79] თანახმად, თალესი, ანაქსაგორა[80] და სხვა მათნი მსგავსნი არასაკმარისად ზრუნავდნენ უფრო საჭირო ნივთებზე; ამიტომ ზოგი მათ ბრძენს უწოდებდა და არა გონიერს. პირადად მე ამ ორი სიტყვის ძნიშვნელობას შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. თქმული მაინც არ გამოდგება პედანტია გასამართლებლად; იმ მდაბიური და გაჭირვებული ხვედრის გამო, რომელთაც ისინი ურიგდებიან, სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ორივე ეს სიტყვა გამოვიყენოთ მათ მიმართ და ვთქვათ: ისინი არც ბრძენნი არიან და არც გონიერნი.

მე არ ვეთანხმები იმ ადამიანთა მოსაზრებებს, რომელთაც არისტოტელე გადმოგვცემს, და ვთვლი, რომ მთელი ბოროტება მეცნიერებისადმი მათი არასწორი მიდგომის შედეგია. თუ მხედველობაში მივიღებთ ცოდნის შეძენის ჩვენებურ მეთოდს, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ არ ჰმატებს გონიერებას შეძენილი ცოდნა ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ჩვენი მამების ერთადერთი საზრუნავი და გაღებული ხარჯების მიზანი ხომ მხოლოდ ისაა თავი ყოველგვარი ცოდნით ამოგვივსონ, ხოლო განსჯის უნარისა და სიქველის შეძენაზე არც ფიქრობენ. თუ ჩვენში ვინმე რომელიმე ერთ გამჟღღელზე საჯაროდ დაიძახებს — „ეს განათლებული კაცია!“, მეორე კი — „ეს ქველი ადამიანია!“ — ბრბო ყურადღებას არ მიაქცევს პირველს და არც პატივისცემით განიმსჭვალება მისდამი. ამ დროს მართებული იქნებოდა, ვინმე მესამეს დაეყვირა: „თქვე უგუნურებო!“ ჩვენ მუდამ იმას ვკითხულობთ, ამა და ამ კაცმა თუ იცის ბერძნული ან ლათინური ენა, ლექსად აყალიბებს თავის აზრებს თუ პროზით, მაგრამ ნაკლებად გვაინტერესებს რაც არსებითია — რამდენად გონიერი და უკეთესი გახდა იგი ამ ცოდნის გამო. ამრიგად, უნდა გვაინტერესებდეს ის, თუ ვინ არის უკეთესი პიროვნება და არა ბევრის მცოდნე.

ჩვენ მხოლოდ მეხსიერების ამოვსებაზე ვზრუნავთ, გონება და სინდისი კი გვერდზე გვრჩება. ჩვენ პედანტებსაც იმ ფრინველების მსგავსად, ნაპოვნი მარცვალი ნისკარტით რომ მიაქვთ და გაუსინჯავად აძლევენ თავიანთ ბარტყებს — წიგნებიდან მიღებული ცოდნა ბაგეებით უჭირავთ,

პირის გაღებისთანავე გადმოაგდებენ და ქარს ატანენ. საოცარია, მაგრამ გარკვეულწილად მეც ამგვარი სისულელის მაგალითად გამოვდგები. განა თავად იგივეს არ ვიქმ ამ ნაწარმოებით?! ამა თუ იმ წიგნიდან ვკრებ იმ გამონათქვამებს, რომლებიც მომეწონება, მაგრამ გონებაში ადგილის უქონლობის გამო მათ აღარ ვიტოვებ და ვცდილობ ყველაფერი სხვა საცავში გადავიტანო, სადაც, მართალი გითხრათ, ისინი აღარ იქნებიან ჩემი კუთვნილება, როგორც მანამდე, თავიანთ უწინდელ ადგილებზე ყოფნისას მე ვთვლი, რომ ჩვენი სწავლულობა მხოლოდ აწმყოთი, ანუ იმით განისაზღვრება, რაც ამჟამად ვიცით; გარდასული და, მით უმეტეს, მომავალი ცოდნა ჩვენ განათლებასთან არაფერ შუაშია. კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ მოსწავლეებს არ აკმაყოფილებთ და ვერც ითვისებენ პედანტთა ცოდნას, რაც ხელიდან ხელში გადადის, და თავის მოწონებას, სხვათა გართობასა და თავშესაქცევ საუბარს ემსახურება; ერთი სიტყვით, იგი იმ უსარგებლო მონეტასავითაა, რომელსაც მხოლოდ დასათვლელად ან თამაშის დროს იყენებენ: „მათ ისწავლეს ლაპარაკი სხვებთან, მაგრამ არა საკუთარ თავთან"; „მთავარია მოქმედება და არა ლაპარაკი.*

ზოგჯერ ბუნება, მისგან მორჩილი სამყაროს კანონზომიერების დასადასტურებლად, ნაკლებად განათლებულ ხალხში დაბადებს გონიერების ისეთ ნიმუშს, რომელიც მისივე ყველაზე სრულყოფილ ქმნილებასაც ტოლს არ

*ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, V, 36.

უდებს. ჩემი მსჯელობის საგანს ძალზე ესადაგება ერთი ჩინებული გასკონური ანდაზა: „მხოლოდ სულის ჩაბერვა არ კმარა, თითების მოძრაობაც უნდა შეგეძლოთ“ (იგულისხმება სალამურზე დაკვრა). ჩვენ ჩვევად გვაქვს სხვათა აზრებით თავის მოწონება. მაგალითად მედიდურად ვამბობთ: „ასე თვლის ციცერონი“, „ასეთია პლატონის მოძღვრება ზნეობაზე“, „ეს არისტოტელეს სიტყვებია“ და ა.შ. მაგრამ ჩვენ თვითონ რას ვამბობთ? როგორია ჩვენი აზრები? ჩვენი მოქმედებები? სხვისი სიტყვების გამეორება თუთიყუშსაც შეუძლია.

ერთი მდიდარი რომაელი ხარჯებს არ მოერიდა და დიდადაც გაისარჯა, რათა სახლში მოეწვია მეცნიერების სხვადასხვა დარგში სახელგანთქმული ადამიანები, რომლებიც მას სულ გარს ეხვევნენ; როდესაც საუბარი ჩამოვარდებოდა ამა თუ იმ საგანზე, ერთი პირიდან სიტყვას აცლიდა და მის მაგივრად მსჯელობდა, მეორე ჰომეროსის* ლექსს კითხულობდა და ა.შ. ერთი სიტყვით, თითოეული მათგანი თავისი დარგის მიხედვით აფრქვევდა ცოდნას. მდიდარიც, ვინაიდან ეს ადამიანები მდიდარს ეკუთვნოდნენ, თვლიდა, რომ მათი ცოდნა მისი ცოდნა იყო, ისე როგორც ჩვენში საუცხოო ბიბლიოთეკის პატრონი მიაჩნიათ სწავლულად. ერთ ჩემ ნაცნობს კარგად ცნობილ საგანზეც რომ ვკითხო რამე, მაშინვე წიგნს დასტაცებს ხელს საჭირო პასუხის გასაცემად და ვიდრე ლექსიკონში უკანალისა და ქეცის მნიშვნელობას არ ამოიკითხვას, იმის თქმასაც

*სენეკა, წერილები, 108

ვერ ბედავს, რომ უკანალი ქეციანი აქვს.

ჩვენ ვკმაყოფილდებით სხვისი აზრებისა და ცოდნის გონებაში შენახვით, მაგრამ ეს არ კმარა! საჭიროა — ისინი გავითავისოთ. ჩვენ იმ კაცსა ვგავართ, ცეცხლისათვის მეზობელთან რომ გაეშურა, კარგად გათბა ცეცხლთან, მისი სახლში წამოღება კი დაავიწყდა. რა აზრი აქვს სტომაქის ხორცით ამოყორვას თუ მას ვერ ვინელებთ, თუ ამით ჩვენი სხეული არ საზრდოობს, თუ იგი ძალასა და წონას არ გვმატებს? როგორ გგონიათ, სამხედრო ხელოვნებას ლუკულუსი[81] პირადი გამოცდილების გარეშე მხოლოდ წიგნებით დაეუფლა და ასე გახდა სახელოვანი მხედართმთავარი?! სულ მუდამ სხვის მკლავებზე დაყრდნობა მხოლოდ ჩვენვე გვასუსტებს. თუ სიკვდილის შიშის დათრგუნვას მოვისურვებ, მაშინვე სენეკას[82] მივმართავ; თუ საკუთარი თავის ან სხვის დამშვიდებას განვიზრახავ, მაშინვე ციცერონს* მივადგები. სათანადო აღზრდა რომ მიმეღო, ცხადია, საკუთარ თავსაც მივმართავდი; ეს მერჩია, რადგან არ მიყვარს სხვისგან ნაწყალობევი ქონება. ამრიგად, სწავლული შეიძლება იყოთ სხვისი სწავლულობით, მაგრამ ბრძენი — მხოლოდ საკუთარი სიბრძნით.

*„ვერ ვიტან ბრძენს, რომელიც საკუთარი თავისთვის უგუნურია.“**

ენიუსი ამბობს: *„ფუჭია ის სიბრძნე, რომელიც თავად*

---

* ციცერონი, წერილები მეგობრებს, XIII, 15.

*ბრძენს არას არგია.'**

*„თუ ის ძუნწი, მატყუარა და ევბანურ ცხვარზე უფრო მხდალია.“***

*„მხოლოდ სიბრძნის შეძენა არ კმარა, მისი გამოყენებაც უნდა შეგეძლოთ.“****

დიონისე[83] დასცინოდა იმ გრამატიკოსებს, რომლებიც დაწვრილებით სწავლობდნენ ოდისეევსის ფათერაკებს, მაგრამ საკუთართ ვერ ამჩნევდნენ; იმ მუსიკოსებს, რომელთაც ფლეიტის აწყობა შეეძლოთ, მაგრამ საკუთარ ზნეთა ჰარმონიას ვერ აღწევდნენ; იმ ორატორებს, რომლებიც სამართლიანობას ქადაგებდნენ, მაგრამ თავად უსამართლოდ იქცეოდნენ. თუ ცოდნა, არ იწვევს ჩვენი სულის ლტოლვას სრულყოფილებისაკენ, არ აჯანსაღებს ჩვენს მსჯელობებს, მაშინ, ჩემი აზრით, ფუჭ მეცადინეობას უმჯობესია მოსწავლემ ბურთი ითამაშოს და სხეული მაინც გაიკაჟოს. წარმოიდგინეთ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის სწავლის შემდეგ შინ დაბრუნებული ახალგაზრდა. ნუთუ შესაძ-ლებელია, იყოს ვინმე მასზე უსუსური პრაქტიკული საქმიანობისათვის? ლათინურისა და ბერძნულის შესწავლით იგი უწინდელზე, ე.ი. მშობლიური კერის დატოვებამდე, უფრო გულზვიადი და თავდაჯერებულია — აი, მთელი მისი შენაძენი! ნაცვლად იმისა, რომ სრულყოფილი და

---

*ციცერონი, მოვალეობები, III, 15.

** იუვენალისი, სატირები, VIII, 5.

*** ციცერონი, უმაღლესი სიკეთე და უმაღლესი ბოროტება, I, 1.

ამაღლებული სულით დაბრუნებულიყო, გაბღენძილი და გაყოყოჩებული დაბრუნდა.

სინამდვილეში ჩვენი მასწავლებლები, როგორც პლატონი ამბობს თავის თანამოძმე სოფისტებზე — თავი ყველაზე სასარგებლო მოღვაწეებად რომ მიაჩნიათ კაცობრიობისათვისო, — დასამუშავებლად მიბარებულ საგანს ქვის მთლელის ან ხუროს მსგავსად კი არ სრულყოფენ, პირიქით — აფუჭებენ და თანაც გასამრჯელოს ითხოვენ. ჩვენ რომ წესად გვქონდეს ის, რაც პროტაგორამ[84] შესთავაზა თავის მოწაფეებს — ან უსიტყვოდ გადაეხადათ მის მიერ დასახელებული თანხა ან მთელი ტაძრის გასაგონად ხმამაღლა ფიცით განეცხადებინათ, რა სარგებლობა მოუტანა მათ მისგან შეთვისებულმა ცოდნამ და ამ უკანასკნელის მიხედვით აენაზღაურებინათ მისი შრომა — ჩემს მიერ ფიცით გაცხადებული სარგებლითა და მისი შესაფერისი გასამრჯელოთი ჩემი მასწავლებლები ნამდვილად ვერ გამდიდრდებოდნენ. ჩემი თანამემამულე პერიგორელები ასეთ სწავლულ-მასწავლებლებს ძალზე მართებულად უწოდებენ „Lettreferits“ — ვაიმეცნიერებს. დაახლოებით, იგივე მნიშვნელობა აქვს ფრანგულ სიტყვას „Lettre-ferus“ ანუ ისინი, ვინც მეცნიერებამ, თითქოს თავში ჩაქუჩი ჩასცხოო ისე დაარეტიანა. მართლაც, ხშირად ამ გასაცოდავებულ ადამიანებს საღი აზრის ნაჭამალიც კი არ გააჩნიათ. გლეხი ან მეწაღე მარტივი, მიამიტი ყოფით ცხოვრობს, მუდამ იმ საგნებზე ლაპარაკობს, რაც კარგად იცის. ჩვენი სწავლულები ცდილობენ სხვებზე უპირატესნი იყვნენ და ზერელე განსწავლულობით თავს იწონებენ,

ამიტომაც ხშირად წაიფორხილებენ და ხათაბალაშიც ეხვევიან ხოლმე. საუცხოოდ ლაპარაკობენ, მაგრამ რეალურად მათ სიტყვებს არავინ ახორციელებს; ჩინებულად იციან გალენოსი[85], მაგრამ ვერ იგებენ, კონკრეტულად რა უჭირს ავადმყოფს; ვიდრე თქვენ გასაჭირს გაიცნობიერებდნენ, თავს კანონებით გიტენიან. თეორიულად მათ ყველაფერი იციან, მაგრამ აბა მოიძებნოს ის, ვინაც ამ თეორიას პრაქტიკულად განახორციელებს.

ერთხელ ჩემ სახლში ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა ასეთ პედანტთან შეხვედრისას თავის შექცევა გადაწყვიტა. ყოველგვარი საჭიროების გარეშე, სრულიად უადგილოდ ხმარობდა მეცნიერულ სიტყვებს, მხოლოდ დრო და დრო ურთავდა ხოლმე ისეთ გამოთქმებს, რომლებიც მათ საკამათო საგანს ეხებოდა. ეს ბრიყვი პედანტი — ღრმად დარწმუნებული, რომ მოწინააღმდეგეს ედავებოდა, მთელი დღე ეკამათა მას. არ დაიჯერებთ, მაგრამ ეს კაცი, მართლაც, დიდად განსწავლული და საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ.

*„ო, დიდებულო პატრიციებო! თქვენ ვისაც უკან მობრუნება არ გმართებთ, გაფრთხილდით, ზურგს უკან მასხრად არ აგიგდონ.“**

თუ ამ ყაიდის ადამიანებს, საკმაოდ მომრავლებულთ ჩვენში, ყურადღებით დააკვირდებით, თქვენც ჩემსავით დარწმუნდებით, რომ ხშირად მათ არათუ სხვისი, საკუთარი

---

* პერსიუსი, 1, 61.

თავის გაგებაც არ ძალუძთ; მათი მეხსიერება ყველაფრითაა ამოტენილი, გონება კი აბსოლუტურად ცარიელი აქვთ. გამონაკლისია, როცა ისინი თავად ბუნების მიერ სხვაგვარად არიან მოწყობილნი. ასეთი იყო, მაგალითად, ადრიან ტურნები, რომელიც მხოლოდ მეცნიერებაზე ფიქრობდა. ჩემი აზრით, იგი ბოლო ათასწლეულის უდიდეს გენიოსად უნდა ჩაითვალოს. ტურნებს[86] არაფერი ჰქონდა საერთო პედანტთან, სამოსისა და ზოგიერთი — სამეფო კარის ზნე-ჩვეულების თანახმად — მიუღებელი ჩვევისა. თუმც ამ წვრილმანებზე არც ღირს ყურადღების გამახვილება. საერთოდ, მძულს მოდას აყოლილი ჩვენი მამაკაცები, რომლებიც ადამიანის სულიერ ზადს უფრო ეგუებიან, ვიდრე მისი სამოსის ნაკლს; რომლებიც ადამიანს იმის მიხედვით აფასებენ, თუ რამდენად დახვეწილია მისი მანერები რევერანსის დროს, როგორ იქცევა საზოგადოებაში, როგორი ფეხსაცმელი აცვია და ა.შ. ტურნები ძალზე ფაქიზი და მგძნობიარე სულის ადამიანი იყო. ხშირად განგებ ვესაუბრებოდი მისი საქმიანობისაგან ძალზე შორეულ თემაზე. იგი იმდენად შორსმჭვრეტელი, ალღოიანი და საღად მოაზროვნე იყო, რომ იტყოდით — მთელი ცხოვრება სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში გაუტარებიაო. ეს არცაა გასაკვირი — ძლიერი და ნიჭიერი პიროვნებანი თავიანთ თვითმყოფადობას ცუდი აღზრდის პირობებშიც ინარჩუნებენ.

„სულები, რომლებიც პრომეთემ კურთხეული ხელოვნების წყალობით საუკეთესო თიხისაგან

*გამოაქანდაკა.“**

აღზრდა არ გვაფუჭებდეს — ეს სრულიადაც არ კმარა, მთავარია იგი გვსრულყოფდეს!

ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარი მოხელის სამსახურში მიღებისას მისი ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის შემოწმებით კმაყოფილდება; სხვები მის გონიერებასაც აკვირდებიან და ამა თუ იმ სასამართლო საქმეზე აზრის გამოთქმას სთხოვენ. ჩემი აზრით, ეს უკანასკნელნი ბევრად უფრო მართებულად იქცევიან, თუმცა მოხელეს ორივე — ცოდნაც და გონიერებაც, მოეთხოვება. პირადად მე პირველზე დიდ ღირებულებად გონება მიმაჩნია, რადგან იგი უცოდინრობითაც იოლად წავა, მაგრამ ცოდნა თვინიერ გონებისა უძლურია. ერთი ბერძნული ლექსის თანახმად[87] „*მართლაც, რა აზრი აქვს მეცნიერებას გონების გარეშე?!*“** ღმერთმა ქნას, რომ ჩვენივე მართლმსაჯულების საკეთილდღეოდ სასამართლო დაწესებულებებს იმდენივე გონიერება და სინდისიერება ჰქონდეთ, რამდენი სწავლულობაც აქვთ. „*ჩვენ მხოლოდ მსჯელობას ვსწავლობთ, და არა იმას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ცხოვრებაში.*“***

ამრიგად, ცოდნა სულს უნდა დავუმკვიდროთ, და არა მივაჯაჭვოთ, კარგად გავაჯეროთ, და არა ზერელედ ვაპკუროთ; თუ ცოდნა სულზე არ ახდენს გავლენას და

---

*იუვენალისი, სატირები, XIV, 35.

**სტობეოსი, ანთოლოგია, III, 25.

***სენეკა, წერილები, 106.

არ სრულყოფს, მაშინ, უმჯობესია ამ საქმეს თავი დავანებოთ. ცოდნა ორლესული მახვილივითაა. თუ მარჯვენა, რომელსაც ის უპყრია, დუნეა და არ ძალუძს მისი მარჯვედ ხმარება, მაშინ ასეთი იარაღი მისი მპყრობელის ტვირთად იქცევა და შესაძლოა დაჭრას კიდეც; *„ასე რომ, ჯობდა საერთოდ არ გვესწავლა.“**

იქნებ სწორედ ამ მოსაზრებით არ მოვითხოვთ ჩვენცა და თეოლოგებიც განსაკუთრებულ ცოდნას ქალებისაგან. ფრანსუამ,[88] იოანე V-ის ვაჟმა, ბრეტონის ჰერცოგმა, გადაწყვიტა, შოტლანდიის მეფის ასულ იზაბელაზე დაქორწინებულიყო. მას აცნობეს, რომ იზაბელა უბრალოდ აღზრდილი, გაუნათლებელი და უწიგნური ქალი იყო. ჰერცოგმა მაინც ასეთად აღზრდილი თანამეცხედრე არჩია, რადგან საკმაოდ განათლებულად თვლიდა ქალს, თუ იგი ქმრის პერანგს ზედასამოსისაგან არჩევდა.

არცაა გასაკვირი (როგორც ამას დღეს ყველგან გაჰყვირიან), რომ ჩვენი წინაპრები დიდად არ აფასებდნენ მეცნიერებას. ნამდვილი მეცნიერი დღესაც იშვიათობაა ხელმწიფის უახლოეს მრჩეველთა შორის. გამდიდრებისადმი საყოველთაო ლტოლვას — რისი მიღწევაც ჩვენ დროში შეგიძლიათ სამართლისმცოდნეობით, მედიცინით, თეოლოგიის სწავლებით — მეცნიერების ავტორიტეტი მხარში რომ არ ედგეს, უდაოდ ისევე უგულებელყოფილი იქნებოდნენ, როგორც ოდესღაც. და რაოდენ სამწუხაროა, თუ მეცნიერება არც სწორად მსჯელობას გვასწავლის და

---

*ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, II, 4.

არც სწორად მოქმედებას: *„მას შემდეგ, რაც ნასწავლი ადამიანები გაჩნდნენ, წესიერი ადამიანები აღარ არიან.“**

ვინც ნაზიარევი არაა სიკეთის მეცნიერებას, მისთვის ნებისმიერ სწავლებას მხოლოდ ზიანი მოაქვს. თქმულის მიზეზი შესაძლოა ისიცაა, რომ, *როგორც* წესი, *ჩვენთან*, საფრანგეთში, სწავლა მხოლოდ მოგებას ისახავს მიზნად. ცხადია, მე არ ვგულისხმობ ადამიანთა იმ მცირე ჯგუფს, რომელიც ბუნებით არა სარფიანი, არამედ კეთილშობილი საქმიანობისთვისაა მოწოდებული და მთელი არსებით ეძლევა მეცნიერებას. თუმცა ზოგ მათგანს მეცნიერების სრულად დაუფლებამდე ისეთი საქმიანობისათვის უხდება მისი დატოვება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წიგნებთან; ასე რომ, ჩვეულებრივ მეცნიერებას საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად მხოლოდ ბედკრულებიღა ეტანებიან. ასეთი — მდაბალი ბუნებისა და საეჭვო ღირებულების ნიმუშებზე აღზრდილი — ადამიანებისათვის ხშირ შემთხვევაში მეცნიერებას კარგი არაფერი მოაქვს, რაკი მას არ ძალუძს სინათლედაშრეტილ სულთა გაცისკროვნება, თვალის ახელა ბრმათათვის; ეს არცაა მისი მიზანი, მისი დანიშნულებაა მხედველობის სწორად გამოყენება ასწავლოს ადამიანს, რომელიც ჯანმრთელია და მოძრაობის უნარი აქვს. მეცნიერება ჩინებული წამალია, მაგრამ ცუდ ჭურჭელში ნებისმიერი გამძლე წამალიც ფუჭდება.

---

*სენეკა, წერილები, 25.

მავანსა და მავანს შესაძლოა კარგი მხედველობა აქვს, მაგრამ ელამია; ასეთივეა ის, ვინც სიკეთეს ხედავს, მაგრამ მისგან განზე დგას, მეცნიერება იცის, მაგრამ მის მითითებებს არ მისდევს. პლატონს სახელმწიფოს ძირითად წესად მიაჩნდა — თითოეული მოქალაქისათვის მხოლოდ ის დაევალებინათ, რისი უნარიც მას ყოვლისშემძლე ბუნებით ჰქონდა ბოძებული. როგორც ხეიბარი არ გამოდგება იმ საქმიანობისათვის, რომელიც სხეულის ძალისხმევას ითხოვს, ასევე არ გამოდგება სულით ხეიბარი იმ მოღვაწეობისათვის, რომელიც სულიერ ნებას ემორჩილება. მდაბიო სულები ფილოსოფიის ღირსნი არ არიან. ხშირად მეწაღეს ცუდი ფეხსაცმელი აცვია, ექიმი სხვაზე ნაკლებად ზრუნავს თავის სატკივარზე, თეოლოგი სრულყოფილებაზე, მეცნიერი კი ჭეშმარიტ ცოდნაზე.

უდავოდ მართალი იყო არისტომენე[89] ქიოსელი, რომელიც თვლიდა, რომ ფილოსოფოსები ცუდ გავლენას ახდენენ თავიანთ მსმენელებზე, რადგან ხშირად ადამიანის სულს უნარი არ შესწევს, სასარგებლო გამოიტანოს იმ დარიგებებიდან, რომლებიც თუ სიკეთეს არა, ბოროტებას მაინც არ თესავენ. *„არისტიპეს[90] სკოლიდან გარყვნილი ადამიანები გამოდიან, ზენონის* სკოლიდან კი ბუზღუნები.“**

ქსენოფონტი[91] მოგვითხრობს სპარსელთა საუცხოო აღზრდაზე. ისინი თავიანთ შვილებს ისევე ასწავლიდნენ ქველობას, როგორც სხვა ხალხები მეცნიერებას ასწავლიან. პლატონის თანახმად, სპარსეთის მეფის უფროს

---

*ციცერონი, ღმერთების ბუნება, III, 31.

ვაჟიშვილებს აღსაზრდელად აძლევდნენ არა ძიძას, არამედ იმ საჭურისს, რომელიც თავისი სიქველის წყალობით მეფის ოჯახის კეთილგანწყობით სარგებლობდა. იგი ზრუნავდა ბავშვის სხეულის სილამაზესა და ჯანმრთელობაზე, მერვე წლიდან ცხენზე ჯდომასა და ნადირობას ასწავლიდა. როდესაც ყრმას თოთხმეტი წელი შეუსრულდებოდა, ოთხ აღმზრდელს უნიშნავდნენ: ყველაზე გონიერს, ყველაზე სამართლიანს, ყველაზე ზომიერსა და ყველაზე გულადს. პირველი სარწმუნოებას ასწავდილა, მეორე სამართლიანობას, მესამე ვნებების დაოკებას, მეოთხე სიმამაცეს.

საყურადღებოა რომ, სრულყოფილებით, მართლაც, იშვიათ და საუცხოო კანონთა კრებულში, ლიკურგე* ძალზე ცოტას ლაპარაკობს სწავლაზე, მაგრამ დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა აღზრდას; ეს უკანასკნელი მას სახელმწიფოს ძირითად მიზნად მიაჩნია, კანონმდებელი არც მუზებს ივიწყებს. გამოდის რომ, ეს კეთილშობილი ჭაბუკები, — სიქველის გარდა ყოველგვარი სხვა უღლის მოძულე, მეცნიერების სხვადასხვა დარგის ჩვენ მასწავლებელთა ნაცვლად, მხოლოდ ქველობის, კეთილგონიერების და სამართლიანობის მოძღვრებს საჭიროებდნენ. თქმულის ნიმუშს პლატონი გვაძლევს თავის კანონებში. სპარტელებს სწავლების ასეთი მეთოდი ჰქონდათ: თავდაპირველად მოსწავლეებს სთხოვდნენ, აზრი გამოეთქვათ ამა თუ იმ ადამიანის მსჯელობასა ან მოქმედებაზე; შემდეგ ავალდებულებდნენ, დაესაბუთებინათ თავიანთი მოსაზრება — რატომ გმობდნენ ან პირიქით ხოტბას ასხამდნენ ამა

თუ იმ პიროვნების გონიერებას ან ქმედებას. ამით ისინი ერთდროულად მოსწავლის გონებასაც წვრთნიდნენ და მართლმსაჯულებასაც ასწავლიდნენ. ქსენოფონტი გადმოგვცემს კიროსის ამბავს, რომელიც ბოლო გაკვეთილზე მომხდარ ფაქტს უყვება ასტიაგეს[92]: „ჩვენთან სკოლაში ერთმა მაღალმა ბიჭმა თავისი მოკლე ლაბადა შედარებით ტანმორჩილს მისცა, სანაცვლოდ უფრო გრძელი მოსასხამი წაართვა. მასწავლებელმა ამ ფაქტის გამო წარმოქმნილი დავის განსჯა დამავალა. გადავწყვიტე, ყველაფერი უცვლელად დამეტოვებინა, ვინაიდან ასე ორივესათვის უფრო ხელსაყრელი იყო. მასწავლებელმა, რაკი მხოლოდ ურთიერთხელსაყრელი პირობებით შემოვიფარგლე, შენიშვნა მომცა ცუდად განსჯისათვის და აღნიშნა: უპირველეს ყოვლისა, უნდა სამართლიანობის ინტერესებით მეხელმძღვანელა, რომელიც კრძალავს საკუთრების ძალით ჩამორთმევას;“ შემდეგ მთხრობელმა დაუმატა, რომ იგი გაშოლტეს, ისე, როგორც ჩვენი სოფლის სკოლაში შოლტავდნენ ხოლმე ბავშვს — *zúñrw „ცემა“ ზმნის პირველი ნამყო დროის დავიწყებისათვის. ჩემს რექტორს ჩინებული სახოტბო სიტყვის — სანიმუშო სანიმუშოთა შორის* — წარმოთქმა მოუხდებოდა, რათა დავერწმუნებინე, რომ მისი სკოლაც ტოლს არ უდებს აღწერილს. რაკი არც ერთ, თუნდაც სათანადოდ შესწავლილ მეცნიერებას არ ძალუძს კეთილგონიერებაზე, პატიოსნებასა და სიმტკიცეზე დიდი რამის სწავლება, გზის შემოკლების

*in genere demonstrativo

მიზნით, ძველები თავიდანვე აჩვევდნენ ბავშვებს ამ თვისებებს და ამას არა სიტყვით, საქმით ასწავლიდნენ; მათ სულებს მითითებებითა და ფრაზებით კი არა, მაგალითებითა და ნიმუშებით მართავდნენ და აყალიბებდნენ. ასე რომ, ამ თვისებებს აღსაზრდელთა სული იწოვდა არა როგორც ცოდნას, არამედ როგორც სულის განუყოფელ უნარს და ჩვევადაც ამის შედეგად უყალიბდებოდა. ამიტომ არ იგრძნობოდა, რომ ეს თვისებები შეძენილი ღირებულებები იყო და არა თანდაყოლილი. ერთხელ აგესილაეს* ჰკითხეს — მისი აზრით, რა უნდა ესწავლებინათ ბავშვებისათვის. „ის, რისი კეთებაც მათ დიდობისას მოუწევთ“ — უპასუხა მან. ამიტომ იყო სრულიად ბუნებრივი ასეთი აღზრდის ჩინებული ნაყოფი.

ამბობენ, რომ ორატორების, ფერმწერებისა და მუსიკოსების მოსანახად საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქებს აკითხავდნენ; კანონმდებლობის, მოსამართლეებისა და მხედართმთავრების შესარჩევად — მხოლოდ ლაკედემონს. ათენში კარგად მეტყველებას ასწავლიდნენ, ლაკედემონში — კარგად მოქმედებას; იქ — ათენში — სოფისტური მოსაზრებებისა და ცბიერად შეპარებული ცილისმწამებელი სიტყვების გაქარწყლებას, აქ —ლაკედემონში — ვნებების დაოკებას, ბედისწერის დაუნდობლობისა და სიკვდილის ვაჟკაცურად ატანას; იქ დაუსრულებლად ენას ილესავდნენ, აქ სულს წვრთნიდნენ. როდესაც ანტიპატრემ[93] სპარტელებს მძევლად ორმოცდაათი ბავშვი მოსთხოვა, მათ განუცხადეს, რომ ბავშვების მაგიერ ორჯერ მეტი კაცის მიცემას ამჯობინებდნენ (მათ ადგილზე ჩვენ სხვაგვარად

ვუპასუხებდით — ეს არცაა გასაკვირი). ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ასე უფრთხილდებოდნენ ისინი აღზრდას თავიანთ სამშობლოში. აგესილაემ ქსენოფონტი დაარწმუნა, შვილები აღსაზრდელად სპარტაში გაეგზავნა, მაგრამ არა რიტორიკისა და დიალექტიკის, არამედ მისივე სიტყვების თანახმად, ყველაზე მშვენიერი მეცნიერების მორჩილებისა და მართვის მეცნიერების შესასწავლად.

სოკრატე* მისთვის ჩვეული მანერით, ძალზე საინტერესოდ დასცინის ჰიპიასს,[94] რომელიც მას უყვება, როგორ იშოვა დიდძალი თანხა სიცილიის პატარა ქალაქებში მასწავლებლობით, სპარტაში კი, სადაც უგნურმა ხალხმა არც მათემატიკა და გეომეტრია იცოდა, არც სალექსო მეტრიკასა და გრამატიკაზე ჰქონდა წარმოდგენა, ერთი გროშიც არავინ მისცა, რადგან მათ მხოლოდ თავიანთ მეფეთა გენეალოგია, სახელმწიფოთა წარმოშობა — დაცემა და სხვა ამგვარი უაზრობები აინტერესებდათ. სოკრატემ მოუსმინა ჰიპიასს, შემდეგ გონივრული კითხვებით თანამოსაუბრე აიძულა, ელიარებინა სპარტელთა სახელმწიფო წყობის უპირატესობა; ისიც, თუ რამდენად ქველი და ბედნიერი ყოფით ცხოვრობდნენ ისინი; მისი ხელოვნების ამაოებაზე დასკვნის გამოტანა კი მან თავად ჰიპიასს მიანდო.

ამ და სხვა მსგავსი სამხედრო მმართველობის მქონე სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი მაგალითები ნათლად მოწმობენ, რომ მეცნიერების შესწავლა არ აწრთობს და არ აძლიერებს ადამიანთა სულებს, პირიქით, ისინი მათ

ანაზებენ და ასათუთებენ. დღეს ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო თურქეთის იმპერიაა — იმ ხალხის იმპერია, რომელიც იარაღის სიყვარულისა და მეცნიერების სიძულვილის სულისკვეთებითაა აღზრდილი. ჩემი აზრით, რომი ბევრად უფრო ძლიერი იყო მანამ, სანამ იქ განათლება ფეხს მოიკიდებდა. დღესაც ყველაზე მეომარი ხალხები საოცრად ბარბაროსები და უვიცები არიან. თქმულს ნათლად მოწმობენ სკვითები, პართელები და თემურ-ლენგი. გოთების შემოსევის დროს საბერძნეთის ბიბლიოთეკები ცეცხლით განადგურებას ერთ-ერთი დამპყრობის წყალობით გადაურჩნენ, რომელმაც გადაწყვიტა მთელი ეს „საჭურჭლე" მტრისათვის დაეტოვებინა, რათა მჯდომარე და ფუჭი საქმით დაკავებულნი სამხედრო საქმიანობას ჩამოშორდებოდნენ. როდესაც ჩვენმა მეფემ შარლ VIII-მ[95] თითქმის ქარქაშიდან მახვილის ამოუღებლად თავი ნეაპოლის სამეფოსა და ტოსკანიის საკმაოდ დიდი ნაწილის განმგებლად იგრძნო, მისმა ქვეშევრდომებმა დაპყრობის სიადვილე მხოლოდ იმით ახსნეს, რომ იტალიის ხელმწიფეები და დიდებულები უფრო მეტ დროს განათლებისა და გონების ამაღლებას და არა სხეულის წვრთნასა და საბრძოლო ხელოვნების დახვეწას ანდომებდნენ.

ხშირად ბედი გონივრულად მოქმედებს

ცვალებადობისა და მერყეობის წყალობით ბედი მრავალნაირი სახით წარმოგვიდგება. განა ოდესმე

აღსრულებულა მართლმსაჯულება უფრო მეტი სამართლიანობითა და მყისიერებით, როგორც ამ შემთხვევაში? ჰერცოგმა ვალენტინუამ[96] კორნეტოს კარდინალის, ადრიანეს, მოწამვლა განიზრახა; ჰერცოგსა და მამამისს — პაპ ალექსანდრე VI-ს — მასთან უნდა ევახშმათ ვატიკანში. ვალენტინუამ კარდინალის სავანეში წინასწარ გაგზავნა მოწამლული ღვინო და მეღვინეთ-უხუცესს სთხოვა, ბოთლს გაფრთხილებოდა. პაპი შვილზე ადრე მივიდა კარდინალთან და ღვინო მოითხოვა. მეღვინეთუხუცესმა იფიქრა, რომ საგანგებოდ მიბარებული ღვინო საუკეთესო უნდა ყოფილიყო და პაპს მიართვა. ამასობაში ჰერცოგიც მოვიდა და მანაც იგივე ღვინო შესვა; როგორ წარმოიდგენდა, რომ მის მიერ გამოგზავნილ ბოთლს ხელს ახლებდნენ. მამა მაშინვე გარდაიცვალა, ვაჟიშვილს უფრო მძიმე ხვედრი ხვდა — გადარჩა, მაგრამ საკმაოდ დიდხანს მძიმედ იავადმყოფა.

ზოგჯერ ბედის ირონია თითქოს, შესაფერის დროს ელისო; ბ-ნი დ'ესტრე — იმხანად ბ-ნ ვანდომის ჯარის მედროშე — და ბ-ნი დე ლიკი — ჰერცოგ დ'ასკოს ჯარის მხედართმთავრის თანაშემწე — ერთდროულად ითხოვდნენ ბ-ნ ფუკენროლის დის ხელს. (ისინი იმ მეზობლებივით, საზღვარი რომ ჰყოფთ, მოწინააღმდეგე მხარეებს ეკუთვნოდნენ). ქალმა უპირატესობა მეორეს მიანიჭა. მაგრამ სწორედ ქორწინების დღეს, საქორწილო სარეცლამდე, სასიძომ პატარძლის პატივსაცემად გადაწყვიტა მეტოქეს გასწორებოდა. სენტ-ომერის მახლობლად ჩავიდა და ბ-ნ დ'ესტრეს ჩაუსაფრდა. ეს

უკანასკნელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და სასიძო ტყვედ ჩაიგდო. დ'ესტრემ ერთიანად გამარჯვებულად იგრძნო თავი, როცა პატარძალმა პირადად მიმართა თხოვნით, გამოეჩინა სულგრძელობა და ტყვე გაეთავისუფლებინა.

„და ვიდრე ერთი-ორი ზამთრის გრძელ ღამეებში ხარბად იჯერებდა გულს სიყვარულით, მანამდე მოწყვიტეს

*ახალგაზრდა მეუღლის ალერსს.“**

დ'ესტრემ ქალს თხოვნა შეუსრულა: ფრანგი აზნაური ხომ არასოდეს ეუბნება უარს მანდილოსანს თხოვნაზე.

ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევიათ ბედის გონებამახვილობა? კონსტანტინეპოლის იმპერია ელენეს ვაჟმა კონსტანტინემ[97] დაარსა. მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობაც ასევე ელენეს ვაჟის კონსტანტინეს დროს დასრულდა. ზოგჯერ ბედი ღვთიურ სასწაულებსაც გაეთამაშება ხოლმე. გადმოცემის თანახმად, როდესაც მეფე კლოვისმა[98] ალყაში მოაქცია ანგულემი, ქალაქის კედლები თავისით დაეცა მის წინაშე. ბუშეს[99] თქმით, იგი ამ ამბავს რომელიღაც ავტორს დაესესხა, მეფე რობერტმა ალყა შემოარტყა ერთ-ერთ ქალაქს, დატოვა თავისი ჯარი და ორლეანისაკენ გაემართა. წმ. აგნესიას პატივსაცემად გამართულ ზეიმზე. წირვა-ლოცვის ცერემონიალზე როდესაც მესას უსმენდა, ალყაშემორტყმული ქალაქის კედლები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე თავისით დაინგრა. სრულიად განსხვავებული რამ მოხდა მილანის საჰერცოგოსათვის

---

*კატულუსი, XXVIII, 81.

ბრძოლის დროს. მხედართმთავარმა რიენციმ — იგი ჩვენ მხარეზე იბრძოდა — ალყა შემოარტყა ქალაქ ერონას და ციხე-სიმაგრის საკმაოდ დიდი კედლის საძირკველში ნაღმი ჩადო. დრო გავიდა, ნაღმი აფეთქდა და კედლის ერთი ნაწილი მთლიანად ზევით ავარდა, შემდეგ ჰაერში ნატყორცნი ისარივით ძირს დაეშვა და თავის უწინდელ ადგილზე დაჯდა, ალყაში მყოფთ კი ფრჩხილიც არ დაზიანებიათ.

ზოგჯერ ბედი მკურნალიცაა. იასონ ფერელს[100] მკერდში ჩირქგროვა აწუხებდა. ექიმებს მისი მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნდათ და მკურნალობაზე უარი უთხრეს. საბრალოს ისე ძლიერ სურდა ტკივილის დათრგუნვა, თუნდაც სიცოცხლის ფასად, რომ მოულოდნელად შეიჭრა მტრის შუაგულში; ბედისწერამაც არ დააყოვნა და ავადმყოფი ისე დაიჭრა, რომ ჩირქგროვა გაეხსნა და გამოჯანმრთელდა. ბედმა მხატვარ პროტოგენესაც ხომ არ აჯობა ხელოვნებაში?! პროტოგენემ[101] უზადოდ დახატა დაღლილი და გატანჯული ძაღლის სურათი. იგი კმაყოფილი იყო თავისი ტილოთი, მაგრამ ვერაფრით მოახერხა ნერწყვი და დორბლი ისე დაეხატა ძაღლის დრუნჩზე, როგორც მას სურდა. განრისხებულმა მხატვარმა ხელი სტაცა სხვადასხვა საღებავებით გაჟღენთილ ღრუბელს და სურათს ესროლა, რათა ყველაფერი წაეშალა. ბედის ნებით ღრუბელი ძაღლის პირს მოხვდა და ძალზე უბრალოდ გამოსახა ის, რაც მხატვრის ოსტატობამ ვერ შეძლო.

ჩვენ ზრახვებსაც ხომ არ განაგებს და ხომ არ ცვლის ბედი?! ინგლისის დედოფალი იზაბელა[102] ქმრის წინააღმდეგ

ბრძოლაში ვაჟიშვილის დასახმარებლად ჯართან ერთად ზელანდიიდან თავის სამეფოსაკენ მიემართებოდა. დაღუპვა გარდუვალი იყო, თუ იმ ნავსადგურში შევიდოდა, სადაც განზრახული ჰქონდა. მტერი სწორედ იქ იყო ჩასაფრებული. მაგრამ ბედის განგებამ გემს მიმართულება შეუცვლა და დედოფალიც სხვა ნავსადგურით მშვიდობით გადავიდა ნაპირზე. ძველად ერთმა კაცმა ძაღლს ქვა მოუქნია; ეს უკანასკნელი ასცდა ცხოველს, დედინაცვალს მოხვდა და მოკლა. მას ალბათ ყველა საფუძველი ჰქონდა ამ ლექსის სათქმელად:

„ბედმა ჩვენზე უკეთ იცის, რა უნდა მოიმოქმედოს.“

ისეტმა,[103] იმხანად სიცილიაში, ადრანში, მცხოვრები ტიმოლეონტის[104] მოსაკლავად ორი ჯარისკაცი შეაგულიანა. შეთანხმდნენ — თავიანთი ზრახვა მსხვერპლშეწირვის დროს მოეყვანათ სისრულეში. მართლაც, ხალხში გაერიენენ და როდესაც ხელსაყრელი წუთი დადგა, ერთმანეთს თვალით ანიშნეს. მოულოდნელად მათ გვერდით მესამე ჯარისკაცი აღმოჩნდა, რომელმაც ერთ-ერთ მათგანს ხმალი თავში ჩასცხო და მოკლა. მკვლელმა გაქცევა სცადა. მოკლულის ამხანაგმა იფიქრა, რომ — მათი განზრახვა გამოაშკარავდა, მივარდა საკურთხეველს და პატიების მუდარით განაცხადა, რომ ყველაფერს აღიარებდა. სწორედ ამ დროს, როდესაც იგი შეთქმულებაზე ლაპარაკობდა, მესამე ჯარისკაცი შეიპყრეს და ხალხის საშინელ ჩოჩქოლში ტიმოლეონტსა და ზეიმზე მყოფ დიდგვაროვნებს მიჰგვარეს. შეპყრობილი პატიებას ითხოვდა — თურმე მამის მკვლელზე შურისძიებით მართლმსაჯულება

განახორციელა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით იქ მყოფმა მოწმეებმა დაუდასტურეს, რომ, მართლაც, ახლახან მოკლულმა ჯარისკაცმა მოკლა მამამისი ლეონტინთა ქალაქში. ჯარისკაცს იქვე უწყალობეს ათი ატიკური მინა,* რადგან ბედმა წილად არგუნა საკუთარი მშობლის მკვლელზე შურისძიებით, სიკვდილისაგან ეხსნა სიცილიელთა მამა. ამჯერად ბედმა ეშმაკობით ადამიანის ზრახვებსაც აჯობა.

მინდა კიდევ ერთი მაგალითი დაგისახელოთ. ხომ არ ავლენს ის, რასაც ახლა მოგითხრობთ, ბედის განსაკუთრებულ სიკეთეს, წყალობასა და კაცთმოყვარეობას? რომაელმა ტრიუმვირატებმა პროსკრიფცირებულთა[105] სიებში შეიტანეს მამა-შვილი იგნაციუსები, რომელთაც მიიღეს კეთილშობილური გადაწყვეტილება — ერთმანეთისათვის მიეცათ სიცოცხლე და ამით თვალი აეხვიათ ტირანთა ულმობლობისათვის. მამა-შვილმა ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს შეუტიეს. ბედის განგებით, ორივენი სასიკვდილოდ დაიჭრნენ. იმავე ბედის განჩინებით ასეთი საოცარი და მშვენიერი სიყვარულის ნიშნად დაჭრილებს იმდენი ძალა შერჩათ, რომ ერთმანეთის სხეულიდან ამოეძროთ მახვილი, ხელთ გასისხლიანებული იარაღით ძალუმად ჩახუტებოდნენ ერთიმეორეს; ჯალათებმა ვერ შეძლეს მათი განცალკევება, თავები მოჰკვეთეს, სხეულები კი ამგვარ კეთილშობილურ კავშირით

---

* მინა — ფულის ერთეული ანტიკურ საბერძნეთში.

სამარადჟამოდ შეერთებულნი დატოვეს; ერთმანეთს მიკრული ჭრილობები სიყვარულით იწოვდნენ ერთიმეორის სისხლისა და სიცოცხლის ნარჩენებს.

კატონ უმცროსი

მე არ ვეთანხმები ზოგადად მიღებულ მცდარ მოსაზრებას — სხვა პიროვნებები რომ განვსაჯოთ, ისინი საკუთარ თავს უნდა შევადაროთ. ჩემთვის სავსებით მისაღებნი არიან პიროვნულად განსხვავებული ადამიანებიც. მე ვადგენ გარკვეულ თვისებებს ჩემში, მაგრამ მავანთა მსგავსად მთელ ქვეყანას არ ვავალდებულებ მათაც იგივე ახასიათებდეთ. მე წარმომიდგენია და დასაშვებადაც მიმაჩნია მრავალი სხვა ადამიანური ყოფის წესი. ზოგადად მიღებული ადათის მიუხედავად, ვთვლი, რომ ჩემსა და მეორე ადამიანს შორის სხვაობა უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. ცხადია, სრულებითაც არ მსურს ჩემი შეხედულებები და ადათები თავს მოვახვიო ვინმეს, რომელსაც ვიღებ ისეთად, როგორიც ის რეალურადაა, ყოველგვარი შედარების გარეშე, თუმცა პიროვნების შეფასებისას საკუთარი საზომით ვხელმძღვანელობ. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე დიდად თავშეკავებული არ გახლავართ, მაინც ძალზე მომწონს ფელიანებისა[106] და კაპუცინების თავშეკავებულობა, მათი ცხოვრების წესი. ხშირად წარმომისახავს ჩემი თავი მათ ადგილზე. ჩვენ დიდად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან; სწორედ ამის გამო მე კიდეკ უფრო მეტად მიყვარს და ვაფასებ მათ. ჩემი

სურვილია, რომ თითოეულ ჩვენგანზე, ჩემზეც, მსჯელობდნენ ინდივიდუალურად და არა ზოგადად მიღებული საზომის მიხედვით. ჩემი სისუსტის გამო სრულიადაც არ მეცვლება აზრი იმ ადამიანთა სიმტკიცესა და ძლიერებაზე, ვისაც ეს თვისებები გააჩნია. *„არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმას აქებენ, რისი მიბაძვაც ჰგონიათ რომ ძალუძთ.“** მიწის მტვერში მხოხავსაც არ დამიკარგავს იმის უნარი, რომ სადღაც მაღლა, ღრუბლებში დამენახა ჰეროიკულ სულთა შეუდარებელი სიდიადე, რაკი წილად არ მხვდა იმის უნარი, რომ მათსავით მემოქმედა, სწორად განსჯის, ჩემი არსების ამ უმთავრესი თვისების, წმინდად შენარჩუნებაც უკვე დიდ საქმედ მიმაჩნია; როცა გმირული სული არ მოგდევს, კეთილი ნების ქონაც რაღაცას ნიშნავს. ჩვენი საუკუნის ამ საოცრად ტყვიისფერი ცის ქვეშ არა თუ სიქველე, მისი ცნებაც კი აღარ არსებობს. ეტყობა, იგი სასკოლო რიტორიკის სავარჯიშოების სიტყვად ქცეულა.

*„მათთვის ქველობა მხოლოდ სიტყვაა, ნორჩი ლერწი კი შეშა“***

*„რაკი ქველობის შეცნობა არ ძალუძთ, პატივი მაინც უნდა მიაგონ მას“****

ქველობა დღეს ის სამშვენისია, რომელიც შეგიძლიათ მიამაგროთ საკუთარი სახლის კედელზე, სამკაულად

---

*ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, II,1.

**ჰორაციუსი, ეპისტოლე 1,6,4-2.

*** ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, V,2.

დაიკიდოთ ტუჩზე ან ყურზე. ქველობით შთაგონებული ქმედებები სადღაა?! ისინი, რომლებიც ასეთებად გვეჩვენებიან, სინამდვილეში დიდებით, სარფით, შიშით, ჩვეულებით და სხვა, ქველობისათვის უცხო ზრახვებითაა შთაგონებული; ამგვარ ქმედებებში სიქველეს, სამართლიანობას, სიკეთეს მხოლოდ მათი შორიდან შემფასებლები ამჩნევენ, იმ ფორმის მიხედვით, რომლითაც ისინი საჯაროდ თვალსასეიროდ წარმოჩნდებიან ხოლმე. თავად მოქმედს კი არა სიქველე, არამედ სულ სხვა მიზანი, სხვა ზრახვები ამოძრავებდნენ. ქველია ის ქმედება, რომლის საწყისიც და მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ სიქველეა.

პოტიდეასთან[107] პავსანიას[108] მხედართმთავრობით ბერძნებმა სასტიკად დაამარცხეს სპარსელთა ჯარი და მათი სარდალი მარდონიოსი.[109] ადათის თანახმად, გამარჯვებულებმა იმსჯელეს და აღიარეს, რომ ბრძოლაში ყველაზე მეტი სიმამაცე სპარტელებმა გამოიჩინეს. ახლა სპარტელებმა, სიქველის ამ ჩინებულმა მსაჯულებმა, დაიწყეს მსჯელობა, თუ ვინ უფრო ისახელა თავი ბრძოლაში და ვინ იმსახურებდა დიდებას; აღნიშნეს, რომ ყველაზე თავდადებულად არისტიდე[110] იბრძოდა, მაგრამ ვინაიდან მისი სიმამაცე შთაგონებული იყო არა სიქველით, არამედ სურვილით — გმირული სიკვდილით გამოესყიდა ძველი, თერმოპილეს[111] ბრძოლისდროინდელი სირცხვილი და საყვედური — ეს ღირსეული პატივი მას არ მიაგეს.

ზნეთა საყოველთაო ხრწნამ ჩვენი მსჯელობებიც შერყვნა. ჩემი დროის გონიერ ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ იმის მცდელობაშია როგორმე ამაო საფუძვლები

გამოჩხრიკოს და მდაბიური თუ უსიაკი განმარტებებით ჩრდილი მიაყენოს გარდასულ დროთა დიდებულ, მშვენიერ, კეთილშობილურ ქმედებებს. ღმერთმანი, დიდი გამჭრიახობაა! დამისახელეთ ნებისმიერი ყველაზე წმინდა და დიდებული ქმედება და მზად ვარ, მასში ორმოცდაათამდე ყოვლად სარწმუნო მანკიერი ზრახვა აღმოვაჩინო. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა ნაირნაირ ზრახვათა მოძიება შეიძლება ადამიანის ნებაში, თუ მოვისურვებთ. მაგრამ ეს ავყია და გაქნილი ადამიანები ჩვენ გაოცებას უმალ თავიანთი უხეშობითა და გონების სიჩლუნგით იწვევენ და არა ცბიერებით. საბრალო უგუნურები მცდელობას არ აკლებენ, რომ როგორმე ჩირქი მოსცხონ დიდ სახელებს, რომელთაც მზად ვარ, რაიმეთი ვუშველო. იმის იმედიც არ მაქვს, რომ შევძლებ ძველი ღირსება აღვუდგინო ამ უძვირფასეს და უძლიერეს, ბრძენთა აზრით, მსოფლიოსათვის სანიმუშო პიროვნებებს. თქმულის მიუხედავად, ჩემი მწირი მოსაზრებებით ყოველნაირად ვეცდები ამას. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი წარმოსახვის მთელ ძალისხმევასაც არ ძალუძს ამაღლდეს მათ დამსახურებამდე. პატიოსან ადამიანთა ვალია, სიქველე შეძლებისდაგვარად მშვენივრად წარმოაჩინონ; თუ ეს წმინდა სახეები ძლიერ გაგვიტაცებენ, არც ესაა საკვირველი. ჩვენი ჭკუადახშულები კი პირიქით, შურის თუ მანკიერების, თუ იმის გამო, რომ ნათელი და მახვილი მზერა დაშრეტილი აქვთ და დაბრმავებულებს აღარ ძალუძთ სიქველის დამახასიათებელი სხივოსნება აღიქვან, ყველაფერს საკუთარი შეხედულებისამებრ სჯიან. მაგალითად, პლუქარტე* სრულიად

სამართლიანად გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ ზოგიერთ მის თანამედროვეს კატონ უმცროსის* თვითმკველობის მიზეზად ცეზარისადმი* შიში მიაჩნდა. წარმომიდგენია მისი გულისწყრომა იმ ადამიანებისადმი, რომელთაც კატონის ტრაგედიის მიზეზად მისი პატივ-მოყვარეობა მიაჩნიათ. უგუნურები! კატონი მოწოდებული იყო ამაღლებული, დიადი, სამართლიანი ქმედებებისათვის, თუნდაც ამ უკანასკნელთათვის შერცხვენა და არა დიდება რგებოდა წილად. ეს ადამიანი, მართლაც, ბუნების რჩეული იყო, ნიმუში იმისა, თუ რა ძალუძს ადამიანის სიქველესა და სიმტკიცეს.

მაგრამ ამით არ მსურს ამოვწურო ეს ჩინებული არგუმენტი. მე მინდა ერთგვარი პაექრობა გავმართო იმ ხუთ ლათინ პოეტს შორის, რომელთაც ხოტბა შეასხეს კატონს და ამით არა თუ მისი, გარკვეულწილად საკუთარი სახელიც უკვდავყვეს. ნებისმიერი გონიერი ყრმა შეამჩნევს, რომ პირველი ორი ლექსი შედარებით მოისუსტებს: მესამეში ძალა ჭარბობს და მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებულია. პოეტური სრულქმნილების ერთი, შესაძლოა ორი საფეხურიც კი აშორებს მათ მეოთხე ლექსისაგან, რომელიც ნებისმიერს აღაფრთოვანებს; ბოლო ან უფრო სწორად პირველი ლექსი იმდენად აღემატება დანარჩენთ, რომ ამ სხვაობას ადამიანური გონების ვერავითარი ძალისხმევაც ვერ დაძლევს, იგი გამაოგნებელ აღტაცებას გვგვრის.

საოცარია, მაგრამ ჩვენში პოეზიის მსაჯულებს და მის

დეკლამატორებს თავად პოეტები სჭარბობენ. ლექსის შეთხზვა უფრო იოლია, ვიდრე მისი განსჯა. პოეტური ხელოვნების წესებითა და მითითებებით შეგიძლიათ იმსჯელოთ საშუალო დონის პოეზიაზე, მხატვრულობისა და შთაგონების გარკვეულ ზღვარს რომ არ აღემატება, მაგრამ მშვენიერი, რჩეული, ღვთიური პოეზია ყოველგვარი წესებისა და გონების მიღმაა. ვისაც ძალუძს თვალის დაუხამხამებლად დამაჯერებელი მზერა ისევე გაუსწოროს მას, როგორც ელვის სიკაშკაშეს და შეიცნოს მისი მშვენიერება, მის გონებას, უეჭველია, ასეთი პოეზია მოხიბლავს და დაატყვევებს. ყოველი ადამიანი, ვისაც მისი შეცნობა ძალუძს, აღტაცებას ვერ ფარავს. ასევე ზემოქმედებს მათზე ამგვარ პოეზიაზე მსჯელობაც და დეკლამაციაც. ეს მდგომარეობა გვაგონებს მაგნიტს, რომელიც იზიდავს ნემსს და თავის მხრივ მასაც ანიჭებს სხვა ნემსთა მიზიდვის უნარს. ყველაზე ნათლად ეს თეატრში იგრძნობა. ჩვენ მოწმე ვართ, თუ როგორ აღანთებს მუზათა ღვთიური შთაგონება პოეტის რისხვას, მწუხარებას, სიძულვილს, თავდავიწყებას... შემდეგ პოეტის ეს შთაგონება მსახიობს გადაეცემა, მისი მეშვეობით კი მაყურებელს. ეს ერთმანეთისაკენ მიზიდულობით ასხმული მაგნიტური ნემსების მთელი ჯაჭვია. პოეზია ადრეული ბავშვობიდან მიტაცებდა და შთამაგონებდა. დროთა სვლაში, რაც უფრო მეტად ვეცნობოდი მის მრავალფეროვან ნიმუშებს — ყოველ სახეობაში მუდამ საუკეთესოს ვარჩევდი — მისი აღქმის ღვთისმიერი ნიჭიც უფრო და უფრო მიძლიერდებოდა და

იხვეწებოდა, ვარკვევდი მის ნიუანსებს. თავდაპირველად პოეზიაში მხიარულმა და ჰაეროვანმა თემატიკამ გამიტაცა, შემდეგ ამაღლებულმა და ზნეკეთილმა სინატიფემ, ბოლოს დაღვინებულმა, უდრეკმა სიმტკიცემ. თქმულს უკეთ დაადასტურებენ ოვიდიუსი,[112] ლუკანუსი,[113] ვირგილიუსი.[114] აი, ჩემი პოეტები — მოდით მათ მოვუსმინოთ:

*„სიცოცხლეში კატონი ცეზარზე დიდი იყო“**

აცხადებს ერთი

*„დაუდგრომელმა კატონმა დათრგუნა სიკვდილი!“***

უმატებს მეორე.

მესამე ცეზარისა და პომპეუსის სამოქალაქო ომებზე წერს: *„ღმერთები გამარჯვებულთა მხარეზე იყვნენ, კატონი დამარცხებულებს თანაუგრძნობდა.“****

მეოთხე ხოტბას ასხამს ცეზარს:

*„მან ყველა დაიმორჩილა, გარდა კატონის ამაყი სულის.“*****

ამ თანავარსკვლავედის კორიფე ასახელებს სახელოვან რომაელებს და მათ ნუსხას კატონის სახელით აგვირგვინებს:

*„კატონი კი მათ ბრალს სდებდა.“******

---

*მარციალისი, „ეპიგრამები“

**მანლიუსი, ასტროლოგია, IV.67.

***ლუკანუსი 1, 128.

****ჰორაციუსი, ოდები, III.I,23.

*****ვირგილიუსი ენეიდა, VIII, 670.

ერთი და იმავე საგნის გამო ვტირით და ვიცინით

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, თუ როგორ განრისხდა ანტიგონე[115] საკუთარ ვაჟზე, როდესაც მან ბრძოლაში მის მიერ მოკლული პიროსის[116] თავი მიართვა და როგორ მწარედ აქვითინდა იგი მოკლულის თავის დანახვაზე. ასევე დაიტირა ლოტარინგიის ჰერცოგმა რენემ მის მიერ ბრძოლაში მოკლული ბურგუნდიის ჰერცოგი შარლი და მისი დაკრძალვის დღეს ძაძით შეიმოსა. ორთან,[117] ბრეტონიის საჰერცოგოსათვის, ბრძოლის დროს დამარცხებული მოწინააღმდეგის — შარლ დე ბლუას გვამის დანახვაზე გრაფი დე მონფორი ღრმა მწუხარებამ მოიცვა.

გთხოვთ თავი შეიკავოთ ვიდრე გაოცებისაგან რაიმეს წამოიძახებდეთ:

> *„ასე ფარავს სული თავის იდუმალ გრძნობებს სხვადასხვანაირი ნიღბებით — მწუხარებას სიხარულით, სიხარულს მწუხარებით“.**

როდესაც ცეზარს* პომპეუსის* თავი მიართვეს, მან თვალი აარიდა. ეს საოცრად მძიმე და შემზარავი სანახაობა იყო მისთვის, რომელიც საკმაოდ დიდხანს პომპეუსთან ერთად სრული თანხმობით განაგებდა სახელმწიფო საქმეებს; მათ საოცრად მსგავსი ხვედრი ხვდათ წილად, მრავალჯერ გაუწიეს ერთმანეთს სამსახური და იმდენი საქმე და სიკეთე აკავშირებდათ, რომ შეუძლებელია, ეჭვი შეგვეპაროს კეისრის სიყალბესა ან თვალთმაქცობაში.

---

*პეტრარკა, სონეტი, 23.

თუმცა მავანი თვლის, რომ

*„როგორც კი დარწმუნდა, რომ ყოვლად უსაფრთხოდ შეეძლო სიძის უბედურებისათვის ეთანაგრძნო, ცრემლებად დაღვარა, მის მოზეიმე სულს კი რაღაც კვნესის მაგვარი აღმოხდა.“**

მეტწილად ჩვენ მართლაც ვთვალთმაქცობთ და ვნიღბავთ ჩვენს ზრახვებს, ზოგჯერ შეიძლება ისიც ჭეშმარიტება იყოს, როცა

*„მემკვიდრის სიხარულს ცრემლის ნიღაბი ფარავს.“***

როდესაც ამგვარ მოვლენებზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ხშირად ჩვენს სულს საწინააღმდეგო ვნებები განაგებენ. ექიმების თანახმად, ჩვენს სხეულში მრავალი სითხეა და ის არის მთავარი, რომელიც სჭარბობს სხვებს. ჩვენი სულიც ასეა -- რაოდენ განსხვავებული ზრახვებიც არ უნდა აღელვებდეს მას, ერთ-ერთი მაინც დაჯაბნის სხვებს, რა თქმა უნდა, შეფარდებითი უპირატესობით; ჩვენი სულიერი მდგომარეობის არამყარი და დამყოლი ბუნების წყალობით უფრო სუსტი ზრახვებიც ცდილობენ, თუნდაც ხანმოკლე უპირატესობა მოიპოვონ (ვითარებათა მიხედვით). ეს მიზეზია, რომ ხშირად ბავშვებსაც, რომლებიც ყოველთვის გულწრფელად მისდევენ ბუნებას, და ჩვენც შესაძლოა ერთმა და იმავე საგანმა მწუხარებაც შთაგვაგონოს და სიხარულიც. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაიკვეხნის, რომ

---

*ლუკანუსი, IX, 1037.

**პუბლიუს სირიუსი, XVIII,14.

თუნდაც ძალზე სასურველი გამგზავრებისას ოჯახთან და მეგობრებთან განშორება სევდას არ გვგვრიდდეს; თუ ამ დროს ცრემლს მოვერიეთ, უზანგში ფეხს მაინც ნაღვლიანი იერით შევდგამთ. მიუხედავათ ზნეკეთილ ქალწულთა გულთბილი დამოკიდებულებისა მშობლებისადმი, მათ მაინც ვაშორებთ დედების კალთას, რათა მეუღლეებს მივგვაროთ. ჩვენი კეთილი მეგობარი კატულუსი[118] თვლის, რომ

*„ახლადშეუღლებულნი ან ოდიოზურად არიან განწყობილნი ვენერასადმი ან მშობლების წინაშე ოვალთმაქცობენ, როცა მათთვის განკუთვნილი საძინებლის ზღურბლზე ცრემლებად ღვრებიან.“**

ამრიგად, საკვირველი სრულებითაც არაა, თუ მავანი დასტირის იმ კაცის სიკვდილს, ვისი სიცოცხლეც ნამდვილად არ ეწადა. როდესაც მსახურს ვლანძღავ, გულწრფელი ვარ და არ ვთვალთმაქცობ, მაგრამ როგორც კი რისხვა გამივლის, იმავე მსახურს სიამოვნებით ვუკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია, ისე თითქოს ახალი წიგნის კითხვა დამეწყოს; როდესაც მას რეგვენს ან ვირს ვუწოდებ, ცხადია, ამ მეტსახელს სამუდამოდ არ ვარქმევ; არა მგონია საკუთარ თავს ვეწინააღმდეგებოდე, თუ გარკვეული დროის შემდეგ მას კარგ ბიჭს ვუწოდებ. არ არსებობს ისეთი თვისებები, რომლებიც აბსოლუტურად და სრულად ბატონობდნენ ჩვენზე. საკუთარ თავთან საუბარი შეშლილთა თვისება რომ არ იყოს, ყოველდღე გაიგონებდით, როგორ

---

*კატულუსი, XVI, 15.

ვუბრაზდები მას, როგორ ვუწოდებ რეგვენს, თუმცა, არა მგონია, ეს სიტყვა განსაზღვრავდეს ჩემ არსებას. ჩემი ცოლის მიმართ ხან გულგრილი ვარ, ხან პირიქით, სიყვარულით გამსჭვალული. მხოლოდ უგუნური იფიქრებს, რომ ვთვალთმაქცობ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. როდესაც ნერონი[119] დედას ემშვიდობებოდა, რომელიც მისივე ბრძანებით მიყავდათ დასახრჩობად, მის არსებაში შვილის დედისადმი სიყვარულმა იმძლავრა, ტანში ერუანტელმა დაუარა, მშობელი შეეცოდა. ამბობენ მზის სხივი უწყვეტი არ არისო, მაგრამ მზე ისეთი სიხშირით ტყორცნის თავის სხივებს, რომ ეს წყვეტილი შეუმჩნეველია.

*„სინათლის უმრეტი წყარო, მზე, უწყვეტ ნაკადად ტყორცნის თავის სხივებს და ცაზე უხვად აფრქვევს სინათლეს.“**

ჩვენ სულზეც იგივე ითქმის: მის მიერ გამოვლენილი სხვადასხვა ვნებაც მყისიერად ენაცვლება ერთმანეთს.

ერთხელ არტაბანემ[120] შეამჩნია, როგორ ანაზდეულად შეეცვალა გამომეტყველება მის ძმიშვილ ქსერქსეს[121] და უსაყვედურა. ქსერქსესი ამ დროს გონების თვალით ჭვრეტდა თუ როგორ გაივლიდა მისი მრავალრიცხოვანი ჯარი ჰელესპონტს[122] და როგორ შეესეოდა საბერძნეთს. თავისი სარდლობის ქვეშ ამდენი ათასი ადამიანის წარმოდგენაზე მას ჯერ სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა, შემდეგ კი სიხარული და საზეიმო განწყობილება დაეუფლა; მყისვე იმ აზრმაც გაუელვა, რომ დაახლოებით ასი წლის

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, V, 281.

შემდეგ ამ მრავალრიცხოვან მეომართაგან ერთიც აღარ იქნებოდა ცოცხალი; ამ ფიქრზე შუბლი შეეჭმუხნა და მწუხარებისაგან ცრემლი მოერია.

ჩვენ უყოყმანოდ ვიძიებდით შურს მიყენებული შეურაცხყოფისათვის და დიდად ნასიამოვნებიც დავრჩებოდით მიზნის მიღწევით, მაგრამ ამის ნაცვლად ცრემლი გვეძალება, ცხადია, არა წარმატების გამო, უბრალოდ ჩვენმა სულმა საგანს სხვაგვარად შეხედა, სხვა კუთხით წარმოიდგინა იგი. ნებისმიერ საგანს მრავალი განსხვავებული თვისება და ფორმა აქვს. ამიტომ როდესაც ჩვენს ვონებაში გაიელვებენ მოგონებები ნათესაურ თუ ძველ ნაცნობობასა და მეგობრულ ურთიერთობებზე, ყოველივე იმდენად შეგვძრავს, რომ განწყობა გვეცვლება თუმცა ეს ისე სწრაფად ხდება, რომ მათზე ყურადღების შეჩერებასაც ვერ ვახერხებთ.

*„ალბათ, არაფერია სულზე უსწრაფესი, როდესაც იგი რაიმეზე ფიქრობს ან მოქმედებს, სული ბევრად უფრო სწრაფად ამოქმედდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა საგანი, რომელთა ბუნებაც ჩვენს თვალწინაა.“**

ჩვენ გვეუფლება სურვილი, ამ განცდათა თანმიმდევრობა წამოვადგინოთ ერთ მთლიანობაში, მაგრამ ცთომილება გვძალავს. როდესაც ტიმოლეონტი ატირდა კარგად გათვლილი და მოაზრებული მკვლელობის სისრულეში მოყვანის შემდეგ, მისი ცრემლების მიზეზი არც სამშობლოსათვის დაბრუნებული თავისუფლებაა და არც

---

*ლუკრეციუსი, III,83 (საგანთა ბუნებისათვის)

ტირანი — იგი ძმას დასტირის. რაკი მან თავის მოვალეობის ერთი ნაწილი აღასრულა, მეორის აღსრულების საშუალებაც უნდა მივცეთ.

განმარტოება

თავს არ შეგაწყენთ განმარტოებული და აქტიური ცხოვრების წესთა ვრცელი შედარებებით; რაც შეეხება ამ ლამაზ გამოთქმას — „ჩვენ არა საკუთარი თავისთვის, არამედ საზოგადოებისათვის ვართ შობილნი“ — პატივმოყვარეობა და სიძუნწე რომ ამოჰფარებიან უკან, დაე, ეს მათ გაიმეორონ ხშირად, ვინც ურცხვად იცვლიან მოსაზრებებს. მაგრამ თუ მათ იოტისოდენი სინდისი მაინც გააჩნიათ, აღიარონ, რომ პრივილეგიების, თანამდებობებისა და სხვა მიწიერ ამაოებათაკენ ისინი უმალ საკუთარი სარგებლისათვის მიილტვიან და არა საზოგადოების სამსახურისათვის. ის უპატიოსნო საშუალებები, რითაც დღეს ჩვენში ბევრი აღწევს მაღალ თანამდებობებს, ნათლად მოწმობს, რომ კეთილ სიტყვას არც მათი მიზნები იმსახურებენ. რაც შეეხება პატივმოყვარეობას, სწორედ იგი შთაგვაგონებს განმარტოების აზრს; ყველაზე მეტად ხომ პატივმოყვარე გაურბის საზოგადოებას და მიილტვის იმისკენ, რომ თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მოიპოვოს?! სიკეთისა და ბოროტების ქმნა ყველგან შეიძლება. თუ მართალია ბიანტი,[123] რომელიც თვლის — „უდიდესი ნაწილი ყოველთვის უარესია“, თუ ეკლეზიასტესაც დავუჯერებთ — ჭეშმარიტებაა ის, რომ „ერთი

კეთილი ათას კაცშიც არ მოიძებნება“.

„კარგი ადამიანები ცოტანი არიან: ძლივს მოიძებნება იმდენი, რამდენიც თებეს კარი ან ნილოსის შესართავია“.***

ასეთ ორიმტრიალში სენიც იოლი გადამდებია. მანკიერ ადამიანებს უნდა ბაძავდეთ ან უნდა გძულდეთ; ერთიც და მეორეც სახიფათოა: მიბაძვა — იმდენად რამდენადაც მიმბაძველნი ერთობ ჭარბად არიან, სიძულვილი — იმდენად, რამდენადაც მოძულენი ჩვენგან განსხვავებულნი არიან.

ვიდრე ვაჭრები ზღვით გაემგზავრებოდნენ, ყურადღებით ათვალიერებენ თავიანთ თანამგზავრებს — როგორი პიროვნებები არიან, ხომ არ არიან მათ შორის გარყვნილნი, ღვთისმგმობელნი ან ბოროტმოქმედნი; ასეთ გარეწართა კრებული, ისიც ნაოსნობისას ავისმომასწავებლად მიაჩნიათ. ერთხელ, ზღვაში ქარიშხალში მოხვედრილმა ბიანტმა ხუმრობით მიმართა თანამგზავრებს, რომლებიც ღმერთს შველას ევედრებოდნენ: „გაჩუმდით, ღმერთებმა არ შენიშნონ, რომ თქვენც ჩემთან ხართ!“ ბევრად უფრო დამაჯერებელია ინდოეთში პორტუგალიის მეფე მანუელის ნაცვლის ალბუქერქეს[124] საქციელი. მეფისნაცვლის ხომალდს დაღუპვა ემუქრებოდა. მან მხრებზე შეისვა ბიჭი იმ მიზნით, რომ ამ ბავშვის უმანკოებას, რომლის ბედიც

---

* ანუ შვიდი — მონტენი გულისხმობს ანტიკური ეპოქის „შვიდ ბრძენს“

**იუვენალისი, სატირები, XIII, 26-27.

მან თავისას შეუერთა, ღვთის წყალობა მოეღო და ისინი დაღუპვისაგან ეხსნა.

თქმული სრულებითაც არ გულისხმობს იმას, თითქოს ბრძენს არ შეეძლოს კმაყოფილება ჰპოვოს ნებისმიერ ადგილზე, თუნდაც თავს მარტოდ გრძნობდეს ქვეშევრდომთა ჯგროში; არჩევანის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, მაშინ, მისივე ფილოსოფიის თანახმად, იგი შეეცდებოდა ამ ადამიანებისათვის არც შეეხედა — აუცილებლობის შემთხვევაში იგი ამის ასატანადაც მზადაა — მაგრამ თუ არჩევანი მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული, იგი სხვაგვარად მოიქცევა; კერძოდ, თუ მას ბრძოლა მოუწევს სხვათა მანკიერებებთან, მიხვდება, რომ მათგან აბსოლუტურად თავისუფალი არც თავადაა; ქარონდასი* საეჭვო ადამიანებთან ურთიერთობაში მხილებულთ დამნაშავეებივით სჯიდა. არ არსებობს ადამიანზე უფრო არასოციალური და სოციალური არსება; პირველის მიზეზი მისი მანკიერებებია, მეორისა მისი ბუნება. ანტისთენეს[125] ცუდ ადამიანებთან ურთიერთობის გამო უსაყვედურეს; მან თავის გამასართლებლად ექიმები მოიშველია, რომელთაც მთელი ცხოვრება ავადმყოფებთან უხდებათ ურთიერთობა. მისი პასუხი მე არადამაკმაყოფილებლად მიმაჩნია, რადგან ცხადია, რომ ავადმყოფებზე ზრუნვა უკვალოდ არ ჩაივლის — ექიმების ჯანმრთელობა ზიანდება, ხანგრძლივი კონტაქტი სნეულებთან მათ სიცოცხლესაც საფრთხეს უქადის.

ჩემი აზრით, ყველას ერთი მიზანი აქვს, კერძოდ, ცხოვრობდეს თავისუფლად და დამოუკიდებლად, მაგრამ

ამ მიზნის მისაღწევად ადამიანები ყოველთვის სწორ გზას როდი ირჩევენ. ხშირად მათ ჰგონიათ, რომ საქმეებს ჩამოშორდნენ, სინამდვილეში კი ერთი სახის საქმიანობას მეორით ცვლიან. საკუთრი ოჯახის განმგებლობა სახელმწიფოს მართვაზე ნაკლებ მტანჯველი როდია; როდესაც სულს რაიმე აწუხებს, იგი კაცის მთელ არსებას სრულად ეუფლება. ოჯახური საზრუნავები ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც საკმაოდ გვიწამლავენ არსებობას. მეტსაც დავსძენ — სასახლის კარისა და ქალაქის მოედნისაგან თავის დაღწევა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თავი დავაღწიეთ ჩვენი არსებობის უმთავრეს სატანჯველს.

*„სევდას გონიერება და სიბრძნე გვიქარვებს და არა მყუდრო ადგილი, ზღვის სივრცეს რომ გადაჰყურებს.“**

პატივმოყვარეობა, სიხარბე, გაუბედაობა, შიში და ავხორცობა ადგილის შეცვლასთან ერთად როდი გვტოვებენ ან როდი იცვლებიან.

*„ჩვენთან ერთად სევდაც უნაგირზე ზის და თან მოგვდევს“***

ეს უკანასკნელი არცთუ იშვიათად არა თუ ყოფითს საქმიანობაში, მონასტერსა და ფილოსოფიურ სკოლებშიც თან გვდევენ; ვერც უდაბნო, ვერც სიპი კლდეები, ვერც ძაძები, ვერც მარხვები მათგან ვერ გვიფარავენ.

---

*ჰორაციუსი, ეპისტოლე, I, 11, 25.

**ჰორაციუსი, ოდები, III, 1, 40.

*„სასიკვდილო ისარი ზურგშია ჩარჩენილი.“**

ერთხელ სოკრატეს უთხრეს, რომ ბავანი მოგზაურობამაც ვერ შეცვალაო. „გეთანხმებით, — მიუგო სოკრატემ, — მას ხომ საკუთარი თავი თან ახლდა.“

*„რა აზრი აქვს სხვა მზით გამთბარი ქვეყნის ძიებას? შენი ქვეყნიდან დევნილი საკუთარ თავს სადღა გაექცევი?“***

თუ სულს თავიდანვე არ განვტვირთავთ იმ სიმძიმისაგან, რომელიც მას თრგუნავს, გზაში ჯაყჯაყით იგი უფრო აუტანლად დააწვება სულს. გემიც ასეა — ტვირთის სიმძიმე ვერ აბრკოლებს მის სვლას, თუ ის კარგადაა დაწყობილი და დამაგრებული. როდესაც ავადმყოფს ადგილის შეცვლით აიძულებთ, ამით მის ჯანმრთელობას უმალ ზიანს აყენებთ, რადგან სენს კი არ დევნით, პირიქით, მისი დაძვრით, რყევით უფრო ღრმად ამკვიდრებთ სნეულის ორგანიზმში. ეს ასეა — რაც უფრო მეტად ვაქანებთ აქეთ-იქით და ვაწვებით სარებს, მით უფრო ღრმად ესობიან ნიადაგში. ამიტომ ხალხისაგან განდგომა, ადგილის შეცვლა და ა.შ. არ კმარა ჩვენი თავისუფლებისათვის, უნდა დავამსხვრიოთ ჩვენს სულზე მტკიცედ შემოხვეული ბრბოს თვისებების ბორკილები, უნდა განვიდეთ საკუთარი თავიდან და შემდეგ აღორძინებულნი კვლავ დავუბრუნდეთ მას.

„შენ თვლი, რომ ბორკილებისაგან განთავისუფლდი?

---

*ვირგილიუსი, ენეიდა, IV, 79.

**ჰორაციუსი, ოდები, II, 16-18.

*ხანგრძლივი წვალების შემდეგ ძალლიც წყვეტს ჯაჭვს და გარბის; მაგრამ ჯაჭვის საკმაოდ დიდი ნაწყვეტი კვლავ კისერზე რჩება.“ **

ჩვენ თან დავათრევთ ჩვენსავე ბორკილებს; ეს ჯერ კიდევ არაა სრული თავისუფლება, რადგან მაინც იმის მჭვრეტელნი ვართ, რაც დავტოვეთ; ჩვენი წარმოსახვა მისგან არ განთავისუფლებულა.

*„თუ ჩვენი სული არ განიწმინდა, საბრალოებს საოცრად დიდი შინაგანი ბრძოლისა და წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიწევს. ენებებით შეპყრობილი ადამიანი საოცრად გაწამებულია შიშითა და წუხილით. ამპარტავნება, გარყვნილება, თავშეუკავებლობა, ფუფუნება, უქმად ყოფნა სულს აჩანაგებს.“***

*„ბოროტება დაბუდებულია ჩვენ სულში, რომელსაც არ ძალუძს გაექცეს საკუთარ თავს.“****

ამრიგად, სულს საკუთარ თავში ჩაკეტვა და განახლება სჭირდება. აი, ეს არის ჭეშმარიტი განმარტოება, რომელიც სიამოვნებას მოგანიჭებთ ხალხმრავალ ქალაქშიც და მეფის კარზეც, თუმცა, რა თქმა უნდა, სრულყოფილი თავისუფლებით მარტოობაში დატკბებით. რაკი საზოგადოების მიღმა, განმარტოებული ცხოვრება განგვიზრახავს, ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენი კმაყოფილებაც და

---

*პერსეოსი, სატირები, IV, 158.

**ლუკრეციუსი, V, 44.

*** ჰორაციუსი, ეპისტოლე, 1, 14-15.

უკმაყოფილებაც მთლიანად ჩვენზე იყოს დამოკიდებული; თავი ვაიძულოთ ცხოვრობდეს მარტოობაში და ეს დაძალებული განდგომილება სიამოვნებას ანიჭებდეს მას.

სტილპონის[126] მშობლიური ქალაქი ხანძარმა ნაცარტუტად აქცია; დაეღუპა ცოლი და შვილები, დაეწვა მთელი ავლადიდება. როდესაც დემეტრიოს პოლიორკეტმა[127] მის სახეზე სამშობლოს უბედურებით გამოწვეული მწუხარება ვერ ამოიკითხა, ჰკითხა — ნუთუ ამ დიდმა განსაცდელმა მას არავითარი ზარალი არ მიაყენა. სტილპონმა მიუგო: „ღვთის წყალობით, ჩემი საკუთარი არა დამიკარგავს რა.“ იგივე აზრია ნაგულისხმევი ფილოსოფოს ანტისთენეს მხიარულ რჩევაშიაც: „ადამიანმა მხოლოდ ისეთი რამ უნდა მოიმარაგოს, წყალში რომ არ იძირება, რათა გემის დაღუპვის შემთხვევაში მისი საშუალებით შეძლოს ნაპირამდე გაცურვა.“ მართლაც, ვიდრე მოაზროვნე ადამიანი თავს ფლობს, მას არაფერი დაუკარგავს. ბარბაროსებმა ქალაქი ნოლა ნანგრევებად აქციეს, ეპისკოპოსმა პავლინიუსმა ყველაფერი დაკარგა, იგი ტყვედ ჩაიგდეს გამარჯვებულებმა. ეპისკოპოსი ღმერთს შეევედრა: „ღმერთო, ნუ მაგრძნობინებ დანაკარგის სიმწარეს; კარგად ხედავ, ჯერ ჩემსას არაფერს შეხებიან.“ ის, რისი წყალობითაც იყო იგი მდიდარი და კეთილი, მართლაც ხელუხლებელი იყო. საოცრად ბევრს ნიშნავს, გაგაჩნდეთ განძის გონივრულად შერჩევის უნარი და ისეთ საცავში მოახერხოთ შენახვა, სადაც არავის ძალუძს შეღწევა, მისი გაცემა კი მხოლოდ თქვენ ნებაზე იყოს დამოკიდებული. ცხადია, ცოლიც გვყავდეს, შვილებიც,

ქონებაც უნდა გვქონდეს, უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობა არ გვლალატობდეს, მაგრამ ყოველივე ამაზე ისე ძლიერ არ უნდა ვიყოთ მიჯაჭვულნი, რომ ისინი განსაზღვრავდნენ ჩვენს ბედნიერებას. უნდა გვქონდეს რაღაც პატარა ხულა, რომელიც აბსოლუტურად ჩვენი და მუდამ ჩვენ განკარგულებაში იქნება, სადაც შეგვეძლება განმარტოება სრულ თავისუფლებაში. სწორედ აქ გვმართებს დამაჯერებელი საუბრები საკუთარ თავთან, რომელთანაც ჩვენს ახლობლებს, საერთოდ გარეშე პირებს არა უნდა ესაქმებოდეთ რა. აქ უნდა მოვიპოვოთ აზროვნებისა და სიხარულის განცდის საშუალება, შევძლოთ დავიწყება, რომ გვყავს ცოლი, შვილი, გვაქვს ქონება, მეურნეობა, რათა მათი დაკარგვის შემთხვევაში არსებობა არ გაგვიჭირდეს. ჩვენი სული შეიძენს საკუთარ თავთან ურთიერთობის უნარს, გაუწევს მას საზოგადოების მაგივრობას, მასთან ერთად იმსჯელებს, თუ რის წინააღმდეგ გაილაშქროს და რისგან დაიცვას თავი, რა მიიღოს და რა გაიღოს. ნუ შეგვეშინდება ამგვარი მარტოობისა, მოსაწყენი მოცალეობისათვის დრო არ გვექნება!

*„მარტოობაშიც უნდა შეგწევდეს იმის უნარი, რომ საკუთარ თავს საზოგადოება შეუქმნა.“**

ანტისთენეს* თანახმად, სიქველე საკუთარი თავით თვითონვეა კმაყოფილი, მას არ ესაჭიროება წესები, მითითებები, არც გარეშე ზემოქმედებები. ჩვეულ ქმედებებში ერთიც არ მოგვეძებნება ისეთი, რომელსაც უშუალოდ

*ტიბულუსი, IV, 12-13.

საკუთარი თავისთვის ჩავდიოდეთ. როგორ ფიქრობთ, მოთმინება დაკარგული, თავგანწირული ადამიანი კედლის ნანგრევებზე რომ მიცოცავს და ტყვიის სამიზნედ ქცეულა, ანდა მთლად ჭრილობებით დაფარული, გათოშილი, შიმშილისგან ღონემიხდილი ადამიანი სიცოცხლის ფასად რომ ცდილობს პირველმა გააღოს ქალაქის კარი, ვისთვის ჩადის ამას, საკუთარი თავისთვის? მათ ხომ იმ ადამიანებისთვის გადადეს თავი, ვინც არასოდეს უნახავთ, ვინც თავსაც კი არ იწუხებს მათ გმირობაზე ფიქრით და შესაძლოა სწორედ ამ დროს სრულ განცხრომასა და ნეტარებაშია ჩაფლული. ანდა ის, დაუბანელი, დაუვარცხნელი, ხველებით დაღლილი, დაჩირქებული თვალებით, შუალამისას რომ ტოვებს სამუშაო ოთახს, როგორ ფიქრობთ, რატომ იქექება წიგნებში, იმიტომ რომ, უფრო ქველი, ბედნიერი და გონიერი გახდეს? სრულებითაც არა; იგი მზადაა, მთელი სიცოცხლე ეწამოს, ოღონდ შთამომავლობას პლავტუსის[128] ლექსის ზომა ანდა რომელიმე ლათინური სიტყვის ორთოგრაფიულად სწორი ფორმა აუწყოს. ვინ არ გაწირავდა საკუთარ ჯანმრთელობას, სიმშვიდეს და თვით სიცოცხლეს სახელისა და დიდებისათვის, ჩვენი ყოფის ამ ყველაზე ფუჭი, ურგები და ყალბი მონეტისათვის?! თითქოს საკუთარ სიკვდილზე ფიქრი ნაკლებად გვაშინებდეს, რომ ახლა ჩვენი ცოლების, შვილების, შინამოსამსახურეების სიკვდილზე ფიქრითაც თავი არ დავიტანჯოთ. საკუთარი საზრუნავი თუ გვეცოტავება, მაშინ ჩვენი მეგობრებისა და მეზობლების საქმეებსაც მივხედოთ და თავი ვიმტვრიოთ.

*„განა შესაძლოა ადამიანისათვის იყოს რაიმე, საკუთარ თავზე უფრო ძვირფასი?“**

ჩემი აზრით, განმარტოება მისაღები და გამართლებულია უმალ მისთვის, ვინც, მაგალითად თალესივით,* შეძლო თავისი სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერი წლები კაცობრიობისათვის მიეძღვნა. რაკი საკმაოდ ვიცხოვრეთ სხვისთვის, მოდით — სიცოცხლის დასარულს მაინც ვიცხოვროთ საკუთარი თავისათვის. ჩვენი აზრები და ზრახვები ჩვენივე თავისა და საკუთარი კეთილდღეობისაკენ წარვმართოთ. განდგომა და თანაც მხნეობის შენარჩუნება იოლი საქმე როდია; ყოველი განდეგილობა თავისთავად რთული აქტია და, ამდენად, მას სხვა საფიქრალ-სადარდებელი აღარ უნდა დავუმატოთ. როდესაც ღმერთი თავის საუფლოში გადასახლებისათვის მომზადების საშუალებას გვაძლევს, იგი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ, დროულად ჩავალაგოთ ბარგი, დავემშვიდობოთ ახლობლებს, განვთავისუფლდეთ გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი და საკუთარი თავისგან დამაშორებელი ხუნდებისაგან, გავწყვიტოთ საოცრად მტკიცე ურთიერთობა ყოფიერებასთან; შესაძლოა ამა თუ იმ საგნის სიყვარული კვლავ კიაფობდეს თქვენ გულში, მაგრამ აბსოლუტურად მხოლოდ საკუთარ თავთან უნდა იყოთ დაკავშირებული, ანუ შესაძლოა ჩვენთვის ყველაფერი ძველებურად მაინც მახლობელი იყოს, მაგრამ არა არსებითი, რათა მათგან ჩამოშორებამ ტყავთან ერთად ხორციც არ გვაგლეჯინოს.

---

*ტერენციუსი, I, 37-39.

ამ ქვეყნად ყველაზე უდიდესი რამ საკუთარი თავის ფლობაა. როდესაც აღარაფერი გვაქვს საზოგადოებისათვის შესათავაზებელი, დგება მასთან განშორების დრო. ვისაც ვალის გადახდა არ შეუძლია, მან სესხი არ უნდა აიღოს. ჩვენ ვკარგავთ ძალებს, სჯობს ისინი შევკრიბოთ და საკუთარ თავს შემოვუნახოთ. ვისაც ძალუძს უგულებელყოს მეგობრული და კეთილი ურთიერთობებით შთაგონებული მოვალეობები, თავისი გონებიდან მათი ამოშლა, ნუ დააყოვნებს! თუმცა სიფრთხილე ჰმართებს, რათა მისი სიცოცხლის მიმწუხრზე სხვებისათვის უსარგებლო, შემაწუხებელი და აბეზარი საკუთარი თავის მიმართაც ასეთად არ იქცეს. შესაძლოა, ასეთ დროს ადამიანი გაიზიზღეს, ელოლიავებოდეს საკუთარ თავს, მაგრამ მთავარია — ფლობდეს მას, პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდეს საკუთარ გონებასა და სინდისს და არ რცხვენოდეს მათთვის თვალის გასწორება. „საკუთარი თავისა იშვიათად ერიდებათ.“*

სოკრატე ამბობდა, რომ ახალგაზრდათა მოვალეობა სწავლაა, მოწიფულთა — კეთილ საქმეთა კეთება, ხოლო მოხუცთა — ყოველგვარი სამოქალაქო თუ სამხედრო საქმეთაგან განდგომა და საკუთარი შეხედულებებისამებრ თავისუფლად ცხოვრება. არიან ისეთი დუნე ტემპერამენტის ადამიანები, რომელთაც არ უმძიმთ განმარტოებული ცხოვრება. ბუნებით ზანტი და უხალისო ადამიანების ნება და ვნებები არ გამოირჩევა სიცხოველითა და დაუოკებლობით.

---

*კვინტილიანე, X, 70.

ამის გამო ისინი იოლად არ ემონებიან მათ თავნებობას, თუ ასეთი ადამიანები რაიმეთი არიან გატაცებულნი, — მაგალითად, ჩემი ბუნებითა და შეხედულებებით მეც ამგვარი ვარ — ისინი უფრო იოლად და სიამოვნებით მიიღებენ ამ რჩევას, ვიდრე დაუდგრომელი და მგზნებარე სულის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ყველაფერს გასწვდნენ, ყველაფერში ერევიან, ყველაფერი იტაცებთ, ყველა შემთხვევაში მზად არიან ნებისმიერი საქმის შესასრულებლად და სამსახურის გასაწევად. ცხადია, უნდა ვსარგებლობდეთ ჩვენთვის სასიამოვნო შემთხვევებითა და ხელსაყრელი გარემოებებით, რომელთაც ცხოვრება გვანიჭებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი არ უნდა იყვნენ ჩვენთვის არსებითი; ეს არც გონებას სურს და არც ბუნებას სჭირდება. რა საჭიროა, ჩვენი სულის კმაყოფილება ან უკმაყოფილება ბუნების კანონთა საპირისპიროდ, დამოკიდებული იყოს მისგან დამოუკიდებელ საგნებზე? ბედის შესაძლო დარტყმების განჭვრეტა, უარი კეთილდღეობაზე — ზოგი ღვთისმოსაობით, ზოგი საკუთარი ფილოსოფიური მოსაზრებებით რომ მიმართავდა, უარი მსახურთა დახმარებაზე, შიშველ ფიცარზე ძილი, თვალების დათხრა, ქონების გადაყრა მდინარეში, თვითგვემა (პირველნი ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ ამქვეყნიური ტანჯვით იმქვეყნიური სიკეთე მოეპოვებინათ, მეორენი კი — კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე დაშვებით უფრო ძირს დაცემისაგან დაეზღვიათ თავი) — ყოველივე ეს სიქველის უკიდურესობებია. დაე, საკუთარი თავშესაფარი დიდების წყაროდ და სხვათათვის მისაბაძად უფრო ძლიერმა, მტკიცე

ნების ადმიანებმა აქციონ.

*„ხელმოკლედ მყოფი მცირედით ეკმაყოფილდები, სულის სიმშვიდეს სილარიბეშიც ვინარჩუნებ; როცა საქმე უკეთ ბრძდის, ვამბობ: ბრძენია და სათანადოდაც ცხოვრობს მხოლოდ ის, ვისი შემოსავლის წყაროც მყარია; ამას მათი მყუდრო სახლ-კარიც მოწმობს.“**

საქმე მეც საკმაოდ მექნება იმისათვის, რომ ასე დავწინაურდე. ვიდრე ბედი მწყალობს, ისიც საკმარისია, რომ თავი შევამზადო მისი რისხვისათვის და კეთილდღეობაში მყოფმა დღესვე ჩემი წარმოსახვით შეძლებისდაგვარად დუხჭირი მომავალი წარმოვიდგინო ისე, როგორც მშვიდობის დროს ფარიკაობითა, სხვადასხვა შეჯიბრებითა თუ ომობანას თამაშით ვეჩვევით ნამდვილ ბრძოლას.

ცნობილია, რომ ფილოსოფოსი არკესილაე,[129] თავისი მდგომარეობის წყალობით მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლით სარგებლობდა. ეს ფაქტი სრულიადაც არ იწვევს ჩემს უპატივცემულობას მისდამი, პირიქით, მეტად ვაფასებ, რომ უარი არ თქვა ყოველივე ამ სიკეთეზე, იჩენდა მათ მიმართ ზომიერებას და ამავე დროს იყო საოცრად გულუხვი. ვხედავ, თუ რაოდენ შეზღუდულია ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებები და როდესაც ჩემს კარზე მომდგარ საბრალო მათხოვარს ვაკვირდები, ხშირად ბევრად ჩემზე ჯანმრთელსა და ლაღს, გონებით თავს მის ადგილზე ვაყენებ, ვცდილობ თავი წარმოვიდგინო მის მდგომარეობაში, თუმცა ისიც ჩინებულად ვიცი, რომ სიკვდილი, სიღატაკე,

---

*ჰორაციუსი, ეპისტ. 1, 15, 42.

სიძულვილი და ავადმყოფობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მითვალთვალებენ. როდესაც ასეთი ღატაკი და მრავალი მისი მსგავსი რამ მახსენდება, ვცდილობ არ შემაძრწუნოს იმან, რასაც ჩემზე დაბლა მდგომი ასეთი მოთმინებით უძლებს. ვერ დავიჯერებ, რომ განუვითარებელ გონებას ძლიერსა და განვითარებულზე მეტის შექმნა შეეძლოს, რომ ის, რაც უბრალო ჩვევით მიიღწევა, განსჯითაც შესაძლებელია. მე ვიცი, თუ რამდენად არასაიმედოა ეს მეორეხარისხოვანი ცხოვრებისეული კეთილდღეობა, ამიტომ სრულ კმაყოფილებაში მყოფი დაუსრულებლად ვევედრები ღმერთს — საკუთარი თავისა და ჩემგან მომდინარე სიკეთისადმი კმაყოფილების უნარი შთამაგონოს. მე ვიცნობ ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს, რომელთაც მუდამ თან აქვთ გაციების საწინააღმდეგო აბებით სავსე ყუთი და მათი მოიმედენი ნაკლებად ერიდებიან ამ დაავადებას. ჩემი აზრით, მათ საქციელს უნდა მივბაძოთ, რაიმე სერიოზული სენის შიშით ტკივილგამაყუჩებელი და საძილე საშუალებებიც კი უნდა შევიძინოთ.

განმარტოებული წესით ცხოვრების დროს ისეთი საქმიანობა უნდა შეარჩიოთ, რომელიც არც დიდ გარჯას მოითხოვს და არც მოსაწყენია; წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი ყოფით ცხოვრების მოწყობას აზრი არ ჰქონდა; არჩევანი პიროვნების სურვილზეა დამოკიდებული. პირადად მე მიმაჩნია, რომ მეურნეობა ჩემი საქმე არაა; ამას ისეთმა კაცმა უნდა მოჰკიდოს ხელი, ვისაც იგი უყვარს, ცხადია, გარკვეული ზომიერების დაცვით:

„უნდა ეცადონ, რომ საგნებს არ დაექვემდებარონ,

*პირიქით — ისინი უნდა დაიქვემდებარონ.“**

თორემ სალუსტიუსის[130] თანახმად, მეურნეობით გატაცება მისდამი ერთგვარ მონობაში გადაიზრდება. სამეურნეო საქმიანობათაგან ყველაზე კეთილშობილურია მებალეობა; ქსენოფონტის* თანახმად, იგი კიროსს* უყვარდა. აქ ზოგადად შეიმჩნევა რაღაც საშუალო მდაბიურსა და უნაყოფო გარჯას შორის, დაკავშირებული დაუსრულებელ ფაციფუცთან, რომელსაც ვამჩნევთ იმ ადამიანებს, ნებისმიერ საქმიანობას გონებით და საოცარი გულგრილობით რომ ეკიდებიან, და ზოგიერთთა მსგავსად, ზარალსაც წინასწარ არიან შეგუებულნი:

*„ვიდრე დემოკრიტეს სხეულს განშორებული სული სამყაროში მოგზაურობდა, საქონელმა მთელი ნათესები გადაუჭამა.“***

განმარტოებულ ცხოვრებაზე ძალზე საყურადღებო რჩევას აძლევს პლინიუს უმცროსი[131] კორნელიუს რუფუსს: „გირჩევ, ეს მდაბიური და აუტანელი სამეურნეო საზრუნავები შენს ხალხს მიანდო, შენ კი მთელი არსებით მეცნიერებას მიეცე, რათა შენს შემდეგ რაიმე ისეთი დატოვო, რაც მხოლოდ შენი იქნება.“ იგი გულისხმობს სახელს; ციცერონიც აცხადებდა რომ საზოგადოებისა და სახელმწიფო საქმეთაგან გამდგარს — მასაც თავისი ნაწერებით საკუთარი სახელის უკვდავყოფა სურდა.

„როგორ! განა თქვენი ცოდნა არ ფასობს,

---

*ჰორაციუსი, ეპისტ. 1, 1, 19.

** ჰორაციუსი, ეპისტ. 1, 12, 12.

*რაკი თავად არ უწყით რომ მის შესახებ სხვამაც იცის?"**

მე ვთვლი, რომ ამგვარი ქმედება უფრო ამ ქვეყნიდან გასვლის აქტს მოუხდება, როგორც პიროვნების ნების მიღმა არსებულ მოვლენას; ჩემს მიერ დასახელებული ავტორები ამას სანახევროდ სჩადიან, ფიქრობენ იმაზე, თუ რა იქნება მას შემდეგ, როდესაც თავად აღარ იქნებიან ამ ქვეყნად. აქ ერთი უცნაური წინააღმდეგობა იქმნება: მათ ჰსურთ თავიანთ ზრახვათა ნაყოფი ამსოფლადვე მოიმკონ, თუმცა მას შემდეგ, როცა თავად იმქვეყნად იქნებიან. უფრო გონივრულად მიმაჩნია მათი მოსაზრება, ვინც მარტოობისკენ ღვთისმოსაობით მიილტვის და თავს ღვთის დაპირებული იმქვეყნიური ბედნიერების რწმენით იმხნევებს; ისინი ეძლევიან ღმერთს, სიკეთისა და სიძლიერის ამ უსასრულო არსებას, ამგვარ დამოკიდებულებაში სრული თავისუფლება ეძლევა თავის სურვილთა დასაკმაყოფილებლად; მათთვის სენსა და ტკივილსაც სიკეთე მოაქვს, რადგან მათი მეოხებით, სამუდამო ჯანმრთელობასა და სიტკბოებას აღწევენ; მათთვის თვით სიკვდილიც სასურველია, როგორც უკვდავებაში გადასვლის საშუალება. ჩვეულების წყალობით, მალე ვეღარც ასეთი ყოფის სიმკაცრის სიმძიმეს იგრძნობენ; დათრგუნული ხორციელი სურვილები, რომელთა არსებობასაც ჩვევა და უმალვე დაკმაყოფილება განაპირობებს, მშვიდდებიან და ცხრებიან;

---

*პერსეუსი, სატირები, I, 26-27.

მორწმუნეთა ერთადერთი მიზანი ნეტარი ყოფაა და საიქიო უკვდავება. ეს ყოველივე მართლაც იმსახურებს, მის გამო უარი თქვან მიწიერი ცხოვრებით მონიჭებულ სიხარულსა და სიამოვნებაზე. ვისაც ეყოფა ძალა, მტკიცედ და სამუდამოდ შთააგონოს საკუთარ სულს ეს ცხოველური რწმენა და იმედი, იგი მარტოობაშიც ისეთი სიტკბოებითა და სიმშვიდით იცხოვრებს, რომელიც უცხოა ნებისმიერი სხვა სახის ცხოვრების წესისათვის.

მაგრამ მე არც ის მიზანი და არც ის საშუალებები მაკმაყოფილებენ, რომელთაც პლინიუსი რუფუსს სთავაზობდა; მე ვთვლი, რომ ამ გზით სვლა ესაა — ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. მწიგნობრობა ისევე მძიმე საქმიანობა და ისევე საზიანოა ჯანმრთელობისათვის, როგორც მრავალი სხვა რამ, ჩვენი უპირველესი საზრუნავი ჯანმრთელობა უნდა იყოს. ყოვლად დაუშვებელია, რომ ჩვენი საქმიანობით მონიჭებულმა სიამოვნებებმა სხვა ბედნიერება დაჩრდილოს, რადგან სწორედ ეს ღუპავს ხარბ, მომხვეჭ, ავხორც და პატივმოყვარე ადამიანს. ბრძენებმა ცოტა ძალისხმევა როდი შეალიეს იმას, რომ ჩვენთვის ჩვენივე ვნებების ხაფანგისაგან თავის დაცვა, სხვადასხვა საზრუნავებით დამძიმებულ სიამოვნებათაგან ჭეშმარიტისა და სრულყოფილის გამორჩევა ესწავლებინათ. მათი თქმით, სიამოვნებათა უმრავლესობა მოსვენებას არ გვაძლევს და იმ ყაჩაღებივით გვახრჩობს, ეგვიპტელები ფილესტასებს რომ ეძახდნენ. თავის ტკივილი დათრობამდე რომ გვაწუხებდეს, უზომო სმისგან თავს შევიკავებდით,

მაგრამ ჩვენი მაცთუნებელი სიამოვნება ყოველთვის წინ უსწრებს იმ შედეგებს, მას რომ მოსდევენ ხოლმე. წიგნები სიამოვნებას გვანიჭებენ, მაგრამ თუ მეტისმეტი გატაცებით საფრთხეს შევუქმნით ჩვენთვის ყველაზე ღირებულს — ჯანმრთელობასა და მხნეობას — მაშინ მათ თავი უნდა ვანებოთ. ჩემი აზრით, მათგან მიღებული სარგებელი ამ დანაკარგს ვერ გაუტოლდება. ხანგრძლივად შეუძლოყოფნით დასუსტებული ადამიანები ბოლოს მედიცინას მიმართავენ ხოლმე და მისი მითითებების დაცვით ცხოვრებას ცდილობენ. საზოგადოებისაგან გამდგარმა, დაღლილმა და სასოწარკვეთილმა ადამიანმაც გონებას უნდა მიმართოს, თავისი ცხოვრება მისი ნებით, მასთან განსჯით განაგოს და განჭვრიტოს; უნდა გამოეთხოვოს ყოველგვარ საქმიანობას, უარი თქვას ისეთ ხორცისმიერ ვნებებზე, რომლებიც ჩვენი სულის სიმშვიდეს არღვევენ. ერთი სიტყვით, „სიცოცხლის ის გზა უნდა აირჩიოს, რომელიც მეტად ესადაგება მისი სულის ბუნებას.“*

ნებისმიერ საქმიანობას — მეურნეობას, მეცნიერებას, ნადირობას და ა.შ. უნდა ეძლეოდეთ იმ ზღვრამდე, ვიდრე იგი გსიამოვნებთ. ერიდეთ უზომოდ გატაცებას, როდესაც სიამოვნება ძალდატანებით იცვლება, საქმით და საზრუნავებით თავი არ უნდა გადაიტვირთოთ, რათა სიმხნევე შეინარჩუნოთ და საკუთარი თავი მეორე უკიდურესობის — მცონარებისა და უსაქმურობის

* პროპერციუსი, 11, 25, 28.

უსიამოვნებათაგან დაიცვათ. არსებობს უსარგებლო და სათაკილო მეცნიერებები, რომელთა უმრავლესობის მიზანი ამქვეყნიური ამაოების კვლევაა, ისინი საზოგადოების სამსახურში მყოფთ უნდა მივანდოთ. პირადად მე მსუბუქი და თავშესაქცევი წიგნები მიყვარს, ისეთები ცნობისმოყვარეობას რომ მიღვიძებენ ან მამშვიდებენ. ამასთან მასწავლიან, როგორ წარვმართო ჩემი სიცოცხლე ამქვეყნად და როგორ მოვემზადო იმქვეყნად წასასვლელად.

*„ჩუმად დავეხეტებოდი ღვთიეკურთხეულ ტყეებში და ვფიქრობდი იმაზე, რისი ღირსიც გონიერი და ქველი ადამიანია.“**

გონიერებით რჩეული, ძლიერი და მამაცი სულის ადამიანები გარემოებათა მიუხედავად ახერხებენ სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას. მე, როგორც საშუალო ძალისხმევის პატრონს, სულის გამხნევება ხორციელი სიამოვნებებით მიწევს; მაგრამ ასაკთან ერთად ვკარგავ ჩემთვის ყველაზე სასურველ გრძნობათა ტკბობის უნარს, ამიტომ ვცდილობ, უფრო ძლიერად დავეწაფო ჩემი ცხოვრების ამ პერიოდში შესაძლო განცხრომას. უნდა კბილებითა და ბრჭყალებით ჩავებლაუჭოთ იმ ცხოვრებისეულ სიამოვნებებს, რომელთაც წლები ერთიმეორის მიყოლებით გვლეჯენ ხელიდან.

„დავტკბეთ, სიამოვნებისათვის მონიჭებული დღეები ჩვენ გვეკუთვნის, შემდეგ კი ფერფლად, აჩრდილად,

---

*ჰორაციუსი, ეპისტ. 1, 4, 4.

*მოგონებად იქცევი.“**

თუმცა ციცერონსა და პლინიუსს ჩვენი ცხოვრების მიზნად დიდება მიაჩნიათ, პირადად ჩემთვის ამგვარი მოსაზრება ძალზე უცხოა. პატივმოყვარეობა ვერ ეთავსება განძარტოებას; დიდება და სიმშვიდე ერთ ჭერ ქვეშ ვერ დაივანებს; რამდენადაც ვიცი, ამ ცხოვრების ორომტრიალიდან სიმშვიდემაც და დიდებამაც ვერაფერი წაიღეს, სულით და ზრახვებით კი უფრო მეტად მიუახლოვდნენ მას, ვიდრე ოდესმე.

*„მოხუცო, ნუთუ მხოლოდ უქმად მყოფთა ყურთასმენის გასართობად ირჯები?***

ციცერონმა და პლინიუსმა მხოლოდ იმიტომ დაიხიეს უკან, რომ უფრო შორს და სხარტად გადამხტარიყვნენ და ძლიერი ნახტომის წყალობით ბრბოს შუაგულში აღმოჩენილიყვნენ. გინდათ მათ მოსაზრებათა უსაფუძვლობა დაგიდასტუროთ? შევადაროთ ორი სრულიად განსხვავებული სკოლის წარმომადგენელი ფილოსოფოსი[132] რომლებიც თავიანთ მეგობრებს — პირველი იდომენევსს,[133] მეორე ლუცილიუსს[134] წერდნენ და ურჩევდენენ განდგომოდნენ საზოგადოებას, უარი ეთქვათ თავიანთ საქმიანობასა და დიდებაზე; „აქამდე თქვენ ცურვა-ცურვით ტალღებს მიუყვებოდით, დროა, სიკვდილის წინ ნავსაყუდელს მიადგეთ; მთელი ცხოვრება სინათლეზე დაყავით, მისი დასასრული მაინც გაატარეთ ჩრდილში; შეუძლებელია,

---

*პერსეოსი, სატირები, V, 151-152.

**პერსეოსი, სატირები, 1, 22.

განუდგეთ საქმეებს, თუ მათ შედეგებზე არ იტყვით უარს; ამიტომ თავს ნუ იწუხებთ საკუთარ სახელსა და დიდებაზე ზრუნვით; არის საშიშროება, რომ თქვენ ყოფილ საქმიანობათა ბრწყინვალება, თვალებს რომ გჭრით, თქვენ თავშესაფარშიც არ მიგატოვებთ. ყველა სხვა სიამოვნებებთან ერთად იმ სიამოვნებაზეც უარი თქვით, რომელსაც შექებისას განიცდით. ხოლო რაც შეეხება თქვენ ცოდნასა და ნიჭს, ნუ წუხხართ, თუ თქვენ თავად მათზე ბევრად ღირსეულნი გახდებით, ამით ფასი არც მათ დაეკარგებათ.

გაიხსენეთ ის კაცი, რომელმაც კითხვაზე — რატომ ანდომებდა ამდენ ძალისხმევას იმ სელოვნების წვდომას, რომელსაც ვერავის გააცნობდა, მიუგო: „ჩემთვის ძალზე მცირე რიცხვი, თუნდაც ერთიც კმარა; თუ ეს ერთიც არ იქნება, ისიც კმარა.“ იგი სრულ ჭეშმარიტებას ამბობდა. თქვენ და თუნდაც ერთი თქვენი მეგობარი ეს უკვე მთელი თეატრია ორივესათვის; მეტსაც დავსძენ — თავად თქვენც თეატრი ხართ საკუთარი თავისათვის, დაე, მთელი ხალხი ეს „ერთი“ იყოს თქვენთვის და პირიქით ეს „ერთი“ — მთელი ხალხი. საკუთარი უსაქმურობითა და განდეგილობით დიდების მოხვეჭა ამაო პატივმოყვარეობაა. უნდა მივბაძოთ მტაცებელ ცხოველებს, რომლებიც საკუთარ ბუნაგთან მიმავალ კვალს შლიან; არ უნდა ესწრაფოდეთ, რომ მთელი მსოფლიო თქვენზე ლაპარაკობდეს; ეცადეთ, თავად ესაუბროთ საკუთარ თავს; საკუთარ თავში ჩაიკეტეთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა სათანადოდ მოემზადოთ ამის მისაღწევად. უგუნურება იქნებოდა მინდობოდით საკუთარ თავს, თუ მისი მართვის უნარი არ შეგწევთ.

განმარტოებულიც შესაძლოა ისევე და იქამდე ცდებოდეთ, როგორც თქვენ მსგავს ადამიანთა საზოგადოებაში, ვიდრე ისეთი არ გახდებით, ვის წინაშეც ველარ გაბედავთ სისუსტეს, ვიდრე საკუთარი თავისადმი რიდსა და პატივისცემას არ შთაიგონებთ —„დაე, სული კეთილშობილებისა და ქველობის სახოვნებით შეივსონ.“*

გახსოვდეთ მარად, კატონი,* ფოკიონი[135] და არისტიდე*, — რომელთა თანდასწრებით შეშლილნიც კი თავიანთი სიგიჟის დაფარვას ცდილობდნენ, — დაე, ისინი იყვნენ თქვენ ზრახვათა მსაჯულები; თუ გზა გაგიმრუდდებათ, სწორ გზაზე ამ გმირებისადმი პატივისცემა დაგაბრუნებთ, ისინი გაგამხნევებენ და გასწავლიან, როგორ დაჯერდეთ საკუთარ თავს, როგორ არ დაესესხოთ რაიმეს სხვას, როგორ წარმართოთ და განამტკიცოთ თქვენი სული ნათელი და მკაფიოდ განსაზღვრული მსჯელობებით — ისეთებით, სიამოვნებას რომ გვანიჭებენ — და როდესაც ჭეშმარიტ სიკეთეს, შეიცნობთ, ეს უკანასკნელი მით უფრო მეტ ნეტარებას გაზიარებთ, რაც მეტად ჩასწვდებით მას — ეს ყოველივე ისეთ კმაყოფილებას მოგმადლებთ, რომ აღარც სიცოცხლის გახანგრძლივებას მოისურვებთ და აღარც საკუთარი სახელის უკვდავყოფას. აი, რას გვირჩევს ჭეშმარიტი და გულუბრყვილო მოძღვრება და არა ჩემს მიერ ზემოთ დასახელებულ პირველ ორ მოაზროვნეთა ყბედი და თვალთმაქცი ფილოსოფია.

---

*ციცერონი, ტუსკულანური საუბრები, II, 22.

ფიქრები ციცერონზე

მინდა შემოგთავაზოთ კიდევ ერთი ძალზე საგულისხმო თვისება ამ წყვილის — ციცერონისა და პლინიუსის (მე ვთვლი, რომ ეს უკანასკნელი, აზროვნების წესით დიდად განსხვავდება პირველისაგან — თავისი ბიძისაგან) შესადარებლად. მათი თხზულებები უხვად შეიცავენ თავიანთ ავტორთა პატივმოყვარეობის სამხილებს. ცნობილია, რომ ისინი მცდელობას არ აკლებდნენ, რათა ისტორიკოსებს ისინი თავიანთ თხზულებებში მოეხსენიებინათ. ბედის ირონიამაც ჩვენამდე სწორედ ამ მცდელობათა დამადასტურებელი ცნობები მოიტანა, მათზე მოგონებები კი დავიწყებას მიეცა. სულიერი სიმდაბლის ყოველგვარ ზღვარს სცილდება ამგვარი მდგომარეობის ადამიანთა ლტოლვა — ყბედობითა და ბრტყელ-ბრტყელი საუბრებით უმაღლესი დიდება მოიხვეჭონ. ამ მიზნისათვის ისინი მეგობრებისადმი მიწერილ წერილებსაც კი იყენებენ, არც დაგვიანებით გაგზავნილი წერილების სამზეოზე გამოტანას თაკილობენ, ღირსეული მობოდიშებით ახერხებენ, უქმად არ ჩაიაროს მათ მიერ გაწეულმა შრომამ და დაკარგულმა დრომ. ეკადრებოდა კი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის ორ რომაელ კონსულს, მსოფლიოს განმგებლებს, თავისუფალი დრო მხოლოდ იმაზე დაეკარგათ, ლამაზი სამეტყველო კონსტრუქციებით შეედგინათ წერილი და ძიძისაგან ნასწავლი ენის კარგი მცოდნის სახელი მოეხვეჭათ?! განა ამათზე ცუდად წერდა სკოლის რომელიმე მასწავლებელი, ამ საქმით თავს რომ ირჩენდა? ჩემი აზრით,

ქსენოფონტემ და ცეზარმა იმიტომ გაბედეს აღეწერათ თავიანთი საქმიანობები, რომ ეს უკანასკნელნი ბევრად აღემატებოდნენ მათ მჭევრმეტყველებას; სახელის მოხვეჭას ისინი საქმით ცდილობდნენ და არა სიტყვით. დიდ ადამიანს ლიტერატურული ენის სრულყოფილი ცოდნით შურისაღმ-ძვრელი სახელის მოხვეჭა რომ შეძლებოდა, ალბათ სციპიონი* და ლელიუსი[136] ტოლს არავის დაუდებდნენ თავიანთი კომედიების — აფრიკელ მონას რომ უძღვნეს — ლათინური ენის სრულყოფილებითა და მშვენიერებით. მათ ავტორობას ამ კომედიების სინატიფე და თავად ტერენციუსიც[137] ადასტურებს. მეც ღრმად ვარ ამაში დარწმუნებული და ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

დაცინვა და შეურაცხყოფაა, სახელი მოუხვეჭოთ ადამიანს თუნდაც საქებარი, მაგრამ მისი მდგომა-რეობისათვის შეუფერებელი და მისთვის არაარსებითი თვისებებით; მაგალითად, რომელიმე ხელმწიფეს ხოტბას ასხამდნენ იმის გამო, რომ ის კარგი ფერმწერი, კარგი ხუროთმოძღვარი, კარგი მორბენალი ან კარგი მსროლელია; ასეთი ოდა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისთვის სასახელო, თუ იგი ერთვის სხვა. ხელისუფლისათვის არსებით საქებარ თვისებებს, კერძოდ მის სამართლიანობას და გონივრული განმგებლობის უნარს როგორც მშვიდობის, ისე ომის დროს. სწორედ ამგვარი მოსაზრებების გამო იმსახურებენ ხოტბას კიროსი* მიწათმოქმედების ჩინებული გამოცდი-ლებით, ხოლო კარლოს დიდი[138] მჭევრმეტყველებისა და

*ჰორაციუსი, ჰიმნი, 51

მხატვრული ლიტერატურის უბადლო ცოდნით. მე შევხვედრივარ ადამიანებს, რომელთაც კალამი უჭრიდათ და ამ საქმიანობით სახელსაც მოიხვეჭდნენ, მაგრამ უარს ამბობდნენ თავიანთ ხელოვნებაზე, განზრახ ამახინჯებდნენ სტილს და განათლებული ადამიანისათვის შეუფერებელ უვიცობას ავლენდნენ. ისინი ცდილობდნენ, ხალხის პატივისცემა უფრო მაღალი რანგის ღირსებებით მოეხვეჭათ. მეფე ფილიპეს[139] დემოსთენეს[140] ელჩები ეახლნენ; მათ ხოტბა შეასხეს მეფეს სილამაზის, მჭევრმეტყველებისა და ღვინის სხმის ხელოვნებისათვის. დემოსთენე განაწყენდა — ასეთი ხოტბა უმალ ქალს, ვექილს და ზღვის ღრუბელს უფრო შეეფერება, ვიდრე მეფესო.

*„ბრძოლის დროს მას მრისხანება ჰმართებს, გამარჯვების შემდეგ კი დამარცხებული მტრის მიმართ მოწყალება.“**

კარგად ნადირობა ან ცეკვა მეფის საქმე არაა.

*„ზოგის ხვედრი სასამართლოში ენამზეობაა, ზოგისა ფარგლით ცის თაღის ბრუნვის გამოსახვა და მოციმციმე ბნათობების თვლა. მაგრამ მისი ხვედრი (იგულ. რომაელები) ხალხებზე განმგებლობაა“.***

პლუტარქეს თანახმად, თუ ადამიანმა ჩინებულად იცის მისთვის არც თუ არსებითი საგნები, იგი სამართლიანად იმსახურებს საყვედურს, რომ ფუჭად გაფლანგა დრო და არასაკმარისად შეისწავლა უფრო საჭირო და სასარგებლო

---

*ჰორაციუსი, ჰიმნი, 51.

**ვირგილიუსი, ენეიდა, VI, 843.

რამ. ერთხელ ნადიმზე მაკედონიის მეფე ფილიპე თავად გახდა იმის მოწმე, თუ როგორ აღავსო შურით სახელგანთქმული მუსიკოსები მისი ვაჟის, დიდი ალექსანდრეს* სიმღერამ. მეფე მიუახლოვდა ვაჟიშვილს და უთხრა: „ნუთუ არა გრცხვენია, ასე კარგად რომ მღერი?!“ ერთ-ერთმა მუსიკოსმა, რომელსაც ფილიპე სამუსიკო ხელოვნებაზე შეეკამათა, ასე მიუგო: „მეფეო, ღმერთმა დაგიფაროთ იმ უბედურებისაგან, რომ ამ საქმისა თქვენ ჩემზე მეტი გაგეგებოდეთ...“ ყოველ მეფეს უნდა შეეძლოს ისეთივე პასუხის გაცემა, როგორც იფიკრატემ* მიუგო ერთ-ერთ ორატორს, რომელმაც იგი ასე გაკიცხა: „ვინ ხარ შენ, რომ ასე გულადობ — მეომარი? მშვილდოსანი? შუბოსანი?“ „არც ერთი, არც მეორე და არც მესამე, მე ვარ ის, ვისაც ძალუძს სხვებს განმგებლობდეს“. ანტისთენეს* ისმენეს[141] არარაობის დასტურად მიაჩნდა ის, რომ მას ხოტბას ასხამდნენ როგორც ჩინებულ ფლეიტისტს.

როდესაც ჩემი „ესეების“ ენაზე საუბრობენ, მირჩევნია არაფერი თქვან, რადგან იმდენად ენას არ აქებენ, რამდენადაც მათში გარმოთქმულ აზრებს აკნინებენ — ირიბი კრიტიკა უფრო გამაღიზიანებელია. შესაძლოა ვცდები, მაგრამ ვეჭვობ, ჩემზე მეტად სხვები ზრუნავდნენ მათს შინაარსზე. არ ვიცი, იგი როგორია — კარგი თუ ცუდი, მაგრამ არა მგონია, რომელიმე მწერლის თხზულება ჩემსაზე მდიდარი და უხვი იყოს შინაარსობრივად; მის სიმდიდრეზე თუნდაც სათაურებად მოცემულ დებულებათა სიუხვეც მოწმობს; მათი შინაარსიც რომ განმეერცო, ამ

ტომის მოცულობა საგრძნობლად მეტი იქნებოდა. რამდენი თავისთავად თითქოსდა უმნიშვნელო ისტორიაა ამ ფურცლებზე; ვინც უფრო ღრმად ჩასწვდება მათ, კიდევ მრავალი ესესეს თემას აღმოაჩენს. ეს თხრობანი, ჩემი მსჯელობები არც მხოლოდ ნიმუში, ავტორიტეტის დასტური და სამკაულია ჩემთვის და არც მხოლოდ მასალაა წიგნისათვის. ხშირად საკითხის მიუხედავად მათში მოცემულია უფრო სერიოზულ და გაბედულ მოსაზრებათა საწყისები, რაზეც უჩუმრად მიგვანიშნებენ: მეც, რომელსაც არ მსურს მათზე უფრო ვრცლად შეჩერება, და ისინიც, ვისაც ჩემსავით ძალუძთ მათი აღქმა.

რაც შეეხება მჭევრმეტყველების ნიჭს, პირადად მიმაჩნია, რომ ცუდად და დახვეწილად მეტყველი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან — „კეკლუცობა ვაჟკაცის სამკაული არ არის.“*

ბრძენთა თანახმად, ნებისმიერი ადამიანისათვის ნებისმიერ ვითარებაში შემეცნებისათვის ფილოსოფია, ხოლო ქმედებისათვის სიქველეა მუდამ მთავარი. რაღაც ამის მსგავსი შეინიშნება ჩვენთვის ცნობილ ორ ფილოსოფოსთანაც.[142] ისინი იქადნებიან თავიანთი მეგობრებისადმი მიწერილი წერილების უკვდავებას. მაგრამ სხვაგვარად კი იქცევიან; მათ კეთილი ზრახვა ამოძრავებთ, ახლობელი მეგობრების პატივმოყვარეობისადმი შემწყნარებლობას იჩენენ და მათ სწერენ, რომ თუ დიდების წყურვილი და მომავალ საუკუნეებში საკუთარი სახელის უკვდავყოფისაკენ

*სენეკა, წერილები, 115.

ლტოლვა კვლავაც არ დაანებებენ სხვა საქმიანობათა დატოვებას და აიძულებენ, ერიდონ განმარტოებასა და განდეგილობას, რომლისკენაც ეს ფილოსოფოსები მოუწოდებენ, ამის გამო სასოწარკვეთას ნუ მიეცემიან: რადგან, როგორც ფილოსოფოსები, შთამომავლობისათვის საკმაოდ ცნობილნი იქნებიან და ამდენად მათი წერილები, მიწერილი იდომენევსისა და ლუციდიუსისადმი უფრო მეტ სახელს მოუხვეჭენ და განადიდებენ მეგობრებს, ვიდრე ეს უკანასკნელნი შეძლებდნენ ამას საზოგადოებრივი საქმიანობით. თავისთავად ამ წერილებს გარკვეული შინაარსიც გააჩნიათ, ნატიფად და გარკვეული რიტმის მიხედვით შერჩეული და დაჯგუფებული სიტყვებიც, რომლებშიც მშვენიერი ბრძნული მსჯელობებია და გვასწავლიან არა მჭევრმეტყველებას, არამედ სიბრძნეს, არა კარგად საუბარს, არამედ კარგად მოქცევას. თავი დავანებოთ მჭევრმეტყველებას, მთელი ყურადღება თავის თავზე რომ გადააქვს და ხელს გვიშლის ჩავწვდეთ მის მიღმა არსებულ საგანთა არსს. თუმცა ამბობენ, რომ ციცერონის სიტყვას მისივე უბადლო მჭევრმეტყველება ანიჭებდა აზრს.

ციცერონის ბუნების წარმოსაჩენად ერთ ფაქტსაც გავიხსენებდი. ერთხელ იგი სახალხოდ უნდა გამოსულიყო, მაგრამ სიტყვის მოსამზადებლად ძალზე ცოტა დრო ჰქონდა; როდესაც ეროტემ, ერთ-ერთმა მისმა მონამ, აუწყა გამოსვლა შემდეგი დღისათვის გადაიტანესო, ციცერონმა იმდენად გაიხარა, რომ ამ ამბის მომტან მონას თავისუფლება უბოძა.

რაც შეეხება წერილებს, ჩემი მეგობრები თვლიან, რომ

მე მაქვს ამის ნიჭი. ღირსეული თანამოსაუბრე რომ მყავდეს, სიამოვნებით გამოვიყენებდი წერილის ფორმას ჩემ მოსაზრებათა გასავრცელებლად; ასეთი ურთიერთობა, მართლაც მჭირდება ადამიანთან, რომელიც მხარს დამიჭერდა და გამამხნევებდა (ოდესღაც მე იგი მყავდა). სხვებივით ფუჭ ლაპარაკს ალბათ ძილში თუ შევძლებდი, ხოლო წერილების საწერად არარსებულ ადამიანთა გამოყენება ეწინააღმდეგება ჩემს სულს, როგორც ყოველგვარი სიყალბის დაუძინებელ მტერს; კარგ მეგობართან მიმართვის შესაძლებლობა რომ მქონდეს, უფრო ყურადღებიანი და დარწმუნებული ვიქნებოდი საკუთარ თავში, ვიდრე ამჟამად ვარ, როცა თვალწინ მრავალსახა ბრბო ირევა; არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო უკეთაც დავწერდი. ბუნებით ჩემი სტილი ლაღი და ირონიულია, გადმოცემის ასეთი ფორმა შეუფერებელია ოფიციალური ურთიერთობისათვის ისევე, როგორც ჩემი შეზღუდული, უწესრიგო და არათანმიმდევრული თხრობა. მე არ შემიძლია გაპრანჭული წერილების წერა, თავაზიანი სიტყვებით კეკლუცობა; არც იმის ნიჭი და სურვილი მაქვს, ვინმეს ვრცლად ვამცნო ჩემი მისდამი პატივისცემა და რომ მზად ვარ, ვემსახურო; არც იმის მისწრაფება და მოთხოვნილება მაქვს, გრძნობებზე იმაზე მეტი ვილაპარაკო, ვიდრე განვიცდი. ამგვარი, ჩვენში მოდად ქცეული ჩვეულება, ჩემთვის საოცრად მიუღებელია. არასოდეს ყოფილა ასე დამდაბლებული და შერყვნილი პატივისცემის აღმნიშვნელი სიტყვები: „სიცოცხლე“, „სული“, „ერთგულება“, „აღტაცება“, „მონა“, „მსახური“

ისეთ უხამსობებად ქცეულან, რომ ნამდვილი, ძლიერი გრძნობისა და პატივისცემის გამოსახატავად ადამიანები სიტყვებს ვეღარ პოულობენ.

საოცრად მძულს პირფერობა; ამიტომ, ბუნებრივია საუბრის დროს ვარ პირდაპირი, სიტყვაძვირი და უკმეხი; ვინც ცუდად მიცნობს, ამას ქედმაღლობად მითვლის. უდიდესი პატივისცემით ვექცევი მათ, ვის მიმართაც არ მიწევს საპატივცემო გამოთქმების უხვად ფლანგვა; თუ ჩემი სული სიხარულით მიილტვის ვინმესკენ, თავაზიანობის წესების თანახმად მოქმედება ნამდვილად არ ძალმიძს; ვისაც მთელი არსებით ვეკუთვნი, საკუთარ თავს ძუნწად და ღირსეულად ვთავაზობ და ნაკლებად ვუცხადებ ერთგულებას მათ, ვისი ერთგულიც ყველაზე მეტად ვარ. მე ვთვლი, რომ ისინი ამას ჩემ გულში უნდა კითხულობდნენ, რომ ვერავითარი სიტყვები ვერ გამოხატავენ სრულად ჩემს გრძნობებს; არავინ მეგულება ჩემზე მოუქნელი და ტლანქი ვინმესთან მისალმებისას, დაშვიდობებისას, მადლიერების ან მილოცვის, აგრეთვე, რაიმე სამსახურის შეთავაზების და სხვა იმგვარი ქათინაურების თქმის დროს, ჩვენი თავაზიანობის წესები რომ ითხოვენ. არ მახსოვს, ვინმესთვის რამე რეკომენდაციით ან თხოვნით მიმემართოს და ჩემი ბარათი მშრალად და უხეიროდ არ მოსჩვენებოდეს.

იტალიელები წერილის უბადლო ოსტატები არიან; თუ არ ვცდები, ასეთი წერილების სულ მცირე ასი ტომი მაინც მაქვს. ჩემი აზრით, მათ შორის ყველაზე საუკეთესოა ანიბალე კაროს[143] წერილები. დღეს ხელთ რომ მქონდეს ჭეშმარიტი სიყვარულით შთაგონებული იმ წერილების

დასტა, რაც თავის დროზე ქალებისათვის მიმიწერია, შესაძლოა მათში, მართლაც, აღმოჩენილიყო თუნდაც ერთი ისეთი ფურცელი, რომელიც შეიძლებოდა გამეცნო სიყვარულის ვნებით ანთებული ჩვენი უქნარა ახალგაზრდებისათვის. წერილებს ყოველთვის ისე სწრაფად და გამალებით ვწერ, რომ ცუდი ხელის მიუხედავად, მაინც ვამჯობინებ, მე დავწერო, ვიდრე სხვას ვუკარნახო. ეს იმიტომ, რომ კაცი ვერ ვნახე, რომელიც შეძლებდა ჩემ აზრებს მიჰყოლოდა; გარდა ამისა, არასოდეს ვათეთრებ წერილს; მაღალი თანამდებობის პირები, რომლებთანაც ურთიერთობა მიხდება, მივაჩვიე ჩემს მელნით დაღვენთილ, უსუფაო, ბინდორდაუცველ და გადაუკეცავ წერილებს; რომელ წერილზეც მეტად გავისარჯე, ყველაზე უხეირო ის აღმოჩნდა. თუ წერილი მაშინვე არ გამომივიდა, მაშასადამე, შთაგონება არ მეყო. ყველაზე მეტად მსიამოვნებს წერილის დაწყება ყოველგვარი წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე, როცა ერთი სიტყვა მეორეს იწვევს. ჩვენი დროის წერილები ვრცელი შესავლით უფრო ღობე-ყორეს ედებიან, საქმის არსს ნაკლებად ეხებიან. ერთი წერილის დაკეცვასა და დალუქვას ორის დაწერა მირჩევნია. ამიტომ ამ საქმეს მუდამ სხვას ვავალებ. ასევე სიამოვნებით დავავალებდი ვინმეს, წერილის საქმიანი ნაწილისათვის დაემატებინა ის ვრცელი მიმართვები, წინადადებები, მუდარები, რომლებითაც ჩვენი ადათის თანახმად ამკობენ წერილს, მის დასასრულს; ძალიან მსურს, რომელიმე ახალმა ადათმა გაგვათავისუფლოს ყოველივე ამისაგან, ასევე ყველა ჩინისა და ტიტულის ჩამოთვლის

აუცილებლობისაგან. ბევრჯერ მითქვას უარი წერილის დაწერაზე იურისტებისა და ფინანსისტებისთვის იმ მიზეზით, რომ რაიმე არ ამრეოდა ან არ შემშლოდა, რადგან მათთან დაუსრულებლად იქმნება ახალი თანამდებობები; საოცარი სირთულეა საპატიო წოდებების იერარქიაშიც, ეს მათ იმდენად ძვირი უჯდებათ, — თუ შემთხვევით რაიმე შეგეშალათ ან დაგავიწყდათ, თავს შეურაცხყოფილად ჩათვლიან. ასევე არასწორად მიმაჩნია გამოსაცემი წიგნის თავფურცელზე ავტორის ჩინებისა და ტიტულების ჩამოთვლა.

ჩვენ შორის არსებული უთანასწორობა

ერთ-ერთ თავის თხზულებებში პლუტარქე* წერს, რომ ცხოველი ისე ძლიერ არ განსხვავდება ცხოველისაგან, როგორც ადამიანი ადამიანისაგან. მას მხედველობაში აქვს ამ უკანასკნელის სულიერი და შინაგანი თვისებები. მართლაც, მე ვთვლი, რომ ეპამინონდასსა* და ჩემს ამა თუ იმ, თუნდაც საღად მოაზროვნე, ნაცნობს შორის იმდენად დიდი სხვაობაა, რომ მე პლუტარქეზე ბევრად უფრო მკვეთრად ვიტყოდი: ხშირად ცალკეულ ადამიანთა შორის უფრო დიდი სხვაობაა, ვიდრე ზოგიერთ ადამიანსა და ზოგიერთ ცხოველს შორის.

*„რა ძლიერ განსხვავდება ერთი ადამიანი მეორისაგან!“**

---

*ტერენციუსი, საჭურისი, 232.

რომ რეალურ სრულყოფილებას იმდენი საფეხური აქვს, რამდენი ურიცხვი მეტრიც მიწიდან ზეცამდეა. საოცარია, მაგრამ ფაქტია რომ ჩვენ ნებისმიერ საგანს, გარდა ადამიანისა, მისი საკუთარი თვისებებით ვაფასებთ; მაგალითად, ცხენს არა აღკაზმულობის, არამედ მისი ძალისა და სისწრაფის გამო ვაქებთ, ბედაურს არა აღვირის, არამედ ფეხმარდობისათვის;

*„ასე გვგვრის აღტაცებას ცხენის სისწრაფე და გამბედაობა, რომელიც ხშირად ძალზე ოლად იღებს ჯილდოებს და იპოდრომზე თავმოყრილ ადამიანთა ოვაციას იწვევს.“**

შევარდენს ვაქებთ არა ბავლის ან ეჟვნის, არამედ ფრთების გამო. მაშ რატომ არ ვაფასებთ ადამიანს მისთვის არსებითი თვისებებით? ფუფუნება, მდიდრული კარმიდამო, გარკვეული გავლენა საზოგადოებაში, შემოსავალი და ა.შ. — ყოველივე ეს მისი არსებობის კარს მიღმაა და არა მისი არსების წიაღიდან მომდინარე. ტომარაში ჩასმულ კატას არავინ ყიდულობს; როდესაც ცხენს ყიდულობენ, მასაც აჰყრიან საბრძოლო აღჭურვილობას და ისე ათვალიერებენ. თუ ცხენს გადაფარებული აქვს ჩულო — ძველი ადათის თანახმად, ასე მიყავდათ გასაყიდი ცხენები მეფესთან — ცხადია, ასეთ დროს დაფარულია მხოლოდ მისი სხეულის არაარსებითი ნაწილები, რათა ფაფარის ბზინვარებამ ან გავის სიგანემ არ გაგიტაცოთ და მთელი ყურადღება მიაპყროთ თვალებს, ფეხებს, ჩლიქებს ანუ

---

*იუვენალისი, სატირები, VIII, 57.

ნებისმიერი ცხენის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს.

*„როდესაც მეფეები ცხენებს ყიდულობენ, ჩვეულებრივ მათ ჩულოებს აფარებენ ხოლმე, რადგან ხშირად ცხენს ლამაზი ტანი და სუსტი ფეხები აქვს; ალტაცებული მყიდველი შესაძლოა შეაცდინოს გავის სილამაზემ, კოხტა თავმა და ამაყად მოღერებულმა ყელმა.“**

მაშ როგორ უნდა შევაფასოთ საფარველში შეფუთული ადამიანი? ის ხომ მხოლოდ იმას აჩენს, რაც მისთვის არაარსებითია და გვიმალავს ყველაფერს, რის საფუძველზეც შესაძლებელია მის ღირსებებზე მსჯელობა. როდესაც დაშნას ყიდულობთ, თქვენ თავად დაშნა გაინტერესებთ და არა მისი ქარქაში. თუმცა შესაძლოა, უქარქაშო დაშნაში ერთი გროშიც კი არ გაიღოთ. ადამიანზეც მისი თვისებებით უნდა მსჯელობდეთ და არა სამოსით. ერთი ძველი ავტორი[144] ძალზე გონებამახვილურად ამბობს: „იცით, რატომ გეჩვენებათ იგი მაღალი? თქვენ მისი ქუსლების სიმაღლე გატყუებთ.“ ცხადია კვარცხლბეკი ძეგლი არაა; შეაფასეთ ადამიანი ოჩოფეხების გარეშე; დაე, მან გვერდით გადადოს სიმდიდრე, წოდებები და პერანგის ამარა წარმოგიდგეთ, რათა დაინახოთ — აქვს თუ არა მას ჯანმრთელი და ძლიერი სხეული, ძალუძს თუ არა მას ბუნებით დაკისრებული მოვალეობების შესრულება, როგორი სული აქვს, არის თუ არა ის მშვენიერი, ნიჭით და სათანადო ღირსებებით დაჯილდოებული, მთელი ეს

*ჰორაციუსი, სატირები, 1,2,86.

თუ ნასესხებია. ყოველივეს ბედნიერ შემთხვევითობას ხომ არ უნდა უმადლოდეს, ძალუძს გულგრილად შეხვდეს შიშველი მახვილის ელვას, ბუნებრივი ან ძალისმიერი სიკვდილის ხომ არ ეშინია, ახასიათებს საკმაო სიმტკიცე, ზომიერება, კმაყოფილება? აი, რას უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას და რის საფუძველზე უნდა ვმსჯელობდეთ ჩვენს შორის არსებულ უზარმაზარ სხვაობებზე.

*„თუ ის გონიერი და საკუთარი თავის ბატონ-პატრონია; თუ მას არ აშინებს სიღარიბე, სიკვდილი, ბორკილები; თუ სულით უდრეკი და საკუთარ ვნებათა მომთოკველი არად აგდებს პატივს; თუ გულჩათხრობილია; თუ იმ უზადო სფეროს ჰვავს, რომლის ბრუნვასაც ვერ აბრკოლებს გარეშე ძალა, ნუთუ ბედის უკულმართობები შეძლებენ მასზე ბატონობას?!“**

ასეთი ადამიანი არ საჭიროებს სახელმწიფოებსა და საჰერცოგოებს, იგი ისე მაღლა დგას, რომ თავადაა საკუთარი თავის სამეფო.

*„გონიერი თავად არის საკუთარი ბედნიერების შემოქმედი“.***

მაშ რაღა უნდა?

„ყური მიუგდეთ ბუნების ხმას, რას ითხოვს იგი თქვენგან? მხოლოდ ერთს — ტკივილი არ თრგუნავდეს სხეულს, შიში და მოუსვენრობა კი

---

*ჰორაციუსი, სატირები, III,7,83.

**პლავტუსი, II, III, 84.

*სულს, რათა ნეტარი სულიერებით შეგეძლოთ ტკბობა.“**

შეადარეთ მას ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანთა უგუნური, სულმდაბალი, მონურად მორჩილი, მერყევი და მუდამ მოთუხთუხე ბრბო, სხვადასხვა ვნებების გავლენით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს რომ მიექანება, აბსოლუტურად სხვის დაკრულზე რომ ხტიან. ღირსეული პირი ისე შორსაა ამ ალუფხული მასისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. თქმულის მიუხედავად, ჩვეულებრივ იმდენად დაბრმავებულნი ვართ, რომ ყოველივე ამას ან ძალზე მკრთალად ვხედავთ ან საერთოდ მისკენ არც ვიყურებით. გლეხი და ხელმწიფე, აზნაური და მდაბიო, სასულიერო და საერო, მდიდარი და ღარიბი, მართალია, გარეგნულად საპირისპირო ცნებებს გამოხატავენ, მაგრამ რეალურად მათ ერთმანეთისაგან მხოლოდ სამოსი თუ განასხვავებს.

თრაკიაში[145] მეფეს ხალხისაგან საკმაოდ უცნაური და ძნელადშესაცნობი წესი განასხვავებდა. მას საკუთარი რელიგია და საკუთარი ღმერთი ჰყავდა, რომლის თაყვანისცემის უფლებაც არ ჰქონდათ მის ქვეშევრდომებს; მისი ღმერთი იყო მერკური.[146] მეფე არ ცნობდა ქვეშევდრომთა ღმერთებს — მარსს,[147] ბახუსს,[148] დიანას.[149] ცხადია, ეს მხოლოდ გარეგნულად იყო ასე და არ გამოხატავდა მათ შორის არსებულ რაიმე მნიშვნელოვან სხვაობას, იმ მსახიობების მსგავსად, სცენაზე მეფეებსა და იმპერატორებს რომ თამაშობენ, სპეტაკლის შემდეგ

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 16

კი თავიანთ მდგომარეობას — მსახურის ან დღიური მუშის უბადრუკ ყოფას — რომ უბრუნდებიან. შეხედეთ იმპერატორს საზეიმო მსვლელობის დროს, თავისი სხივოსნებით თვალს რომ გჭრით.

*„იმიტომ რომ მის თითებს ოქროთი მოოჭვილი, მწვანედ მოელვარე დიდი ზურმუხტები აშშვენებენ, იმიტომ რომ ის მუდამ მდიდრულ სამოსშია გამოწყობილი, რომელიც საუგო სიამოვნებათა დროს უცვლება.“**

და შეხედეთ მას ჩამოშვებული ფარდის მიღმა: ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ყველაზე საბრალო ქვეშევრდომზე უფრო მეტ არარაობადაც კი იქცეს —„ბრძენის ბედნიერება ჭეშმარიტია, რადგან იგი მისგან მომდინარეობს, მეფის ბედნიერება კი მოჩვენებითია.“** სიმხდალე, გაუბედაობა, პატიოემოყვარეობა, დარდი და შუღლი მასაც ისევე აღელვებს, როგორც ნებისმიერ სხვას.

*„განძი და კონსულის მაღალი თანამდებობა ვერ განდევნიან ოქროს ვარაყით მოხატულ ჭერქვეშ დაბუდებულ ბოროტ სულიერ შიშსა და მწუხარებას.“****

შიში და მღელვარება მას საკუთარ ჯარისკაცთა შორის მყოფსაც კი იპყრობს.

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის IV, II, 23

**სენეკა, წერილები, 115.

*** ჰორაციუსი, ოდები, II, 16.

*„ადამიანის თანამდევი შიში და წუხილი არად აგდებენ იარაღის ჟღარუნს და სასიკვდილო ხელშუბებს. ისინი უტიფრად ტრიალებენ მეფეთა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა კარზე, არ დაგიდევენ მათი ოქრო-ვერცხლის ბრწყინვალებას.“**

განა ციება, თავის ტკივილი, ნიკრისის ქარი ჩვენზე ნაკლებად დაუნდობელნი არ არიან მის მიმართ?! ძალუძთ კი მცველებს მისი მოხრილი მხრების განთავისუფლება სიბერის ტვირთისაგან?! განა სიკვდილის შიშით გახევებულს საკუთარი კარის დიდებულთა თანადგომა მოგვრის სიმშვიდეს?!

განა მისი ეჭვით ან ქვეშეცნეული ჟინით შეპყრობილი სული გონს მოეგება ქვეშევრდომთა მდაბალი სალამით?! მისი საწოლის ოქრო-მარგალიტით ნაქარგ მიჩიგდანს როდი ძალუძს კუჭის ტკივილი გაუყუჩოს?!

„ციებისათვის სულერთია მდიდარი თუ ღარიბი — იგი უფრო არ დაგანებეთ თავს, თუ თქვენ ღარიბულ საწოლში კი არა, მეწამული ფერის მდიდრულად ნაქარგ ქსოვილის ქვეშაგებში წევხართ.“ **

მლიქვნელები დიდ ალექსანდრეს არწმუნებდნენ, რომ იგი იუპიტერის[150] ვაჟი იყო. ერთხელ ბრძოლაში დაჭრილმა ალექსანდრემ* შეხედა ჭრილობიდან მომდინარე სისხლს და თქვა: „აბა, ახლა რაღას იტყვით? განა ეს ნამდვილი ადამიანური, წითელი სისხლი არაა?! რაღაც არ გავს ის

---

* ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის II, 47.

** ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის II, 34.

ღმერთების მიერ დაჭრილი ჰომეროსის* ჭრილობებიდან მომდინარე სისხლს.“ პოეტმა ჰერმოდორემ მაკედონიის მეფეს — ანტიგონეს* ლექსი უძღვნა და მას მზის ვაჟი უწოდა. ანტიგონე შეედავა: „მან, ვისაც ჩემი ღამის ქოთანი გააქვს, შესანიშნავად იცის, რომ ეს სიცრუეა.“ ასე რომ მეფეც ჩვეულებრივი ადამიანია; თუ ის ბუნებით ცუდი პიროვნებაა, მთელი მსოფლიოს ხელმწიფობაც ვერ გახდის უკეთესს.

*„თუნდაც მის თავს ქალწულები ერთმანეთს ეცილებოდნენ, თუნდაც მის ყოველ ნაბერფალზე ვარდი ხარობდეს“.**

რა აზრი აქვს ყოველივე ამას, თუ თავად უხეშია, სულიერად კი არარაობა?! ბედნიერება და სიამოვნებათა განცდის უნარი სულიერ ძალასა და გონიერებას საჭიროებენ —

*„ეს საგნები ისეთებია, როგორადაც პატრონი აქცევს მათ: ისინი სიკეთის მომტანია მათთვის, ვინც მათ კარგად მოიხმარს, და პირიქით — ბოროტებისა, ვინც ცუდად მოიხმარს.“***

ბედმა რა სიკეთითაც არ უნდა დაგაჯილდოოთ, არ კმარა, თუ მათი მშვენიერების შეცნობის უნარი არ შეგწევთ; არა რაიმე საგნის ფლობა, არამედ ამ უკანასკნელით მონიჭებული სიამოვნება გვაზიარებს ბედნიერებას:

---

*პერსეოსი, სატირები, II, 37-38.

**ტერენციუსი, 195-196

*„განა ეს საუცხოო სახლი, თვალუწვდენელი მამულები, ბრინჯაოსა და ოქროს ზოდები განდევნიან ავადმყოფი მეპატრონის სხეულიდან ციებ-ცხელებას, ანდა დარდს მისი სულიდან? იმისათვის, რომ ქონებით დატკბეთ, სულიც და ხორციც ჯანსაღი უნდა გქონდეთ. შიშით ან სიხარბით განაწამები სულისათვის მთელი ეს სიმდიდრე იგივეა, რაც ცხელი საფენები ნიკრისის ქარით დაავადებულისთვის, ანდა სურათები თვალებდალიბრული ადამიანისათვის.“**

უგუნური, უხეში და ცუდი გემოვნების ადამიანი ისევე ტკბება ცხოვრების სიკეთეებით, როგორც გემო და ყნოსვადაკარგული კაცი ბერძნული ღვინის სიტკბოთი და სურნელებით. ანდა ცხენი აკაზმულობის სიმდიდრით, რომლითაც მორთეს. მართალია პლატონი, როდესაც ამბობს, რომ ჯანმრთელობა, სილამაზე, ძალა, სიმდიდრე და საერთოდ ყველაფერი, რასაც სიკეთე ეწოდება უგუნურისათვის იმდენადვე ცუდია, რამდენადაც კარგია გონიერისათვის და პირიქით; სული და სხეული თუ არასასურველ მდგომარეობაშია, რის მაქნისია ჩვენს მიღმა არსებული ცხოვრებისეული სიკეთეები? ქინძისთავის უმცირესი ჩხვლეტა, უმცირესი სულიერი მღელვარებაც კი საკმარისია, რათა ადამიანს წაერთვას მსოფლიოს განმგებლობით მინიჭებული სიხარული. ნიკრისის ქარის პირველსავე შეტევაზე ნებისმიერი დიდებულიცა და მისი უდიდებულესობაც — *„მთლად ოქრო-ვერცხლში ჩაფ-*

**ჰორაციუსი, წერილები, 1,2,46

*ლულნი** — განა მაშინვე არ ივიწყებენ თავიანთ სასახლეებსა და თავიანთ დიდებულებას?! როგორ გგონიათ, რისხვისას მეფური ღირსება დაეხმარება მათ, თავი შეიკავონ გაწითლების, გაფითრების ანდა ბნედიანივით კბილების ღრჭიალისაგან? თუ იგი კეთილშობილი და გონიერი ადამიანია, სამეფო ტახტი ბევრს ვერაფერს შესძენს მის ბედნიერებას.

*„თუ ჯანმრთელი კუჭი და ჩინებული მკერდი გაქვთ, თუ არც ნიკრისის ქარი გაწუხებთ, მაშინ თქვენს ბედნიერებას მეფეთა სიმდიდრეც ვერას შეჰმატებს.“***

იგი ხელავს, რომ ყოველივე ეს ამაოება და სიყალბეა. შესაძლოა იგი დაეთანხმოს მეფე სელევკეს[15] მოსაზრებასაც: „ვინც უწყის, თუ რაოდენ მძიმეა სამეფო კვერთხი, მიწაზე დაგდებულის აღებასაც არ შეეცდება.“ ეს სიტყვები მას კარგი მეფის მძიმე ჯვარმა ათქმევინა. მართლაც, სხვათა განმგებლობა იოლი როდია, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხშირად გვიჭირს საკუთარ თავს ლაგამი ამოვდოთ. რაც შეეხება სხვათა მბრძანებლობას — ერთი შეხედვით თითქოს სასიამოვნოდ რომ გვეჩვენება — თუ ადამიანური განსჯის უბადრუკობასა და ახალ და საეჭვო საგანთა შორის არჩევანის მთელ სირთულესაც გავითვალისწინებთ, მაშინ მე ვთვლი, რომ ვინმეს მიყოლა უფრო იოლი და სასიამოვნოა. ვიდრე სხვათა წინამძღოლობა, სულს ხომ დიდად უმსუბუქებს მდგომარეობას

---

*ტუბულუსი 1, 2, 69

** ჰორაციუსი, წერილები, 1,2,5.

გაკვალული გზით სიარული და მხოლოდ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა —

*„ჯობს მშვიდად ჰმორჩილებდე, ვიდრე საზოგადოებრივ საქმეთა მთელი სიმძიმე შენ გაწვეს მხრებზე.“**

თქმულს კიროსის* ნათქვამსაც დავუმატებდი: „გამგებლობა მხოლოდ მისი ხვედრია, ვინც იმათზე უკეთესია ვისაც უნდა განაგებდეს.“ მაგრამ ქსენოფონტთან* მეფე ჰიერონი[152] თვლის, რომ ადამიანური სიტკბოების ჟამს მეფეები მდაბიოებზე ცუდ დღეში არიან, რადგან იმდენად ილად და ხელმისაწვდომად ეძლევათ სიამოვნებები მათ, რომ მოკლებულნი არიან მიზნის მიღწევის იმ სიტკბონარევ სიმძაფრეს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, რის გამოც დაუკმაყოფილებლობის განცდა ეუფლებათ და არა ტკბობის.

*„მოყირჭებულობა სიყვარულსაც არასასიამოვნოს ხდის; იგი იმ გემრიელი საჭმელივითაა, რომლის სიჭარბეც კუჭს ვნებს.“***

განა საეკლესიო გუნდის მომღერალ ბავშვებს მუსიკა ძალიან სიამოვნებთ? პირიქით, გაუთავებლად მღერა უმალ სევდას ჰგვრის მათ. ზეიმები, ცეკვები, მასკარადები, შეჯიბრებები სიხარულს იშვიათ სტუმარს ანიჭებს, რომელსაც მათდამი ინტერესი შენარჩუნებული აქვს. ვისთვისაც ჩვეულებრივ ამბებად ქცეულა ყოველივე ეს,

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, V, 1126.

** ოვიდიუსი, სატრფიალო პოეზია, 11, 19.25-26.

იგი უინტერესოდ და ულიმლამოდ მიაჩნია. ვისაც ყელში ამოუვიდა ქალებით ტკბობა, ქალთა საზოგადოება მის ვნებებს აღარ აღელვებს; ოინბაზთა ხუმრობები ჩვენ გვართობენ, თორემ თავად მათთვის ეს უმძიმესი შრომაა. ასე რომ, მაღალი თანამდებობის პირთათვისაც ზეიმი სიამოვნებაა, თუ უბრალო ადამიანის სამოსში გამოწყობილთ შესაძლებლობა ექნებათ, თუნდაც დროებით, უბრალო ხალხის მარტივ ორომტრიალში გადაეშვან:

*„ძლიერთ ამა ქვეყნისათა უყვართ ცვლილებები, მათ არც თუ იშვიათად გაჰბრწყინებიათ სახე მოკრძალებულ სუფრასთან ღარიბულ ქოხში, ფუფუნებისა და ხალიჩების გარეშე.“**

ადამიანს ყველაზე მეტად სიუხვე აღიზიანებს და ბეზრდება. რომელ ავხორცს არ დაეუფლება ზიზღის გრძნობა, თუ სულთნის ჰარამხანის მსგავსად მის მკლავებშიც სამასი ქალი აღმოჩნდება?! ნადირობისადმი რა მისწრაფება უნდა ჰქონოდა ან რა სიამოვნება უნდა მიეღო მხეცთა დევნით წინაპარს. თუ არანაკლებ შვიდი ათასი ბაზიერის თანხლებით გადიოდა მინდორში?! გარდა ამისა, ვთვლი, რომ დიდების ბრწყინვალება არანაკლებ უხერხულობებს იწვევს ყველაზე ენებიანი სიამოვნებებით ტკბობის დროსაც; ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყოველმხრივ და ყველას ყურადღების ცენტრში არიან; არ მესმის, როგორ შეიძლება, ისინი სხვებზე მეტად დაადანაშაულოთ თავიანთ ცოდვათა დაფარვის ან მიჩქმალვის

* ჰორაციუსი, ოდები, III, 29, 13.

მცდელობისათვის. ის, რაც ჩვენ მხოლოდ სისუსტედ გვეთვლება, ხალხის აზრით, მათთვის ტირანიის გაძოვლინება, კანონთა უგულებელყოფა და მათი აბუჩად აგდებაა; იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავიანთ ქვენაგრძნობათა დაკმაყოფილებით, ისეთ სიამოვნებას განიცდიან, საზოგადოებრივ დადგენილებებს შეურაცხყოფენ და ფეხქვეშ ქელავენ. პლატონი „გორგიაში“ ტირანს უწოდებს ისეთ პიროვნებას, რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს სახელმწიფოში; ხშირად აღნიშნულ მანკიერებებზე მეტად ხელისუფალთ სწორედ ამ უკანასკნელთა სასეიროდ გამოტანა შეურაცხყოფს. თვალთვალი და ზედამხედველობა არავის მოსწონს, არა და ხალხი ყოველ მათ ნაბიჯს, ქცევას და მოსაზრებას თვალყურს ადევნებს და მათი განსჯა თავის კანონიერ მოვალეობად და უფლებად მიაჩნია. ჩვეულებრივ წინა პლანზე, ძლიერ განათებულ სცენაზე ლაქებიც უფრო დიდი გვეჩვენება, შუბლზე ნაკაწრი ან მეჭეჭი უფრო თვალში საცემია, ვიდრე იარა სხეულის რომელიმე შეუმჩნეველ ადგილზე. აი, რატომ თვლიან პოეტები, რომ თითქოს იუპიტერი თავისი სასიყვარულო თავდავიწყების დროს სხვადასხვა ნიღაბს ირგებდა. ყველა იმ თავგადასავალთაგან, რომელსაც მას მიაწერენ, ჩემი აზრით, იგი მხოლოდ ერთხელ წარმოგვიდგება მთელი თავისი მეფური დიდებულებით.

უმჯობესია კვლავ ჰიერონს დავუბრუნდეთ. ისიც უჩივის იმ შეუსაბამობებს, მეფობის დროს რომ განიცდის — არ აძლევენ თავისუფლად მოგზაურობის საშუალებას და საკუთრი ქვეყნის საზღვრებში ჰყავთ დატყვევებული. მისი

ქმედებები საოცრად შეზღუდულია დამთრგუნავი წესებით. მართალი გითხრათ, სუფრასთან მარტო მჯდომი მეფის შემყურეს, ამდენი უცხო ადამიანი თავს რომ დასტრიალებს, ლუკმას უთვლის და ჭორაობს, ბისდამი უმალ სიბრალული და არა შეღლი დამეუფლება ხოლმე. მეფე ალფონსის თანახმად ამ შემთხვევაში მათ ხვედრს სახედართა ბედი სჯობს, რომელთაც პატრონები თავისუფლად ბალახობის საშუალებას მაინც აძლევენ, მეფეები კი, თავიანთ მსახურთა ალყაში, ამას მოკლებულნი არიან.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გონიერი ადამიანისათვის დიდად სასიამოვნო ვერ იქნებოდა მის საპირფარეშოზე ოცი ადამიანის ზედამხედველობა; მისთვის მგონი უფრო ხელსაყრელი და მისაღები უნდა ყოფილიყო რომელიმე კარგი, გამოცდილი ლაქიის მიერ გაწეული სამსახური და არა იმ ადამიანის ლაქუცი, ათი ათასი ლიერი შემოსავალი რომ ჰქონდა, უფრო უკეთესი იქნებოდა კაზალი[153] რომ აიღო, ანდა სიენა[154] დაიცვა.

სამეფო ტახტის უპირატესობები მეტ-ნაკლებად მოჩვენებითია. ნებისმიერი სიმდიდრისა და მდგომარეობის მქონე ადამიანმაც შესაძლოა თავი ყოვლისშემძლე მეფედ იგრძნოს. ცეზარი* თავისი დროის მთავრებს, რომელთაც საფრანგეთში გასამართლებისა და მსჯავრის დადების უფლება ჰქონდათ, პატარა მეფეებს უწოდებდა. მართლაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „მისი უდიდებულესობის“ ტიტულს, ნებისმიერი დიდებულის მდგომარეობა არსებითად დიდად არ ჩამოუვარდება მეფისას. გადავხედოთ სამეფო კარისაგან მოშორებულ პროვინციებს, მაგალითად,

ბრეტანს;[155] შეხედეთ როგორ გაფუფუნებულა თავის სამფლობელოში განმარტოებული, მსახურებით გარემოცული ბატონი. შეხედეთ მის ამალას, ქვეშევრდომებს, როგორი ცერემონიებით ემსახურებიან მას; და მასაც სჯერა, რომ მასზე დიდებული და მეფური ღირსებით შემკული, მართლაც არავინ არის. თავის ხელმწიფესა და განმგებელზე — თითქოს სპარსეთის შაჰი იყოს — იგი წელიწადში ერთხელ თუ შეიტყობს რაიმეს; მის უდიდებულესობასთან იგი მხოლოდ ძველ ნათესაურ კავშირს ცნობს, რომელსაც მდივანბეგის განკარგულებაში არსებული საბუთები ადასტურებენ. რეალურად ჩვენი კანონები საკმაოდ თავისუფალია, უმაღლესი ხელისუფლება ფრანგ აზნაურს მისი სიცოცხლის მანძილზე ორჯერ ან სამჯერ თუ შეახსენებს თავს. ჩვენ შორის ამ დაქვემდებარებას ყველაზე მეტად გრძნობს ის, ვინც თავისი სამსახურით ცდილობს დიდება და სიმდიდრე მოიპოვოს; ვისაც სახლში მშვიდად ჯდომა სურს და ყოველგვარი აყალმაყალისა და სასამართლო დავის გარეშე საკუთარი მეურნეობის გაძღოლის უნარიც შესწევს, იგი ვენეციელი დოჟივით თავისუფალია. *„მონები ცოტანი არიან, ისინი უფრო ჭარბად მოიძებნებიან, თავს ძალით რომ იმონებენ.“**

ჰიერონი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ მეფეს სწორედ მეფობა უშლის ხელს ადამიანებთან მეგობრობასა და ურთიერთობაში, არადა სწორედ ისინი (ურთიერთობები) ანიჭებენ უდიდეს სიხარულს ადამიანის სიცოცხლეს. რის

*სენეკა, წერილები, 22.

საფუძველზე შემიძლია ვენდო იმ ადამიანის მეგობრობასა და კეთილ ნებას, რომელიც ნებით თუ უნებლიედ ყოველმხრივ ჩემზეა დამოკიდებული?! როგორ შემიძლია ვენდო მის მორჩილ სიტყვასა და კუდის ქიცინით მოსალმებას, თუკი სხვაგვარად ვერც მოიქცევა?! პატივი, რომელსაც ჩვენდამი შიშით მოგვაგებენ, არაჭეშმარიტია. ამ შემთხვევაში ისინი პატივს სცემენ არა ჩემს პიროვნებას, არამედ მეფის ტახტს.

*„მეფობის დიდი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ხალხი ვალდებულია — არა თუ მოთმინებით იტანდეს, არამედ ხოტბასაც ასხამდეს თავის გამგებელთა ნებისმიერ ქმედებას.“**

განა ვერ ვხედავთ, რომ ბოროტ მეფესაც, კეთილსაც, იმ მეფეებსაც, რომლებიც სძულთ ან უყვართ, ერთნაირად მიაგებენ პატივს? ჩემ მემკვიდრეებსაც ისეთივე მოწიწებით მოემსახურებიან, როგორითაც ჩემს წინაპარს ემსახურებოდნენ. ის ფაქტი, რომ ქვეშევრდომები არ შეურაცხმყოფენ, სრულებითაც არ მოწმობს ჩემდამი მათ სიყვარულს; რატომ უნდა ვიფიქრო, რომ მათ ვუყვარვარ, თუკი მათ რომც მოისურვონ, სხვაგვარად მოქცევა არ ძალუძთ?! მეგობრული გრძნობა არავის აიძულებს ჩემს მორჩილებას და საერთოდ შეუძლებელია მეგობრობა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც არიან ნაკლებ ურთიერთკავშირში და მათ მდგომარეობებს შორის დიდი სხვაობაა. მე ჩემი მაღალი მდგომარეობა მაყენებს

---

*სენეკა, წერილები, 205.

მსახურთაგან ასეთ გულღია ურთიერთობათა მილმა. ისინი მე ადათის ან უმალ ჩვეულების გამო მიხრიან თავს, უფრო სწორად — არა მე, არამედ ჩემს მდგომარეობას, რათა საკუთარი გაიუმჯობესონ. ყველაფერი, რასაც ისინი მეუბნებიან და ჩემთვის აკეთებენ, მხოლოდ ფერუმარულია მათი ნამდვილი ზრახვებისა, რადგან თავისუფლება ყოველმხრივ შეზღუდული აქვთ იმ უდიდესი ძალაუფლებით, რომლითაც მე მათ განვაგებ. ჩემს ირგვლივ ყველაფერს ნიღაბი ფარავს.

ერთხელ იმპერატორ იულიანეს[156] ქვეშევრდომებმა სამართლიანობისათვის ხოტბა შეასხეს. „სიამოვნებით ვიამაყებდი ამ ხოტბით, იმ პირთა ბაგენი რომ აღავლენდნენ ჩემს მიმართ, ვინც საპირისპირო ქმედების შემთხვევაში ჩემს გაკიცხვასა და განსჯასაც გაბედავდნენ“ — მიუგო მან მეხოტბეებს. ხელმწიფეთა და უბრალო მოკვდავთა ხვედრი ერთნაირად ჭეშმარიტი სიკეთეებია (ფრთოსანი რაშები და ამბროსიით[157] საზრდოობა ღმერთების ხვედრია) — მადა და ძილი მათაც ჩვენნაირი აქვთ; წრთობით არც ჩვენი საბრძოლო იარაღი ჩამოუვარდება მათსას; მზისა და წვიმისაგან სამეფო გვირგვინი მათაც ვერ იცავს...

დიოკლეტიანე[158] ბედნიერად მეფობდა და დიდი პატივითაც სარგებლობდა, მაგრამ უარი თქვა ტახტზე, რათა კერძო ცხოვრებით მინიჭებული სიამოვნებებით დამტკბარიყო. გავიდა დრო; ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ გადაწყვიტა, დიოკლეტიანე კვლავ სამეფო ტახტს დაბრუნებოდა, და მას ხვეწნა-მუდარით მიმართეს, რაზეც მან ასე მიუგო: „თქვენ რომ ხეხილის ჩინებული მწკრივები

გენახათ, თავად რომ დავრგე ჩემ ბაღში, ანდა ის საუცხოო ნესვები მე რომ მოვიწიე, ამ თხოვნით არ მომმართავდით.“

ანაქარსისის[159] აზრით, საუკეთესო იქნებოდა ის განმგებლობა, სადაც საყოველთაო თანასწორობის პირობებში პირველი თანამდებობები სიქველეს მიენიჭებოდა, უკანასკნელები კი მანკიერებას.

როდესაც მეფე პიროსმა* იტალიაზე გალაშქრება გადაწყვიტა, სინესმა,[160] მისმა ბრძენმა მრჩეველმა, მისი უდიდებულესობისათვის პატივმოყვარეობის ამაოება რომ შეეხსენებინა, ჰკითხა: „ხელმწიფეო, რა მიზნით წამოიწყე ეს დიდი ლაშქრობა?“ „რათა იტალიის განმგებელი გავხდე“ — მყისვე უპასუხა მან; „შემდეგ?“ — ჩაეკითხა სინესი. „შემდეგ გალიასა და ესპანეთს დავიპყრობ.“ „შემდეგ?“ — „შემდეგ აფრიკას დავეპატრონები, მთელ მსოფლიოს დავიმორჩილებ და სრულ სიმშვიდესა და განცხრომაში ვიცხოვრებ.“ „ღვთის გულისათვის ხელმწიფეო, რა გიშლის ხელს, თუკი ეს გსურს, რატომ ახლავე არ დასახლდები იქ, საითაც შენი გული მიილტვის და თავიდან არ აიცილებ ყველა იმ სიძნელესა და დაბრკოლებას, ამ მიზნის მისაღწევად რომ გიშლიან ხელს?!“ — ასეთი იყო ბრძენი მრჩეველის საბოლოო პასუხი.

*„არცაა გასაკვირი, რადგან მან არ იცოდა, სად უნდა შეჩერებულიყო, სად იყო ჭეშმარიტი სიამოვნების ზღვარი.“**

მინდა ეს მსჯელობა ერთი ძველი ავტორის[161] სიტყვებით

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის. V, 14, 32.

დავასრულო, რომელიც, ჩემი აზრით, საოცრად ესადაგება თქმულს: *„ჩვენი ბედი ჩვენსავე ზნეებზეა დამოკიდებული.“**

დემოკრიტე და ჰერაკლიტე

მსჯელობა ნებისმიერ საკითხზე სასარგებლოა და ყველა შეთხვევაში გამოსადეგი. ამ საბაბით გამუდმებით მივმართავ მას ჩემს „ესეებში“. უცნობ საგანზე მსჯელობისას იგი შორიდან ფონის მოსინჯვაში მეხმარება და თუ ეს უკანასკნელი საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა ჩემთვის, ვცდილობ ნაპირს აღარ გავცდე. წინსვლის შეუძლებლობის შეგნება თავისთავად მსჯელობის შედეგია, თანაც ისეთი შედეგი, რომლითაც განსჯის უნარს ყველაზე მეტად შეუძლია იამაყოს. ზოგჯერ იმისათვის, რომ ფუჭი და უმნიშვნელო საკითხი წამოვწიო წინ, ვფიქრობ როგორ დავიცვა და განვამტკიცო იგი. ზოგჯერ ძალზე ამაღლებულ და მრავალგზის დამუშავებულ საგანზე მსჯელობისას იმდენად მიჭირს საკუთარი გზის მონახვა, რომ სხვის ნაკვალევზე სიარულიღა მრჩება. მსჯელობის დროს ის გზა უნდა აირჩიოთ, რომელიც საუკეთესოდ მიგაჩნიათ და უნდა დაადგინოთ, თქვენს წინ არსებულ უამრავ ბილიკთაგან რომელია უპირატესი. თვისთავად ყველა თემა კარგია, მათგან ალალბედზე ვიღებ პირველივეს და არასოდეს ვცდილობ მის სრულად ამოწურვას, რადგან ვთვლი, რომ ეს ჩემ ძალებსაც აღემატება და მათსაც, ვინც ამას

*კორნელიუს ნეპოტი, „ცნობილი პიროვნებები,“ 11

გვპირდება. ყოველი საგანი მრავალი ნაწილისაგან შედგება და ამდენად მისი განხილვაც სხვადასხვა კუთხით შეიძლება. ჩვეულებრივ, ზოგადად ვეხები რომელიმე მათგანს, ზოგჯერ საფუძვლიანი კვლევაც მიხდება, ვცდილობ საგანს ვრცლად არ შევეხო და უმალ ღრმად ჩავწვდე მის არსს, რათა იგი აქამდე უცნობი კუთხით წარმოვაჩინო. ეს ყველაზე დიდ სიამოვნებას მგვრის. საკუთარ თავს ცუდად რომ ვიცნობდე, შესაძლოა კიდეც მეცადა რომელიმე საკითხის საფუძვლიანად შესწავლა; ამა თუ იმ საგანზე ჩემს მოსაზრებას ხან ერთგან გამოვთქვამ, ხან მეორეგან, — ამიტომ არაა მყარი კავშირი სიტყვებს შორის, რადგან არც გარკვეული მიზანი მამოძრავებს და არც არაფერს გპირდებით. ასე რომ ამა თუ იმ საგნის ძირფესვიანად გამოსაკვლევად ანდა გამუდმებით მასზე სასაუბროდ თავს არ ვივალდებულებ, პირიქით, დაუსრულებლად ვცვლი საგანს, ზოგჯერ რწმენას ვკარგავ, კიდევაც ვეჭვობ, ყველაზე მეტად კი საკუთარ უვიცობას ვგრძნობ.

თითოეული ჩვენი მოძრაობა ამჟღავნებს ჩვენს ბუნებას. ფარსალოსთან[162] ბრძოლის დროს სამხედრო ხელოვნებაში გამოვლენილმა ცეზარის* სულმა მოცალეობასა და სასიყვარულო თავგადასავლებშიც იჩინა თავი. როდესაც ცხენზე ვმსჯელობთ, გარდა სირბილისა მისი მშვიდი ჩორთი და ოავლაში თვლემის ჩვევაც უნდა გვახსოვდეს.

ადამიანის სულიერ ქმედებას სულმდაბლობაც არ აკლია; ვინც სულის ამ მხარეს ვერ ხედავს, უფლება არა აქვს თქვას, რომ ბოლომდე იცნობს მის ბუნებას. ხშირად ადამიანის სულის შეცნობა მისთვის ჩვეული ნაბიჯით

სიარულის დროს უფრო იოლია, ვიდრე იმ ვნებებით აღგზნებული ჭენების დროს, რომლებიც მისი ყველაზე ამაღლებული თვისებების გამოვლინებებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, იგი სრულად ეძლევა იმ საგანს, რომლისკენაც მიპყრობილია მთელი მისი ყურადღება; ერთდროულად ადამიანი არასოდეს არაა ორი საგნით გატაცებული, ამა თუ იმ მომენტში დაინტერესებულია მხოლოდ იმ საგნით, რომლითაც დაკავებულია მისი გონება; ისიც უნდა ითქვას, რომ მისთვის ამოსავალია საკუთარი თავი და არა საგნის არსი. თავისთავად საგნებს საკუთარი წონა, ზომა და სხვა თვისებები გააჩნიათ, მაგრამ ჩვენს ცნობიერსა და სულიერ აღქმაში ისინი ჩვენებურად წარმოგვიდგენია. ციცერონისათვის* სიკვდილი საშინელებაა, კატონისათვის* სასურველია, სოკრატესათვის* კი არარაა. ჯანმრთელობა, ცნობიერება, ძალაუფლება, მეცნიერება, სიმდიდრე, სილამაზე და მათი საპირისპირო ცნებები ზღურბლზევე იძრობენ თავიანთ სამოსელს, შიშველნი შემოდიან ჩვენ ცნობიერებაში, ჩვენ კი საკუთარი სურვილით ვმოსავთ მათ იმ ფერის შესამოსელით, რომელიც მეტად მოგვწონს — ყავისფერი, მწვანე, ღია, მუქი, მკვეთრი, ნაზი, სქელი ან თხელი სამოსით. ამას თითოეული სული თავისებურად იქმს; ისინი ერთმანეთს არ უთანხმებენ თავიანთი მსჯელობის სტილს, წესებსა და ფორმებს — ყოველი მათგანი ქალბატონია.

საგანთა გარეგნულ თვისებებს თავი დავანებოთ, ჩვენ თავად წარმოგვიდგენია ისინი ასეთებად და არა სხვაგვარად; ჩვენი ბედნიერება თუ უბედურება მხოლოდ ჩვენზეა

დამოკიდებული. ამიტომ ძღვენი და აღთქმები ჩვენსკენ უნდა მოვმართოთ და არა ბედისაკენ, რომელზედაც არაა დამოკიდებული ჩვენი ზნეები. პირიქით, ისინი იმორჩილებენ ბედისწერას და თავისი ბუნების მიხედვით ანიჭებენ ამა თუ იმ ფორმას. ნუთუ ალექსანდრეზე* წარმოდგენას ვერ შემიქმნის მისი ქცევა სუფრასთან, საუბრის, სმის ანდა ჭადრაკის თამაშის დროს?! მისი სულის რომელ სიმს არ შეხებია ეს ფუჭი საბავშვო თამაში? პირადად მე ჭადრაკი არ მიყვარს და ყოველმხრივ გავურბივარ, რადგან იმდენად სერიოზულად გვიპყრობს, რომ ეს უკვე თამაში აღარაა. მისდამი ამდენი ყურადღება დროის დაკარგვად მიმაჩნია, სჯობდა იგი რაიმე უკეთესი საგნისათვის დაგვეთმო. ალექსანდრეს ამდენი ინდოეთის ლაშქრობის გეგმაზე არ უფიქრია, არც რომელიმე დიდ ადამიანს უმტკვრევია ასე თავი — კაცობრიობის ხსნის გზაზე. შეხედეთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი სული ამ სასაცილო გასართობს, როგორაა დაძაბული ჩვენი ნერვები. ამ თამაშის დროს ნებისმიერ ადამიანს ძალუძს შეიცნოს საკუთარი თავი და იმსჯელოს მასზე; (ამ თამაშის დროს) რა სახის ვნებები არ აღიძვრება ხოლმე; რისხვა, წყენა, სიხულვილი, მოუთმენლობა, საოცარი პატივმოყვარული ლტოლვა გამარჯვებისაკენ; პირადად მე ჭადრაკში მარცხით გამოწვეული სიამაყე ბევრად უფრო საპატიოდ მიმაჩნია, რადგან ამგვარ ამაო საქმეში ამ იშვიათ ნიჭს — ადამიანს საშუალო უნარის მქონეზე მაღლა რომ აყენებს, წესიერ კაცს ღირსებად ვერ ჩავუთვლი. ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა ნებისმიერ სხვა

საგანზეც გავრცელდეს. ყოველი წვრილმანი, ყოველი საქმიანობა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგვიჩენს ადამიანის შინაგან ბუნებას.

დემოკრიტე[163] და ჰერაკლიტე* ფილოსოფოსები იყვნენ; პირველს ადამიანის ბედი არარად და სასაცილოდ მიაჩნდა. საზოგადოებაში მუდამ დამცინავი და მომღიმარი იერით დადიოდა; მეორეს მუდამ ნაღვლიანსა და თვალცრემლიანს, იგი სიბრალულსა და თანაგრძნობას უღვივებდა.

*„როგორც კი სახლს გასცდებოდნენ, ერთი იცინოდა, მეორე კი ტიროდა.“**

პირადად მე დემოკრიტეს სულიერი განწყობა უფრო მომწონს, არა იმიტომ რომ სიცილი ტირილზე სასიამოვნოა — უბრალოდ იგი აშკარად გამოხატავს ადამიანებისადმი დამოკიდებულებას და უფრო ძლიერ გვიცხავს. ჩემი აზრით, არ არსებობს ზიზღი, რომელსაც არ ვიმსახურებდეთ. სიბრალულსა და თანაგრძნობაში პიროვნებისადმი ერთგვარი პატივისცემა იგულისხმება. ჩვეულებრივ, საგანს, რომელსაც დასცინიან, მასში არავითარ ღირებულებას არ ხედავენ. არა მგონია, ადამიანში იმდენივე ბოროტი ზრახვა იყოს, რამდენიც ამაოება და უგუნურებაა, ბოროტებას განუსჯელობა სჭარბობს; უმალ უბადრუკები ვართ, ვიდრე საძაგლები. მაგალითად, უქმად მყოფი და გამარტოებული დიოგენე,[164] კასრით რომ დაგორავდა და დიდი ალექსანდრესაგან თავი განზე ეჭირა, ადამიანები ბუზების მსგავს არსებებად, ჰაერით სავსე პატარა ბუშტულებად

*იუვენალისი, სატირები, X, 28.

რომ მიაჩნდა, ჩემი აზრით, უფრო მკაცრი, გესლიანი და სამართლიანი მსაჯული იყო, ვიდრე ტიმონი,[165] მეტსახელად კაცთმოძულე რომ შეარქვეს. საგნისადმი სიძულვილი მოწმობს, რომ ჩვენ არ ვართ მისდამი გულგრილნი. ტიმონს მთელი არსებით ჩვენთვის ბოროტება და ჩვენი დაღუპვა სურდა, გაურბოდა ადამიანებს, როგორც საშიშ, მანკიერ, გარყვნილ არსებებს. დიოგენეს კი ადამიანები არარაობად მიაჩნდა, მათთან ურთიერთობა არც აღელვებდა და არც განწყობილებას უცვლიდა; იგი საზოგადოებას მისდამი ზიზღის და არა სიფრთხილის გამო გაურბოდა. თვლიდა, რომ ადამიანებს არც სიკეთის უნარი გააჩნიათ და არც ბოროტებისა.

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა სტატულიუსის პასუხი ბრუტუსისადმი,[166] რომელსაც სურდა იგი ცეზარის წინააღმდეგ შეთქმულებაზე დაეყოლიებინა. ჩანაფიქრი სტატულიუსმა სამართლიანად მიიჩნია, მაგრამ ადამიანები არ ჩათვალა იმის ღირსად, რომ მათთვის თუნდაც მცირეოდენი რამ გაეკეთებინა. ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობდა ჰეგესიას[167] მოძღვრებით, რომლის თანახმადაც, ბრძენი მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ზრუნავდეს, რადგან იგი ღირსია ამისა. თეოდორესაც[168] უსამართლობად მიაჩნია, რომ ბრძენმა საკუთარ თავსა და სიბრძნეს სამშობლოს კეთილდღეობისა და უგუნური ადამიანების გამო საფრთხე შეუქმნას.

ჩვენი თანდაყოლილი და შეძენილი თვისებები თანაბრად უცნაური და სასაცილოა.

რომაელთა ჯარების მხედართმთავარმა აფრიკაში ატილიუს რეგილიუსმა[169] არაერთხელ დაამარცხა კართაგენელები და საბრძოლო წარმატებებით დიდების მწვერვალზე მყოფმა რესპუბლიკას წერილობით აცნობა: მისი შვიდი არპანი მამულის განმგებელი მსახური გაიქცა და თან წაიღო სამიწათმოქმედო იარაღები; ამ ფაქტის გამო რეგილიუსი დაბრუნების ნებართვას ითხოვდა, რათა წესრიგში მოეყვანა მეურნეობა, რომ მისი ცოლ-შვილი არ დაზარალებულიყო. სენატმა დაადგინა — რეგილიუსის მამულში გაეგზავნათ ახალი განმგებელი, აენაზღაურებინათ მისთვის ზარალი და მისი ცოლ-შვილისათვის სახელმწიფო ხაზინიდან დაენიშნათ ჯამაგირი.

როდესაც კატონ უფროსი[170] კონსულის თანამდებობის დასაკავებლად ესპანეთიდან იტალიაში ბრუნდებოდა, მან თავისი ცხენი გაყიდა, რათა ზღვით მისი გადასაყვანი ფული დაეზოგა. სარდინიის[171] განმგებლად მყოფი კატონი ყველა საქმეზე ფეხით დადიოდა, სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი ერთი მსახურის თანხლებით, რომელიც მის მოსასხამსა და მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესასრულებელ ჭურჭელს ატარებდა, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, კატონი მეტწილად თავის ბარგს თვითონვე ატარებდა, იკვეხნიდა კიდეც, რომ მისი სამოსის ღირებულება ათ ეკიუს არ აღემატებოდა, რომ დღეში ბაზარში ათ სუზე მეტს არასოდეს ხარჯავდა, რომ სოფლად მისი სახლები გარედან არ იყო ბათქაშით შელესილი და შეთეთრებული.

სციპიონ ემილიუსი[172] ორი ტრიუმფატორისა და ორჯერ კონსულად არჩევის შემდეგ, შვიდი მსახურის თანხლებით, ლეგატად წავიდა პროვინციაში. გადმოცემის თანახმად, ჰომეროსს* ერთი მსახური ჰყავდა, პლატონს* სამი, სტოიკური სკოლის ფუძემდებელ ზენონს* კი იგი საერთოდ არ ჰყავდა.

როდესაც რომის პირველი მოქალაქე ტიბერიუს გრაკქუსი[173] სახელმწიფო საქმეებზე მიემგზავრებოდა, დღეში სარჩოდ მხოლოდ ხუთნახევარ სუს უნიშნავდნენ.

ცეზარის ერთი გამონათქვამი

საკუთარი თავის თვალყურის დევნება ხანდახან მაინც რომ გვგვრიდეს სიამოვნებას და მის შეცნობას იმ დროს რომ ვანდომებდეთ, სხვების დაკვირვებასა და ჩვენთვის ამაო საგნების შესწავლაზე რომ ვკარგავთ, მივხვდებოდით, რაოდენ არასაიმედოა და უძლურია ჩვენი „მე". ნუთუ ის, რომ უნარი არ შეგვწევს, ჭეშმარიტად დავტკბეთ რაიმე საგნით, ანდა ვისურვოთ და წარმოვიდგინოთ ის, რაც ყველაზე მეტად გვესაჭიროება, არ მოწმობს ჩვენ არასრულყოფილებას?! თქმულს ცხადყოფს ფილოსოფოსთა უძველესი და უდიდესი დავა იმაზე, თუ რა არის უმაღლესი სიკეთე ადამიანისათვის. იგი დღესაც გრძელდება და მუდამ გაგრძელდება, რადგან ვერც კითხვას პასუხობენ და ვერც რაიმეზე თანხმდებიან —

„ვიდრე სასურველ საგანს დავეუფლებოდეთ, იგი უმაღლეს სიკეთედ მიგვაჩნია და მთელი არსებით

*მისკენ მივილტვით; მაგრამ როგორც კი მას ხელთ ვიგდებთ, ისეთივე ძლიერი სურვილი გვიჩნდება სხვა ახალი საგნისადმი.“**

რა საგანიც არ უნდა შევიცნოთ, რა საგანიც არ უნდა გვანიჭებდეს სიამოვნებას, კმაყოფილებას მაინც არ განვიცდით და მთელი არსებით ვილტვით მომავლისაკენ, შეუცნობადისაკენ; აწმყო არ გვაკმაყოფილებს არა იმიტომ, რომ მას ეს არ ძალუძს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი დამაკმაყოფილებელი საშუალებებია არაჯანსაღი და მანკიერი.

*„თუმცა მოკვდავებს გააჩნიათ თითქმის ყველაფერი, რაც აუცილებელია, ზოგიერთებს არც სიმდიდრე, პატივი, სახელი და კეთილი შთამომავლობა აკლიათ, მაინც მათ სულსა და გულს მტრობა და უკმაყოფილება ტანჯავს, — ეპიკურე მიჩვდა, რომ ბოროტების მიზეზი თავად ჭურჭლის ზადი იყო, რომელიც უძვირფასეს საგანსაც აფუჭებდა.“***

ჩვენი სურვილი არამყარი და არასანდოა. მას არც რაიმეს შენარჩუნება ძალუძს და არც იმის უნარი აქვს, რაიმე ისეთი შემოგვთავაზოს, რაც ჭეშმარიტ კმაყოფილებას მოგვგვრის. ადამიანს მიაჩნია, რომ ზადი საგნებშია, ამიტომ დაუსრულებლად ეძებს ახალსა და უცნობს. მისი სურვილი და იმედი მიმართულია ამ ახალი შეუცნობელი საგნებისაკენ,

---

*ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, III, 1982

** ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, VI, 9.

იგი მათ პატივს სცემს და ეთაყვანება. ამის თაობაზე ცეზარი წერს: *„ესაა ჩვენი ბუნების ნაკლი, უხილავი, ფარული და შეუცნობელი საგნისა უფრო მეტად გვწამს და გვეშინია.“**

ამაო ხრიკები

ხშირად ადამიანები არასერიოზული, ამაო ხრიკებით ლამობენ სახელის მოხვეჭას. მაგალითად, პოეტები, რომელთა ვრცელი თხზულებების ყოველი სტროფი რომელიმე ერთი ასოთი იწყება; ძველი ბერძნები სალექსო ზომით იმგვარად ავრცობდნენ ან ავიწროებდნენ პწკარების სიგრძეს, რომ თხზულებას რომელიმე საგნის — კვერცხის, ბურთის, ფრთის, ცულის... — ფორმას აძლევდნენ. ასეთივე ვაი-სიბრძნით ხელმძღვანელობდა ის ადამიანიც, რომელიც შეეცადა გამოეთვალა, რამდენნაირად შეიძლებოდა ანბანის ასოთა დაწყობა და ბოლოს, პლუტარქეს* თანახმად, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამგვარ კომბინაციებს თვლა არ ჰქონდათ. თქმულთან დაკავშირებით ძალზე მართებულად მიმაჩნია იმ ადამიანის გადაწყვეტილება, რომლებმაც უცნაური, მაგრამ ჩემი აზრით, სამართლიანი განკარგულება გასცა,[175] კერძოდ — ორი-სამი საწყაო ხორბლით დაესაჩუქრებინათ კაცი, რომელიც მარჯვედ ნატყორცნი ფეტვის მარცვლებს ზუსტად აძვრენდა ნემსის ყუნწში. ჯილდო ეძლეოდა იმიტომ, რომ ფეტვის მტყორცნელი

*ცეზარი, სამოქალაქო ომი, II, 4.

უფრო გაწაფულიყო თავის ხელოვნებაში. ჩვენი გონების საოცარ უძლურებაზე ისიც მეტყველებს, რომ ნებისმიერ საგანს იგი იშვიათობის, სიახლის და ძნელად წვდომის ნიშნით აფასებს, თუნდაც თავისთავად მასში არაფერი იყოს კარგი და სასარგებლო.

ამას წინათ ჩემთან მყოფნი ერთმანეთს გავეჯიბრეთ, თუ ვინ უფრო მეტ საპირისპირო მნიშვნელობების მქონე სიტყვას დაასახელებდა. მაგალითად „sire". ამ სიტყვით ჩვენ სახელწიფოში მიმართავენ ყველაზე მაღალი მდგომარეობის პირს ანუ ხელმწიფეს და უბრალო ადამიანებიდან, მაგალითად, ვაჭრებს, მაგრამ არა მათ შორის შუალედური მდგომარეობის მქონე პირებს. მაღალი წრის და ყველაზე დაბალი მდგომარეობის ქალსაც dame-ს უწოდებენ, საშუალო ფენისას — demoiselle-ს.

მაგიდის თავზე ბალდახინები მიღებულია სამეფო საგვარეულოს ოჯახებშიც და სამიკიტნოებშიც.

დემოკრიტე* თვლიდა, რომ ღმერთები და ცხოველები ადამიანებზე ბევრად უფრო მგრძნობიარენი არიან. სამგლოვიარო და საზეიმო დღეებში რომაელებს ერთნაირი სამოსი ეცვათ. ცნობილია, რომ ძლიერი შიში და სიმამაცე ერთნაირად მოქმედებს კუჭზე და მის აშლილობას იწვევს. ნავარიის[174] მეთორმეტე ხელმწიფის სანჩოს მეტსახელი — „მთრთოლვარე" მოწმობს, რომ სიმამაცის გამოჩენის დროს ჩვენი სხეული ისევე თრთის, როგორც შიშისას. ერთხელ საჭურვლის მორგებისას მსახურებმა თავიანთი ბატონის თრთოლვა შენიშნეს და გასამხნევებლად შეეცადნენ, მისთვის მოსალოდნელი საფრთხე მსუბუქად

წარმოედგინათ. „თქვენ მე ცუდად მიცნობთ, — უთხრა მან — ჩემ სხეულს იმის წარმოდგენა რომ შეეძლოს, თუ რა ძლიერ აღანთებს ახლა მას ჩემი სიმამაცე, შიშით შეპყრობილი მყისვე მიწაზე დაეცემოდა.“

სასიყვარულო აქტების დროს უძლურების მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც ამ პროცესისადმი გულგრილობა და ზიზღი, ისე ძლიერი და დაუოკებელი ლტოლვა. საგნის მოხარშვა და დაწვა ძლიერ სიცხესაც ძალუძს და ძლიერ სიცივესაც. არისტოტელეს* თანახმად, ტყვიის ზოდებს ზამთრის ყინვა და სიცივე ისევე არბილებს და ადნობს, როგორც ძლიერი სიცხე. სურვილი და მოყირჭებულობა ერთნაირად გვტანჯავს, პირველი — ტკბობამდე, მეორე წრეგადასული ტკბობის შემდეგ. ადამიანის უბედურებებთან გონიერებისა და უგუნურების დამოკიდებულება და განცდა თანხვდენილი გახლავთ: გონიერები არად აგდებენ და მათ წინაშე ქედს არ იხრიან; უგუნურები, ვერც აცნობიერებენ; შეიძლება ითქვას, რომ მეორენი ზრდადაუმთავრებელნი, ვერ მაღლდებიან ზრდასრულთა ანუ პირველთა დონემდე. გონიერებს ადამიანის უბედურებათა დინჯად განსჯისა და მათი ჭეშმარიტი არსის გაცნობიერების შემდეგ მათდამი ზიზღი ეუფლებათ და არად აგდებენ მათ; მათი სულიერი ძალისა და სიმტკიცის ბეგთარი ბოროტი ხვედრის ისრებს ისხლეტს და აბლაგვებს. ჩვეულებრივი, საშუალო დონის ადამიანები ამ ორ უკიდურესობას შორის მერყეობენ — ისინი თავიანთ უბედურებებს აცნობიერებენ, მაგრამ ვერ უძლებენ. გონებრივი სისუსტით ბავშვობა და სიბერე ერთმანეთსა ჰგავს, სიხარბე და მფლანგველობა კი ქონების

შეძენისა და ზრდისადმი ლტოლვით.

სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უმეცრება ორგვარია: უწიგნური ანუ ის, რომელიც მეცნიერებას უსწრებს, და ბღენძია, რომელიც მას მისდევს. ამ უკანასკნელის დასაბამი და წყაროც მეცნიერებაა, თუმცა პირველსაც იგი ანგრევს და სპობს.

უბრალო არსებანი, ცოდნისმოყვარენი და გონიერნი, მოწიწებისა და მორჩილების წყალობით კარგი ქრისტიანები ხდებიან. მათ მიამიტად სწამთ და ჰმორჩილებენ კანონებს. საშუალო ძალისხმევისა და უნარის მქონეთ ყალბი აზრები გაუბატონდებიან ხოლმე; ისინი ზედაპირული საღი აზრით ხელმძღვანელობენ და ერთგვარი საფუძველიც აქვთ უბრალოებითა და უგუნურებით ახსნან ის, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ აზროვნების ძველებურ წესს, — მათ მხედველობაში ჰყავთ ის ადამიანები, რომლებიც არ არიან განსწავლულნი ამ სფეროში. ბევრად უფრო მყარი დიდი გონები, ღრმად რომ სწვდებიან საგანთა არსს, სრულიად სხვა სახის, ჭეშმარიტი მორწმუნენი არიან; ისინი ხანგრძლივად და მოწიწებით სწავლობენ საღვთო წერილს; მისი სხივით გაცისკროვნებულნი, უფრო ღრმა ჭეშმარიტებით გამსჭვალულნი, ჩვენი სარწმუნოების წმინდა და ღვთიურ საიდუმლოს იცნობიერებენ. თქმულის მიუხედავად, ჩვენ მოწმე ვართ, რომ ზოგი ამ უმაღლეს საფეხურს შუალედურის მეშვეობით აღწევს. ქრისტიანული მოძღვრების გაგების უმაღლეს საფეხურზე აღმართვა უდიდეს სიხარულსა და რწმენას ჰმატებს მათ; ზნეობრივად სრულქმნილნი, კმაყოფილებით, მადლიერებითა და უდიდესი

მოწიწებით მადლცხებულნი თავიანთი გამარჯვებით ნეტარებენ. მათ რიცხვს ვერ მივაკუთვნებდი იმ ადამიანებს, რომლებიც — უწინდელი შეცდომებისაგან განწმენდისა და სიმტკიცის დასტურად — უკიდურესობაში ვარდებიან, მოუთმენლობასა და უმასართლობას იჩენენ ჩვენი საქმის დაცვისას და ჩირქს სცხებენ მას, მეტისმეტად მკაცრად განიკითხავენ და ამის გამო დაუსრულებელ საყვედურებს იმსახურებენ.

უბრალო გლეხები პატიოსანი ადამიანები არიან; ასეთივე არიან დიდი სულიერი სიღრმისა და სასარგებლო მეცნიერებათა მცოდნე ფილოსოფოსებიც. მაგრამ ნაჯვარები — მეცნიერებათა საწყისების თავიანთ უცოდინარობას რომ უარყოფენ და უმაღლეს მდგომარეობასაც რომ ვერ აღწევენ (ანუ ორ სკამს შორის მსხდომნი ჩემ და მრავალ სხვათა მსგავსად) — სახიფათონი, უგუნურნი და მავნენი არიან. ამ ქვეყნად სწორედ ისინი იწვევენ შფოთსა და ამბოხს. პირადად მე შეძლებისდაგვარად ვცდილობ, პირველყოფილ საწყის მდგომარეობას დავუბრუნდე, რომლის დატოვებასაც ამაოდ ვცდილობდი.

ხალხური, ჭეშმარიტად ბუნებრივი პოეზია უშუალობით, სინორჩითა და სინატიფით გამოირჩევა; ამ თვისებათა გამო აყენებენ მას მშვენიერი პოეზიის გვერდით, დიდი ხელოვნების წყალობით რომ მიაღწიეს სრულყოფილებას. თქმულის დასტურად გასკონურ[176] ვილანელებს[177] და იმ ხალხთა პოეტურ ქმნილებებს დავასახელებდი, რომელთაც არც მეცნიერებაზე აქვთ წარმოდგენა და არც დამწერლობა გააჩნიათ. ხალხურსა და კლასიკურ ჭეშმარიტ პოეზიას

შორის არსებული საშუალო დონის პოეზია უკუსაგდებია, არა თუ აღფრთოვანების, პატივისცემის ღირსიც არაა.

ამგვარი გონებრივი კვლევა-ძიების წყალობით დავინახე, — როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, — თურმე რა ძნელად და განსაკუთრებულად მიგვაჩნდა ის შრომა, რომელიც რეალურად არა ყოფილა ასეთი; ჩვენი გამახვილებული საზრიანობა მსგავს მაგალითთა დაუსრულებელ რაოდენობას აღმოაჩენს ხოლმე, რომელთაგან მხოლოდ ერთს დავასახელებდი; საერთოდ თუ ღირს საუბარი ამ „ესებზე", ჩემი აზრით, შესაძლოა მათ თავი ვერ მოაწონონ ვერც ხეპრე და უგვან გონებას და ვერც რჩეულ და განსაკუთრებული აზროვნების მქონეთ, რადგანაც პირველნი მათ ვერ გაიგებენ, ხოლო მეორენი ძალზე კარგად გაიგებენ; ასე რომ, ისინი საშუალო გონებრივი დონის მქონეთ მიანიჭებენ კმაყოფილებას.

შენიშვნები

1. პლატონი (ძვ. წ. 428-348/347) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე. იგი ავტორია ოცდაათზე მეტი ფილოსოფიური დიალოგისა.
2. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ციცერონი მარკუს ტულიუს (ძვ. წ. 106-43), რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ორატორი. რომის კონსტიტუციას ციცერონი დემოკრატიის, არისტოკრატიისა და მონარქიის კარგ შეხამებად მიიჩნევდა.
3. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს სპარსეთის მეფე დარიოს I (ძვ. წ. 521-486). მან დაიპყრო თრაკია და მაკედონია; ძვ. წ. 490 ბერძნებმა დაამარცხეს მარათონთან.
4. პითაგორელები — ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პითაგორას (ძვ. წ. 580-500) მიმდევრები. პითაგორელთა სკოლამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათემატიკისა და ასტრონომიის განვითარებაში.
5. ფრანსუა I— საფრანგეთის მეფე 1515-1547 წლებში.
6. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს გერმანიის იმპერატორი კარლოს V (1519-1556).
7. 1499 წ. ფრანგებმა დაიპყრეს მილანის საჰერცოგო; იქ დამკვიდრებულ ფრანგ დიდგვაროვნებს მილანელ აზნაურებად იხსენიებდნენ. მერვეიც ერთ-ერთი მათგანი გახლდათ.
8. იულიუს II — რომის პაპი 1503-1513 წლებში.
9. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ინგლისის მეფე ჰენრიხ VIII (1509-1547).
10. სოკრატე (ძვ. წ. 469-393) — დიდი ბერძენი ფილოსოფოსი. სოკრატე თავის აზრებს ზეპირად გამოთქვამდა; ძირითადად დაინტერესებული იყო ეთიკის პრობლემებით.

11. ლაქეტი — ათენის სარდალი პელოპონესის ომის (ძვ. წ. 431-404) დროს.
12. ჰომეროსი (ძვ. წ. IX სკ.) — ბერძენი პოეტი; პოემების „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი.
13. ენევსი — კალიდონიის (ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ქალაქი) მეფე.
14. პლატეა — ქალაქი ბეოტიისა და ატიკის საზღვარზე. ძვ. წ. 479 წ. აქ ბერძნებმა გაიმარჯვეს სპარსელებთან ბრძოლაში.
15. ინდატირსი — (ძვ. წ. VI-V სკ.) სკვითების ნახევრადლეგენდარული მეფე.
16. პროვანსი — საფრანგეთის ერთ-ერთი მხარე.
17. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ეკატერინე მედიჩი (1519-1589); ლორენცო II – (1492-1519).
18. ვიკარიატი — რომის პაპთა მამულები.
19. პერიპათეტიკოსები — არისტოტელეს ფილოსოფიის მიმდევრები. პერიპათეტიკოსთა სკოლა დაარსდა ათენში ძვ. წ. 335 წ; არსებობდა დაახლოებით ათას წელს და წარმოადგენდა ანტიკური მეცნიერების უდიდეს ცენტრს.
20. 1544 წ. ბულონი (ქალაქი ლა-მანშის შესართავთან) ვერვენემ დაანება ინგლისის მეფე ჰენრიხ VIII-ს.
21. ქარონდასი (ძვ. წ. VIII სკ.) — ბერძენი კანონმდებელი.
22. ამიანე მარცელინუსი (330-400) რომაელი ისტორიკოსი.
23. იულიანე ფლავიუს კლავდიუს — რომის იმპერატორი 361-363 წლებში; ნიჭიერი სტრატეგი, მამაცი სარდალი. ქრისტიანული რელიგიისადმი მტრულად განწყობილს, მას „განდგომილი“ შეარქვეს.
24. კანე — სოფელი აპულიაში (მხარე იტალიაში). ძვ. წ. 216 წ. აქ კართაგენის მხედართმთავარმა ჰანიბალმა დაამარცხა რომაელები.

25. ფულვიუსი მარკუს ფლაკუს — რომაელი კონსული, გრაკქუსების მომხრე.
26. კრეზი (ძვ. წ. 560-546) — ლიდიის (მხარე მცირე აზიაში) მეფე. დაამარცხა სპარსეთის მეფე კიროსმა.
27. კიროს II დიდი (ძვ. წ. 558-528) — სპარსეთის მეფე, კამბისეს ვაჟი, მთელი დასავლეთი აზიის მფლობელი.
28. სოლონი (ძვ. წ. 638-558) ძველი საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწე, ერთი „შვიდ ბრძენთაგანი". სოლონმა ჩაატარა რეფორმა, შექმნა დემოკრატიული ხასიათის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ათენის მთელი მოსახლეობა — ქონებრივი ცენზის მიხედვით - ოთხ კლასად დაიყო.
29. აგესილაე (ძვ. წ. 398-369) — სპარტის მეფე, დაამარცხა სპარსელები.
30. პრიამე — ტროას ბოლო მეფე.
31. ალექსანდრე დიდი (ძვ. წ. 356-323) — მაკედონიის მეფე, ნიჭიერი მხედართმთავარი, არისტოტელეს მოწაფე.
32. პომპეუსი გნეუს მაგნუს (ძვ. წ. 106-48) — რომის პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი, რესპუბლიკის მომხრე. ცეზარსა და კრასუსთან ერთად პირველი ტრიუმვირატის წევრი.
33. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს მარიამ სტიუარტი (1542-1587) შოტლანდიის დედოფალი, საფრანგეთის მეფის ფრანსუა II-ს ქვრივი.
34. ლაბერიუსი დეციმუს — რომაელი პოეტი მიმოგრაფი. ცეზარის ბრძანებით იძულებული შეიქნა სცენაზე გამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო ერთ-ერთ თავის მიმში. დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა ლაბერიუსმა ამ ფაქტის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა ამავე მიმის პროლოგში.

35. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს სენეკა ლუციუს ანეუს (ძვ. წ. 14- ახ. წ. 65) — რომაელი ფილოსოფოსი და მწერალი, რომაული სტოიციზმის წარმომადგენელი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი.
36. სციპიონი პუბლიუს კორნელიუს (ძვ. წ. 236-183) — რომის პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი. მონაწილეობდა მეორე პუნიკურ ომში, დაამარცხა ჰანიბალი.
37. ეპამინონდა (ძვ. წ. 418-362) — თებეს სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი.
38. ქაბრია — ათენის სახელგანთქმული მხედართმთავარი, ებრძოდა აგესილაესა და ეპამინონდას; დაიღუპა ძვ. წ. 357 წ.
39. იფიკრატე (ძვ. წ. 415-354) — ათენელი მხედართმთავარი.
40. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს კვინტილიანე მარკუს ფაბიუს I სკ-ის რომაელი რიტორი, იურისტი, რიტორიკული სკოლის ხელმძღვანელი რომში.
41. ალბერტი (1207-1280) — დომინიკელი ბერი, თეოლოგი და ფილოსოფოსი, თომა აქვინელის მასწავლებელი.
42. ახალი ინდოეთი ანუ ამერიკა.
43. ქიოსი კუნძული და ქალაქი იონიის (მცირე აზიის დასავლეთით) სანაპიროზე.
44. პინდარე (ძვ. წ. 518-438) — ბერძენი პოეტი ლირიკოსი.
45. თიესტე — პელოპის ვაჟი, მიკენის მეფე. თიესტემ შეაცდინა ძმის, ატრევსის ცოლი აეროპე. ატრევსმა მკაცრად დასაჯა ძმა, მისივე ვაჟების ხორცით მომზადებული კერძით გაუმასპინძლდა, აეროპე კი ზღვაში გადააგდო.
46. ოიდიპოსი — თებეს მეფე. დელფოსის სამისნომ მას უწინასწარმეტყველა, რომ მამას მოკლავდა და დედას ცოლად შეირთავდა. წინასწარმეტყველება ახდა, გამწარებულმა მეფემ თვალები წამოითხარა და გასცილდა თებეს. ოიდიპოსის

მითი დაამუშავეს სოფოკლემ, სენეკამ, ვოლტერმა, შილერმა და სხვებმა.

47. მაკარევსი — მაგნესიის მეფის, ეოლეს ვაჟი. იგი საკუთარ დისადმი, კანაკესადმი, უძლიერესი ტრფობით განიმსჭვალა. როდესაც ეს მამამ გაიგო მაკარევსმა თავი მოიკლა.

48. ქრისიპე (ძვ. წ. 280-208) — ბერძენი ფილოსოფოსი, ზენონის მოწაფე, სტოიკოსთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი.

49. ისოკრატე (ძვ. წ. 436-338) — ბერძენი ორატორი, პუბლიცისტი, მრავალი სიტყვისა და პამფლეტის ავტორი.

50. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ბერძენი კანონმდებელი ქარონდასი (ძვ.წ. VIII სკ.)

51. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს სპარტის კანონმდებელი ლიკურგე. (ძვ.წ. IX - VIII სკ.) — ათენელი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე, დემოსთენეს მოკავშირე, სპარტის ლეგენდარული კანონმდებელი.

52. ფრინსისი — ბერძენი პოეტი. ძვ.წ. დაახ.480 წ. მან ორი სიმი დაუმატა კითარას, შვიდ სიმიან მუსიკალურ ინსტრუ-მენტს.

53. მონტენს ნაგულისხმევი აქვს რელიგიური უთანხმოების საფუძველზე 1562-1594 წლების სამოქალაქო ომები საფრანგეთში.

54. თუკიდიდე (ძვ. წ. 465-395) — ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „პელოპონესის ომის ისტორია".

55. კოტა გაიუს ავრელიუს (ძვ. წ. 75 წ.) რომაელი კონსული, კეისრის ლეგატი (თანაშემწე).

56. კორუნკანიუსი — (გარდაიცვალა დაახ. ძვ. წ. 236 წ.) — რომაელი კონსული.

57. სცევოლა მუციუს კვინტუს (გარდ. ძვ. წ. 209 წ.) — რომაელი პრეტორი, ერთ-ერთი შვიდ ცნობილ რომაელ იურისტთაგანი.
58. ზენონი (ძვ. წ. 335-264) — ბერძენი ფილოსოფოსი, სტოიციზმის ფუძემდებელი.
59. კლეანთე — ბერძენი ფილოსოფოსი, სტოელი.
*იხ. შენიშვნა 48
60. ოქტავიუსი გნეუს (ძვ. წ. I სკ.) — რომაელი ფლოტის სარდალი.
61. კატონ უტიკელი (უმცროსი) — (ძვ. წ. 95-46) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ცეზარის მოწინააღმდეგე.
62. იულიუს კეისარი — გაიუს იულიუს ცეზარი (ძვ. წ. 101-44) რომის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, სახელგანთქმული მხედართმთავარი; იულიუს კეისარი რომის ერთპიროვნული მმართველი, დიქტატორი, უმაღლესი ქურუმი და იმპერატორი გახდა. მის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, რასაც შუაგულ სენატში ემსხვერპლა.
63. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს სპარტის მეფე აგესილაე (მეფობდა ძვ. წ. 398-360) ძვ. წ. 371 წ. ლევქტრასთან (ქალაქი საბერძნეთში) დამარცხების შემდეგ, — ბრძოლის ველიდან გაქცეულთა დაბრუნებისა და პატიების მიზნით — მან ბრძანა 24 საათით შეეჩერებინათ კანონთა ქმედება.
64. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ალექსანდრე დიდი; ძვ. წ. 332 წელს, შვიდი თვის განმავლობაში, მას ალყაში ჰყავდა მოქცეული ქალაქი ტვიროსი. ერთ დღეს, მისანმა პრისტანდრემ იწინასწარმეტყველა: ტვიროსს აუცილებლად ამ თვეში ავიღებთო. ამაზე იქ დამსწრეთა სიცილ-ხარხარი ატყდა (ეს სწორედ თვის უკანასკნელი დღე იყო). მეფემ, რომელსაც სურდა წინასწარმეტყველების კეთილად ახდომა, ბრძანა ეს

დღე ჩაეთვალათ თვის ოცდამერვედ და არა ოცდამეათედ. იმავე დღეს ალექსანდრემ ქალაქი აიღო.

65. ლისანდრე (გარდ. ძვ. წ. 395) — სპარტის მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე; ძვ. წ. 405 წელს დაამარცხა ათენელები, აიღო ქალაქი ათენი.

66. პერიკლე (ძვ. წ. 495-429) — ათენის სახელმწიფო მოღვაწე, დემოკრატიული პარტიის ლიდერი. ძვ. წ. 443-429 ათენს განაგებდა დემოკრატიული სულისკვეთებით.

67. პლუტარქე (დაახ. 46-125) — ბერძნული მწერლობის ელინისტური პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი. ავტორი თხზულებისა „პარალელური ბიოგრაფიები". აღნიშნულ თხზულებას დიდი გატაცებით კითხულობდნენ რენესანსის ეპოქაში; მონტენი აღფრთოვანებული იყო ამ ნაწარმოებით.

68. ფილოპემენი (ძვ. წ. 253-184) — ბერძენი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

69. დიუ ბელე იოაქიმ (1525-1560) — რენესანსის ეპოქის ფრანგი პოეტი, „პლეადის" ერთ-ერთი წევრი.

70. არპანი — მიწის ფართობის საზომი ერთეული, დაახ. ჰექტარის 1\ 3-დან 1\ 2-მდე.

71. ჰერკულესი — ლათინური მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი, იუპიტერისა და ალკმენეს ვაჟი; იგივეა რაც ბერძენთა ჰერაკლე.

72. არქიმედე (ძვ. წ. 287-212) — ბერძენი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. იგი II პუნიკური ომის დროს (ძვ. წ. 218-201) სამი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა რომაელებს, რომლებსაც ალყაში ჰყავდათ მოქცეული მისი ქალაქი სირაკუსე. გადმოცემის თანახმად, არქიმედე დამანის

მეშვეობით ხანძარს უჩენდა რომაელთა ხომალდებს. იგი მოკლეს სირაკუსეს აღების დროს.

73. კრატეტი — ათენელი ფილოსოფოსი.

74. ჰერაკლიტე (ძვ. წ. 544-483) — ბერძენი ფილოსოფოსი, ძველი დროის უდიდესი დიალექტიკოსი, განთქმული ღრმა აზროვნებით. ენის სირთულის გამო ჰერაკლიტეს მეტსახელად „ბნელი“ შეარქვეს.

75. ეფესო — ქალაქი მცირე აზიაში.

76. აგრიგენტუმი — ქალაქი სიცილიაში.

77. ემპედოკლე (ძვ. წ. 490-430) — ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი.

78. თალესი (ძვ. წ. 624-547) — ბერძენი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი „შვიდ ბრძენთაგანი“.

79. არისტოტელე (ძვ. წ. 384-322) — დიდი ბერძენი ფილოსოფოსი. განათლება მიიღო ათენში, პლატონის სკოლაში. დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს.

80. ანაქსაგორა (ძვ. წ. 500-428) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი, მონათმფლობელური დემოკრატიის იდეოლოგი. უღმერთობაში ბრალდების გამო, სიკვდილმისჯილმა ათენიდან გაქცევით უშველა თავს.

*იხ. შენიშვნა 12

81. ლუკულუსი ლუციუს ლიციინიუს (ძვ. წ. 106-57) — რომაელი მხედართმთავარი, პონტოს მეფე მითრიდატე VI წინააღმდეგ ბრძოლებში რომაელთა მხედართმთავარი.

82. სენეკა ლუციუს ანეუს (4-65) — ანტიკური რომის ლიტერატურისა და ფილოსოფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი.

*იხ. შენიშვნა 2

83. ეს პიროვნება გახლდათ არა ბერძენი გრამატიკოსი დიონისე თრაკიელი, არამედ ფილოსოფოსი დიოგენე ცინიკოსი (ძვ. წ. 413-327) — ორიგ. შენიშვნა.

84. პროტაგორა (ძვ. წ. 480-410) — ბერძენი ფილოსოფოსი, პირველი დიდი სოფისტი; მასაც ანაქსაგორას ბედი ეწია — ულმერთობაში ბრალდების გამო გაძევებული იქნა ათენიდან. პროტაგორა სიცილიაში გაიქცა, მაგრამ გზაში დაიხრჩო.

85. გალენოსი (131-200) — ცნობილი რომაელი ექიმი, წარმოშობით ბერძენი.

86. ტურნები ადრიან (1512-1565) — ფრანგი ფილოლოგი, ანტიკური დროის ავტორთა თხზულებების მთარგმნელი და კომენტატორი.

87. სტობეოსი — ბერძენი მწერალი. თარგმანი მოცემულია იქვე; (ანთოლოგია, III, 25.)

88. მონტენი გულისხმობს ფრანსუა I, ბრეტანის (ისტ. ოლქი საფრანგეთში) ჰერცოგს 1442 –1450 წლებში.

89. არისტომენე — ძველი ატიკური კომედიის წარმომადგენელი.

90. არისტიპე (ძვ. წ. 435-355) — ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე კირენის (ქალაქი ხმელთაშუა ზღვის აფრიკის სანაპიროზე) ჰედონისტური სკოლის ფუძემდებელი. არისტიპეს მიხედვით ადამიანი უნდა ელტვოდეს გონიერ ტკბობას, რომელიც მისთვის უმაღლესი სიკეთეა; სიკეთისა და ბოროტების, ჭეშმარიტებისა და სიყალბის საზომს სიამოვნება და ტანჯვა წარმოადგენს.

*იხ. შენიშვნა 58

91. ქსენოფონტი (ძვ. წ. 430-355) — ათენელი ისტორიკოსი, სოკრატეს მოწაფე. ქსენოფონტი მონტენის ინტერესს იწვევს

როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მთელ რიგ მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს ანტიკური ხანის ისტორიის ცალკეულ მოვლენებზე.

*იხ. შენიშვნა 51

92.ასტიაგე — მიდიის უკანასკნელი მეფე; ძვ. წ. 549 იგი ტახტიდან ჩამოაგდო სპარსეთის მეფე კიროს II დიდმა.

*იხ. შენიშვნა 29

93.ანტიპატრე (ძვ. წ. 397-319) — ფილიპე მაკედონელის მხედართმთავარი.

*იხ. შენიშვნა 10

94.ჰიპია (ძვ. წ. VI ს.) — ბერძენი ფილოსოფოსი, სოფისტი, სოკრატეს თანამედროვე.

95.მონტენს ნაგულისხმევი აქვს საფრანგეთის მეფე შარლ VIII 1495 წლის ლაშქრობა ნეაპოლში; მან ძალზე იოლად აიღო ნეაპოლის სამეფო და ტოსკანიის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია.

96.ჰერცოგი ვალანტინუა — ჩეზარ ბორჯია (1476-1507), პაპ ალექსანდრე VI ვაჟი, ცნობილი ამაზრზენი ბოროტმოქმედებებით, რომელიც არაფერს არ იშურებდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ საზარელ გმირს გვიხატავს მაკიაველი თხზულებაში „ხელმწიფე“.

97.კონსტანტინე დიდი (306-337) — რომის იმპერატორი, ახალი სატახტო ქალაქის — კონსტანტინოპოლის დამაარსებელი; კონსტანტინე XII (1448-1453) — ბიზანტიის იმპერატორი, დაილუპა კონსტანტინოპოლის აღების დროს, თურქებთან ბრძოლაში.

98.კლოვისი (465-511) — ფრანკების მეფე; მან შექმნა ფრანკთა მონარქია. კლოვისი იყო პირველი ბარბაროსი მეფე, რომელმაც 496 წ. მიიღო კათოლიკობა.

99.ბუშე ჟან (1476-1550) — ფრანგი ისტორიკოსი და პოეტი, ავტორი წიგნისა „აქვიტანიის ანალები“.

100.ანუ ფერეს (ქალაქი თესალიაში, საბერძნეთი) მკვიდრი.

101.პროტოგონე (ძვ.წ. IV სკ.) — ბერძენი მხატვარი.

102.ეს მოხდა 1326 წელს. იზაბელა (1292-1358) საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზის ასული, ინგლისის მეფის ედუარდ II-ის მეუღლე.

103.ისეტი (ძვ.წ. IV სკ.) — სიცილიის ტირანი, დაამარცხა კორინთოს მხედართმთავარმა ტიმოლეონტმა.

104.ტიმოლეონტი (ძვ.წ. 410-336) — ბერძენი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი; ტირან ისეტის დამარცხებით, მან აღადგინა დემოკრატია სირაკუსეში.

105.პროსკრიფცია — ძველ რომში: კანონგარეშედ გამოცხადებულ პირთა სიები.

106.ფელიანები — კათოლიკე ბერთა ორდენის წევრები; ორდენი დაარსდა 1577 წ. საფრანგეთში; კაპუცინები — ბერთა ორდენის წევრები; ორდენი შეიქმნა 1525 წ. იტალიაში.

107.ეს მოხდა არა პოტიდეასთან, არამედ პლატეასთან ბრძოლის შემდეგ. პლატეა — ქალაქი ბეოტიისა და ატიკის საზღვარზე. ძვ.წ. 479 წელს აქ მოხდა დიდი ბრძოლა საბერძნეთისა და სპარსეთის ჯარებს შორის.

108.პავსანია (გარდ. ძვ.წ. 470) — ბერძენი მხედართმთავარი.

109.მარდონიოსი (დაიღუპა. ძვ.წ. 479) — სპარსელთა მხედართმთავარი.

110.არისტიდე (ძვ.წ. 540-468) — ბერძენი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. ძვ.წ. 479 წელს პლატეასთან ბრძოლის დროს ბერძნებმა პავსანიასა და არისტიდეს მხედართმთავრობით დაამარცხეს სპარსელები და მათი

მხედარსიმბოლური მარდონიოსი.

111.თერმოპილე —ხეობა შუა ელადაში (საბერძნეთი).

*იხ. შენიშვნა 67

*იხ. შენიშვნა 61

*იხ. შენიშვნა 62

112.ოვიდიუსი პუბლიუს ნაზონ (ძვ.წ. 43- ახ.წ. 17\ 18) — რომაელი პოეტი; ავტორი პოემებისა: „მეტამორფოზები", „ჰეროიდები", „ფასტები".

113.ლუკანუსი მარკუს ანეუს (39-65) — რომაელი პოეტი, სენეკას ძმიშვილი, პოემა „ფარსალია"-ს ავტორი.

114.ვერგილიუსი პუბლიუს მარონ (ძვ.წ. 70- ახ.წ. 19) — რომაელი პოეტი; ავტორი პოემებისა: „ბუკოლიკები", „გეორგიკები", „ენეიდა".

115.ანტიგონე (ძვ.წ. III სკ.) — ალექსანდრე დიდის ერთ-ერთი სარდალი, შემდეგში მაკედონიის მეფე.

116.პიროსი (ძვ.წ. 318-272) — ეპირის (მხარე საბერძნეთში) მეფე.

117.ბრძოლა ორთან მოხდა 1364 წელს, შარლ V- ის მეფობის დროს.

*იხ. შენიშვნა 63

*იხ. შენიშვნა 32

118. კატულუსი გაიუს ვალერიუს (დაახ. ძვ.წ. 87-54) — რომაელი პოეტი.

119. ნერონი კლავდიუს ცეზარი — რომის იმპერატორი 54-68 წლებში; დევნიდა ქრისტიანებს, სახელი გაიტეხა ულმობელობით, გარყვნილებითა და თვალთმაქცობით. სამხედრო ამბოხებამ თვითმკვლელობისაკენ უბიძგა.

120.არტაბანე — სპარსეთის მეფე დარიოს I-ის ძმა.

121. ქსერქსე I (ძვ.წ. 519-465) — სპარსეთის მეფე დარიოს I-ის და ატოსას ძე, სპარსელთა მეფე ძვ.წ. 486-465.

122. ჰელესპონტი — დარდანელის სრუტე.
123. ბიანტი (ძვ.წ. VI სკ.) — ბერძენი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი „შვიდ ბრძენთაგანი“
124. ალბუქერქე ალფონსო (1453-1515) — პორტუგალიელი მეზღვაური და კოლონიზატორი.
*იხ. შენიშვნა 21
125. ანტისთენე (დაახ. ძვ .წ. 435-370) — ბერძენი ფილოსოფოსი, კინიკური სკოლის დამაარსებელი, სოკრატეს მოწაფე.
126. სტილპონი (ძვ.წ. IV სკ.) — ბერძენი ფილოსოფოსი, მეგარელთა სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი.
127. დემეტრიოს პოლიორკეტე (ძვ.წ. 336-282) — მაკედონიის მეფე, ანტიგონეს ვაჟი.
*იხ. შენიშვნა 125.
128. პლავტუსი ტიტუს მაქციუს (ძვ.წ. 254-184) — რომაელი პოეტი, კომედიოგრაფი.
*იხ. შენიშვნა 78.
129. არკესილაე (ძვ.წ. III სკ.) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, სკეპტიკოსი.
130. სალუსტიუსი გაიუს კრისპუს (ძვ.წ. 86-35) — რომაელი ისტორიკოსი; ავტორი თხზულებისა „კატილინას შეთქმულება“.
*იხ. შენიშვნა 91
*იხ. შენიშვნა 27
131. პლინიუსი გაიუს ცეცილიუს (უმცროსი) – (62-114) — რომაელი მწერალი, პლინიუს უფროსის ძმისშვილი.
132. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ბერძენი ფილოსოფოსი ეპიკურე და რომაელი ფილოსოფოსი სენეკა.

133. იდომენევსი — ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, ეპიკურეს მოწაფე.
134. ლუკილიუსი კვინტუს ბალბუს — რომაელი ფილოსოფოსი, სტოიკური ფილოსოფიის მიმდევარი.
*იხ. შენიშვნა 61
135. ფოკიონი (ძვ.წ. 402-318) — ათენის პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი, დემოსთენეს მოწინააღმდეგე.
*იხ. შენიშვნა 113
*იხ. შენიშვნა 70
136. ლელიუსი — რომაელი პოლიტიკური მოღვაწე.
137. ტერენციუსი პუბლიუს აფერ (ძვ.წ. 190-159) — რომაელი კომედიოგრაფი, დაიბადა კართაგენში, სენატორ ტერენციუს ლუკანუსის მიერ განთავისუფლდა მონობისაგან; ბაძავდა ბერძენ ავტორებს.
*იხ. შენიშვნა 27
138. კარლოს დიდი (742-814) — ფრანკების მეფე.
139. ფილიპე II (ძვ.წ. 382-336) — მაკედონიის მეფე, ალექსანდრე დიდის მამა.
140. დემოსთენე (ძვ.წ. 384-322) — ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი.
*იხ. შენიშვნა 31
*იხ. შენიშვნა 39
*იხ. შენიშვნა 27
141. ისმენე — ვინმე თებეს მკვიდრი.
142. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს ეპიკურე და სენეკა.
143. კარო ანიბალე (1507-1566) — იტალიელი პოეტი, ფილოლოგი, „ენეიდასა“ და ანტიკური დროის მრავალი თხზულების მთარგმნელი.

* იხ. შენიშვნა 67
* იხ. შენიშვნა 37

144. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს სენეკა; წერილები, 76.

145. თრაკია — მხარე ჩრდილოეთ საბერძნეთში.

146. მერკური — ღმერთთა შიკრიკი, ვაჭრობისა და მჭევრმეტყველების ღვთაება ძველ რომში, იუპიტერის ვაჟი.

147. მარსი — ომის ღმერთი ძველ რომში, რომაელთა ერთ-ერთი უდიდესი ღვთაება.

148. ბაკქუსი — ღვინისა და მევენახეობის მფარველი ღვთაება ძველ რომში; იგივეა რაც ბერძენთა დიონისე.

149. დიანა — ნადირობის, ნაყოფიერების, შვილიერების ღმერთქალი ძველ რომში; იგივეა რაც ბერძენთა ქალღმერთი არტემიდა.

150. იუპიტერი — რომაელთა უმაღლესი ღვთაება, სატურნისა და რეას ვაჟი; იგივეა, რაც ბერძენთა ზევსი.

*იხ. შენიშვნა 31
*იხ. შენიშვნა 115

151. სელევკე ნიკატორი (ძვ.წ. 355-280) — ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, სირიის მონარქიის დამაარსებელი.

* იხ. შენიშვნა 27
* იხ. შენიშვნა 33

152. ჰიერონ უფროსი (ძვ.წ. V სკ.) — სირაკუსეს ტირანი. მონტენს ნაგულისხმევი აქვს ქსენოფონტის დიალოგი „ჰიერონე“ 2-3 რომელშიც აღწერილია ის საშუალებები, რითაც ხელმწიფეს შეუძლია ბედნიერება მოუტანოს თავის ქვეყანას.

153. კაზალი —ციხე-სიმაგრე იტალიაში; მილანის საპერცო-გოსათვის ბრძოლების დროს (1499-1547), კაზალი ხან ფრანგების ხელში იყო, ხან იტალიელების.

154. სიენა — ქალაქი იტალიაში.
*იხ. შენიშვნა 62
155. ბრეტანი — მხარე დასავლეთ საფრანგეთში.
156. იულიანე მარკუს დიდიუს სალვიუს — რომის იმპერატორი 361-363 წლებში, ნიჭიერი სტრატეგი.
157. ამბროსია — ბერძნულ მითოლოგიაში: ოლიმპიელ ღმერთთა საკვები, რომლის მეშვეობითაც უკვდავებას და მარადიულ სიყმაწვილეს ინარჩუნებდნენ.
158. დიოკლეტიანე გაიუს ავრელიუს ვალერიუს — რომის იმპერატორი 284-305 წლებში. ჭკვიანი ორგანიზატორი. მან დაადგინა ტეტრარქია — ოთხი კაცის გამგებლობა.
159. ანაქარსისი (ძვ.წ. VI სკ.) — ფილოსოფოსი, სოლონის მეგობარი, წარმოშობით სკვითი.
*იხ. შენიშვნა 115
160. სინესი (ძვ.წ. III სკ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.
161. მონტენს ნაგულისხმევი ჰყავს კორნელიუს ნეპოტი (ძვ..წ. 99-24) — რომაელი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „გამოჩენილი ადამიანები“.
162. ფარსალოსი — ქალაქი თესალიაში, საბერძნეთი.
*იხ. შენიშვნა 62
*იხ. შენიშვნა 2
*იხ. შენიშვნა 61
*იხ. შენიშვნა 10
*იხ. შენიშვნა 31
163. დემოკრიტე (დაახლ. ძვ.წ. 460-370) — ბერძენი ფილოსოფოსი, ძველი დროის უდიდესი მატერიალისტი.
*იხ. შენიშვნა 74
164. დიოგენე სინოპელი (ძვ.წ. 412-323) — ბერძენი ფილოსოფოსი, კინიკოსთა სკოლის წარმომადგენელი,

ანტისთენეს მოწაფე.

165. ტიმონი (ძვ.წ. V სკ.) — ბერძენი ფილოსოფოსი.

166. ბრუტუსი დეციმუს იუნიუს (ძვ.წ. 84-43) — იულიუს კეისრის სარდალი გალიის ომებში. კეისრის ანტირესპუბლიკური მმართველობით გალიზიანებული ბრუტუსი სათავეში ედგა შეთქმულებას კეისრის წინააღმდეგ.

167. ჰეგესია (ძვ.წ. IV-III) — ბერძენი ფილოსოფოსი, კინიკოსთა სკოლის წარმომადგენელი.

168. თეოდორე (ძვ.წ. IV სკ.) — ბერძენი ფილოსოფოსი, სოფისტი, სოკრატეს თანამედროვე.

169. ატილიუს მარკუს რეგულუსი (ძვ.წ. III სკ.) — რომის მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, კონსული ძვ. წ. 256.

170. კატონი მარკუს პორციუს (უფროსი) — (ძვ.წ. 234-149) — რომის პოლიტიკური მოღვაწე.

171. სარდინია — კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, ეკუთვნის იტალიას.

172. სციპიონ ემილიუსი (ძვ.წ. 185-129) — რომის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი; ძვ.წ. 146 აიღო კართაგენი.

*იხ. შენიშვნა 12, *იხ. შენიშვნა 1

*იხ. შენიშვნა 58

173. გრაკქუსი ტიბერიუს (ძვ.წ. 163-132) — რომის სახალხო ტრიბუნი. პლებეების ინტერესების დასაცავად შეეცადა აგრარული რეფორმის გატარებას, რამაც არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოიწვია. გრაკქუსი მოკლულ იქნა.

*იხ. შენიშვნა 67

*იხ. შენიშვნა 74

174. ნავარა — ისტორიული მხარე საფრანგეთში; IX სკ-ში

შეიქმნა ნავარის სამეფო.

*იხ. შენიშვნა 79

175. კვინტილიანეს თანახმად ეს ბრძანება გასცა ალექსანდრე მაკედონელმა. კვინტილიანე მარკუს ფაბიუს (I სკ-ში) — რიტორიკული სკოლის ხელმძღვანელი რომში.

176. გასკონი — მხარე სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში.

177. ვილანელი — ექვს სტროფიანი სოფლური სიმღერა.

ალორძინების ეპოქის ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ დე მონტენის თხზულება „ესეები“ (1570) ნათლად ასახავს XVI საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას. ამ შრომამ, რომელზეც მონტენი ოც წელს მუშაობდა, დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე. ავტორს „ესეები“ რა მიზნითაც არ უნდა დაეწერა, მაინც დიდი ღირებულება ექნებოდა ისეთი თვითმყოფადი მოაზროვნის წარმოსაჩენად, როგორიც მონტენი იყო.

მონტენის „ესეები“ შეიქმნა საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნის რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში, როდესაც დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ფეოდალური წყობის წიაღში ისახებოდა წარმოების ახალი წესი — კაპიტალიზმი; იწყება ფეოდალური დაქსაქსულობის თანდათანობითი ლიკვიდაცია და მკვიდრდება დიდი, არსებითად ეროვნულობის საძირკველზე აშენებული მონარქიები; ჩნდებიან ერები თავიანთი ნაციონალური ენებით.

წარმოების ახალი წესის თანდათანობით ჩამოყალიბებამ და განვითარებამ ხელი შეუწყო მეცნიერების წინსვლას. პტოლემეს თვალსაზრისი ირღვევა, ჩნდება ახალი — კოპერნიკის მსოფლგაგება, ვითარდება მათემატიკა და მექანიკა.

ფეოდალების ბატონობისაგან თავდახსნილი იტალიის ქალაქების ვაჭრობამ აღმოსავლეთსა და დასავლეთთან, ბიძგი მისცა კულტურის მძლავრ დაწინაურებას. ბევრი სწავლული თუ ფილოსოფოსი გადმოსახლდა იტალიაში და აქაურ აზროვნებას თვალწინ გადაუშალა პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურესა და სხვათა დაუმახინჯებელი ფილოსოფიური

მოძღვრების უზარმაზარი წიგნი.

ახალი კლასი — ბურჟუაზია — თანდათანობით ქმნის საკუთარ მსოფლმხედველობას, რომელიც მის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს გამოხატავს და მიმართულია ფეოდალური თეოლოგიურ-სქოლასტიკური აზროვნების წინააღმდეგ, რომლის ქვაკუთხედს კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა. ეს ნედლი მსოფლმხედველობა ორ სახეს იღებს — რელიგიურსა და საეროს; ამ უკანასკნელის ტენდენციებს განსაკუთრებით ფართო გზა მიეცა ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, რასაც დიდად შეუწყო ხელი ანტიკური კულტურისა და ფილოსოფიის გაცნობამ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ. ასე იწყება XV საუკუნის ევროპაში ის მძლავრი ეპოქა, რომელსაც აღორძინების ხანას უწოდებენ.

საერო აზროვნება — მეცნიერება და კულტურა გამოვლინდა თავისი ახალი ფორმით — ჰუმანიზმით — აღორძინების ხანის დედა-შინაარსით. ჰუმანიზმის მსოფლგაგების ცენტრში დგას ადამიანი — როგორც პიროვნება და როგორც თავისუფალი. იტალიელ ჰუმანისტთა ნაღვაწისა და ახალი აზრების სწრაფ გავრცელებას დასავლეთ ევროპაში ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, წიგნის ბეჭდვა, მეორე მხრივ, ამ პერიოდის მოღვაწეთა ხშირი მოგზაურობა ევროპის ქვეყნებში და პირადი შეხვედრები. თითოეული სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივი — ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური — პირობების მიუხედავად, აღორძინება და ჰუმანისტური მოძრაობა ძირითადად ერთი ხაზით მიმდინარეობდა. ეს იყო ბრძოლა შუა საუკუნეების უკვე გახუნებული მსოფლმხედველობისა და კათოლიკური ეკლესიის, როგორც უძლიერესი ფეოდალის, იდოლოგიის წინააღმდეგ.

საფრანგეთში აღორძინების ანუ რენესანსის ხანა ხასიათდება ანტიკური კულტურის, ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი

დიდი ინტერესით, წმინდა ფრანგული ენისა და წმინდა ფრანგული ლიტერატურის დამკვიდრების მცდელობით. პიროვნების თავისუფლების იდეა დედაძარღვი ხდება XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგი ჰუმანისტების — დოლეს, დეპერიეს, რონსარის და ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის — ფრანსუა რაბლეს თხზულებებისა, რომლებშიც ადამიანი ჰარმონიულ, უზადო ბუნების არსებადაა წარმოდგენილი; მაგრამ საუკუნის მეორე ნახევარში რთულმა ისტორიულმა ვითარებამ ჰუმანისტურ იდეალებზე აღზრდილი მიშელ დე მონტენი სკეპტიკურად განაწყო ადამიანის სრულქმნილების იდეის მიმართ. ასეთი ეჭვნარევი დამოკიდებულება სხათაგან უკვე თითქმის უსიტყვოდ აღიარებული აზრების მიმართ, საზოგადოებრივი პროტესტის ერთგვარი ფორმა იყო და, უპირველეს ყოვლისა, მიმართული შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკისა და კათოლიკური რელიგიის დოგმების წინააღმდეგ.

მიშელ ეიკემ დე მონტენი დაიბადა 1533 წელს, პარიზის სამხრეთ-დასავლეთით, ქ. პერიგორის მახლობლად, მონტენთა საგვარეულო ციხე-კოშკში. იგი მდიდარ ვაჭართა ოჯახის ჩამომავალი იყო. XV საუკუნის ბოლოს მისმა პაპის მამამ აზნაურობა მიიღო, ხოლო მონტენების საგვარეულო ადგილ-მამულის შეძენის შემდეგ, მათ გვარს – ეიკემს – დე მონტენიც დაემატა.

მიშელ მონტენის პიროვნების, მისი აზროვნების ჩამოყალიბებასა და სრულქმნას დიდად შეუწყო ხელი მისმა მამამ, განათლებულმა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანმა, პიერ ეიკემმა. მან გადაწყვიტა, თავისი პირმშო აღეზარდა ჰუმანისტური სულისკვეთებით, იძულებისა და სიმკაცრის გარეშე, სრულ სიმშვიდისა და თავისუფლების პირობებში, რათა მეცნიერებისადმი ლტოლვა და მოვალეობის გრძნობა ვაჟიშვილში მისივე ნების კვალობაზე განევითარებინა. როგორც კი პატარა მიშელი ძიძის კალთას მოსწყვიტეს, მამამ სახლში აღმზრდელად

ერთი ფრიად განსწავლული გერმანელი, გვარად ჰორსტი, მოიწვია, შესანიშნავი პირობები შესთავაზა და ორი დამხმარეც მიუჩინა; ეს უკანასკნელნი მასავით განათლებულები არ იყვნენ, მაგრამ თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ — ბავშვს თვალყურს ადევნებდნენ და გერმანელ აღმზრდელს შრომას უმსუბუქებდნენ. ჰორსტი ბრწყინვალედ ფლობდა ლათინურს და არ იცოდა ფრანგული; ამიტომ სამივენი მხოლოდ ლათინურად ესაუბრებოდნენ პატარა მიშელს. ყოველგვარი წიგნისა და გრამატიკის, შოლტისა და კუთხეში დაყენების გარეშე, თავისუფალი ნების ფრთის ქვეშ მონტენი იმდენად სრულყოფილად დაეუფლა ლათინურს, რომ კოლეჯში სწავლისას მის მოძღვარ-პედაგოგებს მასთან გაკარებისაც ეშინოდათ. რაც შეეხება ბერძნულ ენას, იგი თავად მამამ შეასწავლა ერთობ ძალდაუტანებლად — სხვადასხვა სახის გასართობებითა და სავარჯიშოებით.

ადათის თანახმად, ექვსიოდე წლის მიშელი მამამ გაგზავნა გიენის კოლეჯში, რომელიც იმხანად საფრანგეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. აქაც მან საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა შვილისადმი. პიერ ეიკემის აზრით, აღმზრდელთა თვისებები გულკეთილობა და ლმობიერება უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ ნიშნით შეურჩია მან თავის ვაჟს ძალზე ღირსეული ადამიანები. ისინი ინდივიდუალურად ამეცადინებდნენ მიშელს და ბევრ ისეთ რამესაც ასწავლიდნენ, რასაც კოლეჯის პროგრამა არ ითვალისწინებდა. ცამეტი წლის მონტენმა დაასრულა სწავლების სრული კურსი, მაგრამ, მისივე სიტყვების თანახმად „კოლეჯში არაფერი შემიძენია ისეთი, რაც ამჟამად ღირებული იქნებოდა ჩემთვის... საოცარ დაუდევრობას ვიჩენდი კოლეჯის სასწავალო დავალებებისადმი... ჩემი აღმზრდელი მშვიდად ხუჭავდა თვალს ჩემს ამ და სხვა მსგავს ცოდვებზე; ამის წყალობით თითქმის სულმოუთქმელად წავიკითხვე ვერგილიუსის „ენეიდა“, შემდეგ

ტერენციუსი, პლავტუსი და ბოლოს იტალიური კომედიები... ჩემს აღმზრდელს რომ ჯიუტად და ძალით შეეწყვეტინებინა ეს გატაცება, კოლეჯიდან — თითქმის ყველა ჩვენი ყმაწვილი აზნაურის მსგავსად — წიგნებისადმი მჩოლოდ სიძულვილი გამომყვებოდა. მაგრამ იგი საოცრად გონივრულად იქცეოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ხედავდა" („ესეები" I, XXV).

მამა მიშელს მაგისტრატურისათვის ამზადებდა. ამიტომ გიენის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, მონტენმა მეცადინეობა განაგრძო ქ. ტულუზაში, სამართლისმცოდნეობის შესასწავლად. 25 წლის მონტენი ბორდოს პარლამენტის მრჩეველის თანამდებობას იკავებს. ამ დროს საფრანგეთში ძალზე რთული ვითარებაა. კათოლიკებისა და ჰუგენოტების ბანაკებად დაყოფილი საფრანგეთი ფეოდალების შეჯახებებისაგან კიდევ უფრო სუსტდებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ კათოლიკებმა დახმარებისათვის ესპანეთს მიმართეს, ჰუგენოტებმა — ინგლისს. ეს ეტაპი 1572 წლის 24 აგვისტოს საბედისწერო „ბართლომეს ღამით" დასრულდა. ჰუგენოტების მასობრივმა ჟლეტამ სავალალო ფაქტის სახელი დაიმკვიდრა საფრანგეთის ისტორიაში. 1570 წელს 38 წლის მონტენმა დატოვა ბორდოს პარლამენტი და მემკვიდრეობით მიღებულ ციხე-სიმაგრეში განმარტოვდა, რათა დარჩენილი სიცოცხლე „მუზათა სამსახურში" გაელია.

ბორდოს პარლამენტში ყოფნისას მონტენი გაეცნო ნიჭიერ ჰუმანისტსა და პუბლიცისტს, ეტიენ ლა ბოესის; იმხანად ისიც ბორდოს პარლამენტის მრჩეველი გახლდათ. მათ შორის იმდენად მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა, რომ მალე ისინი ერთმანეთს ძმებს უწოდებდნენ. „ჩვენი მეგობრობის მიზანი იყო თავად მეგობრობა, ის იყო მისი საყრდენიცა და საფუძველიც. დაე, ნუ შეეცდებიან ჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობის გაიგივებას

ამ მეგობრობასთან" — წერს მონტენი თავის თხზულებაში (I, XXVII). სამწუხაროდ, მათი მეგობრობა ხანმოკლე აღმოჩნდა. შავი ჭირით დაავადებული ლა ბოესი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.

1580 წელს გამოქვეყნდა მონტენის თხზულების „ესეები"-ს პირველი ორი წიგნი. ამავე წელს მონტენი სამოგზაუროდ გაეშურა ევროპის ქვეყნებში: გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში. მოგზაურობის დროს მას აცნობეს, რომ იგი არჩეული იყო ქ. ბორდოს მერად. ამგვარად, ათი წლის შემდეგ მონტენი კვლავ დაუბრუნდა საზოგადოებრივ საქმიანობას. 1582 წელს მეორედ გამოიცა მისი თხზულებების პირველი ორი წიგნი.

მონტენის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის მდგომარეობას, ის აძნელებდა, რომ იგი ჰუგენოტების წინამძღოლ – ანრი ბურბონთანაც კარგ დამოკიდებულებაში იყო და კათოლიკების წინამძღოლ – ანრი ნავარიელსაც დიდად აფასებდა. პოლიტიკური ორომტრიალის შუაგულში მდგომი მონტენი აქტიურად არცერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ემხრობოდა. თავადაც ძალიან კარგად ახასიათებს თავის თავს ამ სიტუაციაში: „მრავალი უსიამოვნება დამატყდა თავს. საზოგადოებრივი არეულობის დროს ზომიერ, თავშეკავებულ ადამიანებს ემართებათ ხოლმე ასე. ყოველი მხრიდან შემომიტიეს" („ესეები" III, XII).

ცხადია, ასეთი ვითარება მისი, როგორც პოლიტიკოსის უპრინციპობისა და საკუთარი მრწამსის უქონლობის გამოვლინება კი არ იყო, არამედ პოზიცია იმ დიდი ფილოსოფოსისა, რომელსაც მოძმეშიც და მტერშიც თანაბრად შეუძლია უარყოფითისა და დადებითის დანახვა, მისი აზროვნება ჯანსაღია, გონება მკაცრი და გამჭრიახი. იგი აკვირდება მოვლენებს. მისი რწმენით, გონიერი კაცი არაფერს დაკარგავს, თუკი თავისი თავის შენარჩუნებას

(„ესეები“ II, XII)... „ჩემ თავთან მარტო როცა ვარ საზოგადო საქმეს, მსოფლიო მოვლენებს უფრო ადვილად ვუკირკიტებ“ („ესეები“ III, XII).

ბორდოს მერად მეორე ვადით არჩეული მონტენი უფლებამოსილების მოხსნის შემდეგ კვლავ თავის ციხე-სიმაგრეს დაუბრუნდა და ლიტერატურული საქმიანობა განაგრძო. 1586-87 წლებში მან დამატების სახით მრავალი რამ შესძინა უკვე გამოქვეყნებული თხზულებების პირველ ორ წიგნს და დაწერა მესამე წიგნი. 1588 წელს მონტენი გამეგზავრა პარიზს, რათა თავად ედევნებინა თვალყური თხზულების ახალი გამოცემისათვის. ამრიგად, რვა წლის განმავლობაში 1580-88 წ. „ესეები“ ოთხჯერ გამოიცა, რაც უდაოდ მეტყველებს თხზულებისადმი საზოგადოების დიდ ინტერესზე. ჰუმანისტური იდეებით აღსავსე თხზულებამ მონტენი სიცოცხლეშივე დიდების შარავანდედით შემოსა.

ცხოვრების ბოლო წლებში მონტენი დაუღალავად იღვწოდა, მრავალი დამატებითა და შესწორებით სრულყოფდა თავის თხზულებას, ამზადებდა მის ახალ გამოცემას, მაგრამ ორმოცი წლის ასაკიდან თირკმელით დაავადებული მონტენის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. 1592 წლის 13 სექტემბერს მიშელ მონტენი გარდაიცვალა.

აღორძინების ეპოქის დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ, მიშელ დე მონტენმა, თავისი ეპოქის სულისკვეთება და სწრაფვანი ასახა თხზულებაში, რომელსაც „“Les Essais“ უწოდა, რაც „ცდებს“ ნიშნავს. მონტენის „ესეები“ ფილოსოფიური ენციკლოპედიაა, რომლის დედააზრი გონების უზენაესობაა; ავტორის მორალის მთავარი პრინციპია: ადამიანი პასიურად არ უნდა ელოდოს თავის ბედნიერებას, რასაც მას რელიგია იმქვეყნად ჰპირდება, იგი მიწიერ ცხოვრებაშიც უნდა ილტვოდეს ბედნიერებისაკენ. მონტენი იძლევა ზოგადი ხასიათის მრავალ

დასკვნას საერთოდ ადამიანზე; სწორედ ადამიანის ბუნების მონტენისეული ანალიზი ანიჭებს განსაკუთრებულ ღირებულებას „ესეებს". და, რაც მთავარია, ამ თხზულებით მონტენმა დასაბამი მისცა ესსეისტურ ჟანრს ევროპაში.

ამრიგად, ესსე, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი, — რენესანსის ბოლო საფეხურისათვის დამახასიათებელი პროცესების პირმშო, — შეიქმნა საფრანგეთში. იგი ალორძინების დროინდელი იდეალების — ადამიანის ტიტანიზმისადმი, სრულქმნილობისა და ჰარმონიულობისადმი რწმენის — მსხვრევამ მოიტანა. ა.ფ. ლოსევის* სიტყვით, ესსე „არტისტული, ლამაზი ინდივიდუალიზმის" რეალისტური, მაძიებელი ინდივიდუალიზმით შეცვლის ეპოქამ წარმოქმნა. მის ძირითად ნიშნად, როგორც მისი სახელდებაც („ცდა") მიგვითითებს — კატეგორიულ განსაზღვრულობისადმი დაუმორჩილებლობა უნდა მივიჩნიოთ.

ესსე — აზროვნების უშუალო პროცესის შესატყვისი ჟანრი — არც საგანგებოდ მხატვრული აზროვნებაა და არც საგანგებოდ მეცნიერული განსჯა; ესსე ფილოსოფიურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ყოფაცხოვრებით საკითხებზე მსჯელობაა და უსათუოდ გულისხმობს მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების განსაზღვრულ დონეს. ესსეისტური ლიტერატურა ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე იჩენს თავს.

თემისადმი ესსეისტური მიდგომის ხერხებსა, ამ ჟანრისადმი დამახასიათებელ ელემენტებს ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში — პლატონის, სენეკას და პლუტარქეს ნაწარმოებებში, სადაც პირველსახილველ ადგილზე დგას ავტორის პიროვნება, რომელიც თვითანალიზის, თვითგამოსახვის გზით ინდივიდუალური

* Лосев А. Ф. Эстетика Возрождения, М. „Мысль", 1978.

„მეს“ გამოვლენას ცდილობს. ჟანრული მთლიანობის გაგებით, ესსეისტური ლიტერატურა ადრეული შუა საუკუნეების შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში — ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში უკვე არსებობდა.

საქართველოში ესსეისტური ჟანრის განსავითარებლად ხელსაყრელი პირობები იქმნება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, როცა „ქართველ ახალგაზრდობას საქართველოში ჩამოჰქონდა ახალი აზრები და შეხედულებები და ეწეოდა მის მხურვალე პროპაგანდას, როგორც ლიტერატურული შემოქმედებით, ისე ყოველდღიური პრაქტიკით.“* ამ დროს იწერება ფილოსოფიური და პოლიტიკური ტრაქტატები ალექსანდრე ამილახვარისა, დავით ბატონიშვილისა, დავით ციციშვილისა და სხვათა. მათ მიერვე ითარგმნება ფრანგ და სხვა ევროპელ მოაზროვნეთა ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის თხზულებები. ყოველივე ეს ესსეისტური ლიტერატურის ჩასახვისათვის ხელსაყრელ კულტურულ ნიადაგს ქმნიდა. XX საუკუნის პირველ მეოთხედში ესსეისტური ჟანრის წარმოშობა საქართველოში გახლდათ კანონზომიერი ლიტერატურული მოვლენა, რაც ქვეყნის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული ფაქტების ერთობლიობით იყო განპირობებული.

„კლასიკური ესსე ინდივიდის მიერ იწერება; იწერება ისეთ საგანზე, რომლითაც ღრმად არის დაინტერესებული ავტორი, ჭეშმარიტად ზრუნავს და ფიქრობს მასზე“.** მონტენის შემეცნების საგანია ადამიანი, მისი რთული და ძნელად

---

*ლ. ასათიანი — „ვოლტერიანობა საქართველოში“, თბილისი, 1933, 28-29.

**Druru D. Varieties of the essey – Traditionnal and modern, california, 1968, 9.

ამოსაცნობი ბუნება. ავტორის აზრით, ყოველი ცალკეული ადამიანი მთელი ადამიანური ბუნების განსახიერებაა; მის არსებაში თანაბრად შეიძლება თავსდებოდეს რაინდობა და სიმხდალე, სიამაყე და თავდაბლობა, გონიერება და უგუნურება და ამ თვისებების ჩამოყალიბებაცა და გამომჟღავნებაც არა მარტო სწორი და არასწორი აღზრდის პირობებში, არამედ უამრავი მოუხელთებელი და ძნელად გასათვალისწინებელი ფაქტორების გამოც ხდება.

გვიანდელი რენესანსისათვის დამახასიათებელმა ასეთმა მსოფლმხედველობამ განაპირობა მონტენის თხზულების განსჯითი, არადოგმატური და დიდაქტიზმისაგან თავისუფალი ბუნება. ადამიანის არსების შესწავლა მონტენმა თვითანალიზისა და თვითშემეცნების რთული გზით შემოგვთავაზა. ავტორი ადამიანის ბუნებას თავის თავზე დაკვირვების შედეგად განსჯის; ამრიგად, მონტენის „ცდის" პირი თავად მონტენი გახლავთ. „ჩემი არსების შესახებ მოგითხრობთ, განა ფილოლოგი მონტენის ან პოეტის და ან იურისტის, არა, მთლიანად მიშელ დე მონტენის შესახებ („ესეები" III, II).

მონტენის მიზანია თვითანალიზზე, თვითდაკვირვებაზე დამყარებით შეიცნოს ადამიანი ცვლილებათა პროცესში; ა.ფ. ლოსევის თანახმად, „ჩვენ ვერ მივაწერთ მონტენს რომელიმე აბსოლუტური კატეგორიის აღიარებას, მისი ესთეტიკაა — დახვეწილი თვითშეგრძნება, რომელსაც სინამდვილის რელატივისტული შეფასება ახასიათებს.*

ადამიანი, რომელსაც მონტენი ინტროსპექციის გზით შეიმეცნებს, მისი რწმენით, ცვალებადი ბუნებისაა. „თვით

---

*Лосев А. Ф. Эстетика Возрождения, М. „Мысль" 1978, 597.

საუკეთესო ავტორთა ცდებიც კი ადამიანის მდგრადი და ურყევი ბუნების ჩვენებისა, მხოლოდ ამაო გარჯად თუ ჩაითვლება... რადგან მისი ბუნების ყველაზე ჩვეულებრივ და აშკარა ნაკლს სწორედ ცვალებადობა წარმოადგენს." („ესეები" I, 37).

მონტენის „ესეებში" მთავარი როლი ავტორისეულ განსჯებს ეკისრება; რასაც არ უნდა ეხებოდეს ესსეისტის მსჯელობა, მასში წარმმართველი ადგილი პიროვნებისეულ შეხედულებებს, ობიექტისადმი მისეულ დამოკიდებულებას, მისი ინდივიდუალური თვისებიდან გამომდინარე მახასიათებლების, პოზიციის მრწამსის ერთგვარ გამოვლინებას უჭირავს; რა ავტორიტეტებსაც არ უნდა მიმართავდეს აზროვნებისას, იგი განსჯას საკუთარი რწმენით ამთავრებს. მონტენს გაცნობიერებული აქვს — მისი პოზიცია შემოთავაზებულია არა როგორც უდავო, უსათუოდ მისაღები და კარგი, არამედ როგორც სუბიექტური თვალთახედვა. „ეაჩვენებ არა იმას, რაც სარწმუნოა, არამედ იმას, რაც მწამს." („ესეები", I, XXIII). ამ გზით მონტენი გვთავაზობს ინდივიდის სულიერ სამყაროს.

მონტენმა იცის, რომ ამგვარი ასახვისას მისი მსჯელობა არათანმიმდევრული და ფრაგმენტული, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივიც შეიძლება გამოვიდეს. მაგრამ, მისი რწმენით, ასეთივეა თავად საგანი, რომელსაც იგი შეისწავლის და ამდენად, მისი ბუნების გადმოსაცემად სწორედ ამგვარი მეთოდია გამართლებული.

ავტორს შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული საკუთარი თხზულების არათანმიმდევრულობა; იგი არ არის თანმიმდევრული ერთი და იმავე ობიექტის ასახვის დროსაც; შეიძლება დაიწყოს მსჯელობა ერთ ობიექტზე და ასოციაციურად გადავიდეს მეორე ობიექტის განსჯაზე, მაგრამ ნათქვამის მიუხედავად, მონტენი უაღრესად თანმიმდევრულია თავისი აზრის მდინარებისა თუ

განცდის გადმოცემისას; სინამდვილის ასეთი რელატივისტური ასახვა დამახასიათებელია ესსეისტური ჟანრისათვის.

მონტენის „ესეებში“ ყველა მონაკვეთი აღწერილობითი თუ თხრობითი ხასიათისაა; განსხვავებული ზომის თავები ერთი შეხედვით უსისტემოდ, ქაოტურადაა წარმოდგენილი; თავად პარაგრაფების შიგნითაც აზრი ხშირად გარკვეულ რიგს აცდენილია, მკაცრ ლოგიკას, მწყობრ სტილს ხშირად ენაცვლება ასოციაციური მსჯელობა; ეს უსისტემობა და მოზაიკურობა თხზულებისა მის ნაკლოვანებაზე კი არ მიგვითითებს, არამედ ჟანრული სპეციფიკის ერთ-ერთი გამოვლენაა. გარეგნული ფრაგმენტულობის მიუხდავად შინაგანად თხზულება შეკრულია.

აზროვნების წესის თვალსაზრისით, არაკატეგორიულობით, სუბიექტივიზმით, განსჯის სილაღით — ნაწარმოები აღბეჭდილია თავისუფლების ნიშნით. თხზულების სტილის მიმზიდველობას ასევე განაპირობებს მისი სუბიექტურობა და ლირიზმი. სწორედ თხრობის ინტიმური მანერა განაცდევინებს მკითხველს „ესეებს“ არა როგორც „წიგნს, რომელსაც კითხულობ, არამედ როგორც საუბარს, რომლის მონაწილეც ხარ“ ანდა ისეთ ძველ მეგობრად, „რომელიც რამდენადაც ძველია, იმდენადვე ახალიცაა, რამეთუ იგი სალი აზრების საოცარ სიმდიდრეს ფლობს.“*

მაგრამ სტილის სიმშვენიერით კეკლუცობა ჭეშმარიტი ესეისტისათვის თვითმიზანი როდია „არა აზრი სიტყვას, არამედ სიტყვა უნდა ემორჩილებოდეს აზრს.“ („ესეები“ I, XXIV).

მონტენის სტილს „ენერგიულს“ უწოდებენ ამერიკელი ესეისტი ემერსონი, ფრანგი კრიტიკოსები ლა არპი და ვოლტერი. მის შესახებ ვილემენი წერდა: „მისი ყოყმანი აღფრთოვანების ღირსია,

---

*Crand Dictionnaize Universel du XIX siecle par P. Larousse, VII, paris, 940.

შესახებ ვილემენი წერდა: „მისი ყოყმანი ალეგორიულების ლირსია, ის ბევრს საუბრობს მორალზე, პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, ბევრ საკითხს იხილავს ერთდროულად, მაგრამ არასოდეს გვთავაზობს — სისტემას. იგი არავის უცრუებს იმედს, არ არის უკმაყოფილო არც თავის თავისა და არც სხვების. მისი პრინციპები მკაცრი არ გახლავთ. იგი არ ეძიებს რაიმეს იმ მიზნით, რომ მანკიერების დანახვის შიში ალგვიძრას. საბოლოოდ კი ის ჩვენ სიამოვნებას გვთავაზობს და სიკეთისაკენ გვიბიძგებს.*

ავტორის ერთ-ერთ დამსახურებად მისი ნაწარმოების უბრალო, ხალხური ენაც ითვლება. ჩვეულებრივ, მონტენის თანამედროვე მოღვაწენი ლათინურად წერდნენ. მათგან განსხვავებით, მონტენმა თავისი თხზულებისათვის ცოცხალი, სალა, სასაუბრო მშობლიური ფრანგული აირჩია. იმ დროისათვის ეს დიდი სიახლე იყო.

მონტენის თხზულება „ესეები" — მისი, როგორც პიროვნების უდიდესი განსწავლულობისა და მხატვრული ნიჭის ნაყოფი — გასცილდა „ვიწრო წრის" ინტერესებს, თავისი მშობლიური ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად იქცა.

მთარგმნელი

---

*Crand Dictionnaize Universel du XIX siecle par P. Larousse, VII, paris, 940.

სარჩევი

მატყუარები 3
სიმტკიცე 13
სასჯელი ლაჩრობისათვის 17
ადამიანის ბედნიერებაზე მხოლოდ მისი
სიკვდილის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ 20
ჩვეულებისა და დამკვიდრებული კანონის
არასაფუძვლიანად შეცვლის უმართებულობა 25
პედანტიზმი 57
ხშირად ბედი გონივრულად მოქმედებს 79
კატონ უმცროსი 85
ერთი და იმავე საგნის გამო ვტირით და ვიცინით 92
განმარტება 97
ფიქრები ციცერონზე 119
ჩვენს შორის არსებული უთანასწორობა 128
დემოკრიტე და ჰერაკლიტე 146
ძველ რომაელთა ყაირათიანობა 152
ცეზარის ერთი გამონათქვამი 153
ამაო ხრიკები 155

შენიშვნები 161
ბოლოსიტყვა (დოდო ლაბუჩიძე) 179

ტექ-რედაქტორი დ. მასხარაშვილი
კორექტორი დ. ფირცხალავა